პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის— 1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 20 აგვისტო 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 188 (1933)

დღიური

- — პოლიციური რეპრესიები შეერთებულ შტატებში.
- — ამერიკის პრესა დეტერდინგის ბორების წინააღმდეგ.
- — შორეულ აღმოსავლეთში წყალდიდობა გრძელდება. ზარალი აუარებელია.
- — სამხედრო საწყობის აფეთქება რუმინეთში.
- — გრიგალი შავ ზღვაზე. — დაიღუპა [illegible].
- — უზბეკისტანში მიწისძვრა გრძელდება.

Ნ. ბუხარინი—ცეკასა და ცენტ. საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგები

მოხსენება ლენინგრადის პარტაქტივის კრებაზე

ახალი სიძნელეები და ოპოზიციის ახალი გამოსვლა

ამხანაგებო, უნდა განვაცხადო, რომ დღევანდელ მოხსენებას მე გავაკეთებ არა მტკიცე ანგარიშის წესით, ვინაიდან უფრო მიზანშეწონილად ვსთვლი გამოვყო ძირითადი და უფრო არსებითი მხარე, იმისა, რასაც ადგილი ჰქონდა ამას წინად დამთავრებულ გაერთიანებულ პლენუმზე და მთელი თქვენი ყურადღება მივაქციო მთავარ საკითხებზე, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარტიის პოლიტიკის თვალსაზრისით როგორც გარეშე, ისე შინაპარტიული ურთიერთობის თვალსაზრისით.

ამ ახლო ხანში პირადად მე და მთელ რიგ სხვა ამხანაგებს გვიხდებოდა ჩვენი მდგომარეობის დახასიათება, როგორც ისეთი მდგომარეობის, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი შინაგანი ზრდის სიძნელეებთან, აღდგენითი პერიოდიდან რეკონსტრუქტიული პერიოდისკენ გადასვლის დაბრკოლებებთან. სამეურნეო ზრდის მტკიცე ლიანდაგზე, რეკონსტრუქტიულ პერიოდში გადასვლის დროს საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე წამოიჭრა მთელი რიგი რთული პრობლემებისა, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ჩვენი ეკონომიური ზრდის შინაგან წინააღმდეგობებთან.

ჩვენ ეხლა ისევ შევდივართ ჩვენი კავშირის, მუშათა კლასის და კომუნისტური პარტიის ახალ პერიოდში, რომელიც შეიძლება, პირველ რიგში დახასიათდეს როგორც საგარეო საერთაშორისო სიძნელეთა პერიოდი.

თავის თავად ცხადია, რომ შინაური პოლიტიკის საკითხები „ჩინური კედლით" არ არიან დაშორებული საერთაშორისო ხასიათის საკითხებისაგან. ჩვენ შევედით საერთაშორისო ურთიერთობის გართულების ახალ პერიოდში, საერთაშორისო დაბრკოლებათა ეს პერიოდი ერთგვარად და ამასთანავე მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ჩვენს შინაგან ზრდასთან და ჩვენი სამეურნეო-პოლიტიკური ძლიერების განმტკიცებასთან.

იერიშები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კაპიტალისტური მსოფლიოს მხრივ მნიშვნელოვნად იზრდება ამ ჩვენი ზრდის გამო. მეორეს მხრით, ჩვენს წინააღმდეგ იერიშების ზრდა კაპიტალისტური მსოფლიოს მხრივ, ის, რასაც ჩვენ საერთოდ უწოდებთ ომის მზადებას და საბჭოთა კავშირის გარემოცვას,—ეს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის პოლიტიკური ფაქტორი თავის მხრივ უშუალო გამოხატულებას ჰპოულობს ჩვენს შინაურ პოლიტიკაში.

ზერელე დამკვირვებლის თვალსაზრისით ამ მხრივ შეიძლება ვილაპარაკოთ კუდების შესახებ ჩვენი დუქნებისა და მაღაზიების წინ, კოოპერატიული და სახელმწიფო დუქნებისა და მაღაზიების წინ, იმის შესახებ, რომ მწვავდება დარღვეული წონასწორობა საქონლის მოთხოვნილებებისა და მიწოდების შორის (მე აქ მხედველობაში მაქვს გაძლიერებული შესყიდვა მარილის, ფქვილის და სხ., რაიც თქვენ თვითონ პირადად იცით ყოველდღიური ცხოვრებიდან).

მეორეს მხრით, თავდასხმისათვის მზადებისა და ჩვენის მხრით კონტრმზადების აუცილებლობის გამო ჩვენ წინაშე სდგება უფრო ფართო მასშტაბით დიდი სიძნელენი, მაგალითად, საზღვარ-გარეთის კრედიტების მიღების მხრივ, სიძნელენი საერთაშორისო ვაჭრობის დარგში, სიძნელენი, რომელნიც აქედან გამომდინარეობენ ჩვენი საექსპორტო-საიმპორტო გეგმისათვის, სიძნელენი, რომელნიც თავს იჩენენ ჩვენი საწარმოო პროგრამისა და ჩვენი მეურნეობის საკონტროლო ციფრების შედგენის დროს.

საქმე იმაშია, რომ თავდაცვის ოპერაციების მზადება ჩვენგან მოითხოვს საბიუჯეტო თანხების ხელახალ განაწილებას, ჩვენი არმიისა და ფლოტისათვის გადადებული თანხების გადიდებას, მოითხოვს ჩვენგან განსაზღვრული რესურსების (ნატურალური, ვალიუტის) დაგროვებას, მაშასადამე, საწარმოო ძალების გადაჯგუფებას, ხელახლად განაწილებას სხვადასხვა დარგებს შორის, ჩვენი სამხედრო მრეწველობის განმტკიცებას, ერთი სიტყვით, მოითხოვს მთელ რიგ ზომებს, რომელთაც უნდა უზრუნველჰყონ ჩვენი დამოუკიდებლობა უცხოეთის ეკონომიკისაგან.

ამრიგად საერთაშორისო სიძნელენი რამდენადმე გამომდინარეობენ ჩვენი შინაგანი ზრდიდან, იმ საფრთხიდან, რომელსაც წარმოადგენს ჩვენი კავშირის ზრდის ფაქტი ჩვენი რესპუბლიკის მტრებისათვის, მეორეს მხრივ წარმოშობილი საერთაშორისო გართულებანი გავლენას ახდენენ ჩვენს შინაგან ცხოვრებაზე დაწყებული მეურნეობიდან და გათავებული ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის თითქმის ყველა სფეროებით.

და აი, ამხანაგებო, ამ ისტორიულ საკმაოდ ციცაბო უღელტეხილზე, როდესაც მსოფლიო იმპერიალიზმი ამზადებს ჩვენს წინააღმდეგ სამხედრო შემოტევას, უღელტეხილზე, რომელიც დაკავშირებულია განსაკუთრებულ სიძნელეებთან, დიდი მასშტაბის სიძნელეებთან, ჩვენ ისევ ვხედავთ მერყეობას ჩვენი პარტიის განსაზღვრულ მცირე ფენის შიგნით, მერყეობას, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა ოპოზიციის გამძაფრებულ იერიშში პარტიულ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, ჩვენი პარტიის ყრილობების და კონფერენციების გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, იმ ხაზის წინააღმდეგ, რომელსაც ატარებს პარტია.

სრულიად გაცვეთილ ჭეშმარიტებად გახდა ცნობილი დებულება, რომ ომი არის პოლიტიკის გაგრძელება, მხოლოდ სხვა საშუალებებით, უფრო მწვავე, უფრო, ვულგარულად რომ ვთქვათ, გადამწყვეტი ზომებით. ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ საკითხი ომის შესახებ, ომის საფრთხის შესახებ, ე. ი. საკითხი ჩვენი პოლიტიკის გაგრძელებისა სხვა, უფრო მწვავე საშუალებებით, ეს საკითხი, ისე როგორც მასთან დაკავშირებული ამოცანები და სიძნელენი, აგრეთვე გამწვავებულ ფორმით აყენებენ საკითხს ჩვენ შინაპარტიულ უთანხმოებათა შესახებ.

თუ მართალია, რომ ომი არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით, აქედან სავსებით თვალსაჩინოდ გამომდინარეობს ის, რომ ჩვენი პოლიტიკის ყოველი დიდი პრობლემა —იქნება ეს დამოკიდებულება მუშათა კლასსა და გლეხობის შორის, იქნება ეს დამოკიდებულება გლეხობის სხვადასხვა ფენებს შორის, იქნება ეს დამოკიდებულება ამ სხვადასხვა ფენებთან, იქნება ეს დამოკიდებულება ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებთან, ე. ი. მთელ რიგ დიპლომატიურ საკითხებთან,—თითოეული ეს საკითხი საომარ ოპერაციებისათვის მზადების პირობებში, ქვეყნის თავდაცვისათვის მზადების პირობებში—დგება უფრო მწვავედ, ვიდრე უწინ. მაშასადამე ყოველ დიდ უთანხმოებას ყველა ამ საკითხების გარშემო პარტიასა და ოპოზიციას შორის, აუცილებლად უნდა მიეღო გაცილებით უფრო ფიცხელი, უფრო გამწვავებული ფორმა.

ჩვენ არა ერთხელ დაგვიხასიათებია ოპოზიციონურ ბლოკის „ხაზი", როგორც „ხაზი", ნაკარნახევი სიძნელეთა წინაშე შეშინებით, როგორც „ხაზი", რომელიც წარმოშობილია თითქმის ისტერიული შიშით, რომ ჩვენი პარტია და მუშათა კლასი ვერ დასძლევენ ამ სიძნელეებს. და სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენი პარტიის ყველაზე ნაკლებ მტკიცე ფენებში, განსაკუთრებით იმ უმნიშვნელო ფენებში, რომელთაც აქვთ საკმაოდ ხანგრძლივი ოპოზიციონური სტაჟი,—რომ ჩვენი პარტიის ამ უმნიშვნელო ფენებში ასეთ გარდატეხის მომენტში თავი იჩინა მერყეობამ. შინაპარტიული ცხოვრების უკანასკნელმა მოვლენებმა და იმ დისკუსიამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გაერთიანებულ პლენუმის მუშაობის განმავლობაში, მთლიანად დაადასტურა ეს დებულება, ამიტომ ჩემს მოხსენებაში მე იძულებული ვარ ყველა პრობლემები დავსვა ოპოზიციონურ შეხედულებათა კრიტიკის და პარტიის უმრავლესობის, ე. ი. ჩვენი პარტიის შეხედულებათა დაცვის თვალსაზრისით.

ოპოზიცია და ჩვენი განვითარების ბალანსი

ჩვენ გაერთიანებულ პლენუმზე, რომელმაც ეხლა ხან დაამთავრა თავისი მუშაობა ყველა საკითხებში, დაწყებული საერთაშორისო მდგომარეობის და ომის საკითხიდან, გაგრძელებული სამეურნეო პოლიტიკის საკითხებით და გათავებული ჩვენი შინა-პარტიული ურთიერთობის პრობლემით, წითელი ძაფივით ტარდებოდა ბრძოლა პარტიასა და შედარებით უმნიშვნელო ოპოზიციონურ ჯგუფს შორის, რომელიც არაჩვეულებრივი სიმკაცრით ილაშქრებდა პარტიული ხაზის წინააღმდეგ.

თქვენ გახსოვთ, რომ ჯერ კიდევ მე-14 პარტყრილობის შემდეგ, ჩვენს პარტიაში მეტად მწვავედ იხილავდენ საკითხს იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით მიდის ჩვენი ქვეყნის განვითარება, როგორ იჭრება ლენინური საკითხი— „ვინ—ვის", და თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, რომ უკვე მაშინ ოპოზიციონერმა ამხანაგებმა გადაუხვიეს ამ საკითხის ლენინურ გადაჭრას. თქვენ გახსოვთ დაუსრულებელი დავა სახელმწიფო კაპიტალიზმისა და მთელი რიგი სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არიან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებლობის პრობლემისა და მის პერსპექტივებთან, რომლებიც ოპოზიციას მეტად შავ ფერებში ეხატებოდა.

აი, სწორედ ამ საკითხის შესახებ, საკითხის, თუ ვინ ვის სძლევს—ჩვენ ოპოზიციისაგან პლენუმზე მოვისმინეთ ფორმულა, გაცილებით უფრო ნათელი და გაცილებით უფრო დაშორებული საერთო პარტიულ თვალსაზრისისაგან, ვიდრე ეს წინად იყო. ეს ფორმულა მოცემულია ამხ. პიატაკოვის შედარებით ლოიალურ სიტყვაში პლენუმზე. ამხ. პიატაკოვმა, გაუკეთა რა ანალიზი უმუშევრობის პრობლემას ჩვენს ქვეყანაში. წამოაყენა ისეთი დებულება, რომლის მიხედვით უმუშევრობას ადგილი აქვს „უწინარეს ყოვლისა იმის გამო, რომ ჩვენი მრეწველობა, ტრანსპორტი და ქალაქის მეურნეობა თავის განვითარებაში უკან რჩებიან მთელ სახალხო მეურნეობის საერთო ზრდას". ეს დებულება ეხლა უკვე სრული გარკვეულობითაა მოცემული.

ადვილი გასაგებია, თუ რას ნიშნავს ეს, ადვილი ასახსნელია ეს ფორმულა. თუ მართალია ის, რომ ჩვენი მბრძანებელი ეკონომიური მაღლობები თავის განვითარებაში უკან რჩებიან ქვეყნის მთელი ეკონომიკის საერთო ზრდას, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორი უკან რჩება თავის განვითარებაში კაპიტალისტურ მეურნეობასთან შედარებით, ან უფრო სწორად რომ ვსთქვათ—კაპიტალისტურთან და უბრალო საქონლის მეურნეობასთან შედარებით. რომ ეს ასე იყოს, მაშინ აქედან აუცილებლად უნდა გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ ლენინური საკითხი „ვინ-ვის", ამ უკანასკნელ დროს იჭრება სოციალისტური სამეურნეო სექტორის მინუსით. ე. ი. კლასიურ ენაზე რომ ვსთქვათ უკანასკნელ დროს ჩვენი ქვეყნის საერთო განვითარება ამცირებს მუშათა კლასის ეკონომიურ ძლიერების ყველა სხვა კლასების სამეურნეო, ეკონომიურ ძლიერების ზრდასთან ერთად, თუ ამ დებულებას თავის მხრივ გადავიტანთ პოლიტიკის ენაზე, მაშინ აქედან სრული სიცხადით გამომდინარეობს, რომ მუშათა კლასის ხვედრითი წონა, მისი პოლიტიკური ძლიერება, მისი სოციალ-კლასიური ძლიერება ჩვენს ქვეყანაში საერთოდ ეცემა და მით ძირს ეხრება პროლეტარულ დიქტატურას—ჩვენს სახელმწიფოს.

ამ თეზისით, რომელიც პირველი შეხედვით თითქოს უცოდველია, უკვე წინასწარ მოცემული ჩვენი სამეურნეო განვითარების ისეთი შეფასება, რომელიც გულისხმობს იმას, რაც კუთხურ პოლიტიკურ ენაზე ნიშნავს ჩვენს გადაგვარებას, ტერმიდორს და სხ.

თუ რამდენიმე ხნის წინად, მე-14 ყრილობის დროს და მის შემდგომ პერიოდში თვით ამ სიტყვა „ტერმიდორს" ერთგვარი მორცხვობით წარმოსთქვამდენ, ეხლა კი უკვე ჩვენ იმის მოწმენი ვართ, რომ საკითხს ტერმიდორის შესახებ, ოპოზიცია აყენებს სავსებით აშკარად, ასე ვსთქვათ, ჩვეულებრივად და „მოურიდებლად".

ამავე დროს კი, თუ ამ ფრაზას სერიოზულად შევეხებით, მაშინ აქედან ის დასკვნები უნდა გამოვიყვანოთ, რომლებსაც თანდათან უახლოვდება ოპოზიცია, თუ რომ უკანასკნელმა ამბებმა არ შეაჩერეს ის, თუ ჩვენმა პარტიამ არ შეაჩერა, რომელმაც საზღვარი უნდა დაუდოს ოპოზიციონურ ბრძოლის შემდგომ განვითარებას.

პარტიისათვის, მთელი ჩვენი ძლიერი პარტიული ორგანიზაციისათვის, ჩვენ პარტიის მილიონ წევრებისათვის, ჩვენი კომკავშირის უდიდესი უმრავლესობისათვის და, დაბოლოს, თვითეული ჩვენგანისათვის ცხადია, რომ ჩვენ ქვეყანაში ადგილი აქვს სოციალისტური მეურნეობის სწრაფი ტემპით განვითარებას. თვითეული ჩვენგანი ღრმათ არის დარწმუნებული იმაში, რომ არასოდეს არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა შემოქმედებითი ენერგიის ასეთი ფართო გაშლა, და როცა რომელიმე ჩვენგანს უხდება ლაპარაკი უცხოელთან, იქნება ეს ბურჟუაზიული ჟურნალისტი, თუ ამხანაგი-მუშა, ყოველი მათგანი აღიარებს, რომ ჩვენ თუმცა ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია ეკონომიურ-სამეურნეო კეთილდღეობისათვის მრეწველობამდე და თუმცა ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ღატაკია, მაგრამ ის იზრდება და იზრდება იმიტომ, რომ რევოლუციამ გამოაფხიზლა ხალხის კოლოსალური მასები, ჩაება ამ მოძრაობაში, პირველ ყოვლისა, პროლეტარული ფენები, რომელთაც შესწევთ ძალა სულ უფრო და უფრო ენერგიულად გარდაქმნან ჩვენი ძველი ცხოვრება ახალ წესზე.

განა მდგომარეობის ასეთი შეფასება, ასეთი სულიერი განწყობილება მართლაც ელემენტარული არაა ყოველი კომუნისტისათვის? განა ყოველივე ჩვენგანისათვის ეს ჭეშმარიტებას არ წარმოადგენს, რომელსაც არ სჭირდება, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის მაინც, მტკიცება და რომლის პროპაგანდასაც ჩვენ მთელი ჩვენი რევოლიუციონური აღტკინებით ვეწევით და ვალდებულიც ვართ გავსწიოთ მისი პროპაგანდა ყველას წინაშე და ყოველგვარ პირობებში?

მაგრამ სავსებით ბუნებრივია, რომ სრულიად სხვა სურათი იქნება ჩვენი განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობისა, თუ იმ დებულებიდან გამოვალთ, რომ ჩვენი სახელმწიფო ეკონომიკა უკან იხევს, თუ იმ დებულებიდან გამოვალთ, რომ ჩვენ ყოველ მიმართულებით ტერმიდორიანული გადაგვარება გვაქვს. და აი, ამ თეზისიდან ტერმიდორიანული გადაგვარების შესახებ, ჩვენ ეკონომიური უკანდახევის შესახებ და სხვ. ახალი ომის სამზადისის დროს, ჩვენმა ოპოზიციამ ამხ. ტროცკის სახით წამოაყენა მეტად საინტერესო დებულება, რომელიც ახასიათებს მათი შეხედულებათა მთელ სისტემას იმაზე, რაც ჩვენ ქვეყანაში ხდება. დააყენა რა პლენუმზე საკითხი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ იმპერიალისტური ომის შესაძლებლობის შესახებ, ამხ. ტროცკი კითხულობდა:

„შესაძლებელია თუ არა ჩვენი გამარჯვება რევოლიუციონურ გზაზე?"—და უპასუხებდა— „შეიძლება". შემდეგ აყენებდა მეორე საკითხს: —რა არის ამისათვის საჭირო (ამ რევოლიუციონური გამარჯვებისათვის?) და უპასუხებდა: „ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა **პოლიტიკური ბურუსის** გაფანტვა".

მაშასადამე, ჩვენში არა მარტო სწარმოებს უკან დახევა მთელ ფრონტზე ეკონომიური ცხოვრების დარგში, როგორც ამას ამტკიცებდა ამხ. პიატაკოვი, ჩვენში არა მარტო სწარმოებს ტერმიდორიანული გადაგვარება, როგორც ამას ამტკიცებდა ამხ. ტროცკი კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმზე და ამტკიცებდენ ამხ. ტროცკი და ზინოვიევი მათი საქმის გარჩევის დროს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმში. ეხლა უკვე გვეძლევა ერთგვარი განმაზოგადოებელი აზრი, რომელიც ყველაფერს ჰფარავს, ისახება, თუ შეიძლება ვიხმაროთ ასეთი ტერმინი, ჩვენი აღმშენებლობითა პერიოდის ერთგვარი ფილოსოფია. **ჩვენთვის ეპოქის ეს ფილოსოფია არის გამარჯვებული სოციალისტური აღმშენებლობის ფილოსოფია. ტროცკისთვის კი ეს არის „პოლიტიკური „ბურუსი", რომელიც უნდა გაიფანტოს".** აი, ასე, საფეხურიდან საფეხურზე ასვლით, ზოგიერთ ნაკლულოვანებათა გაზვიადებით, შავი პესიმიზმის ჰანგის გაძლიერებით ჩვენი აღმშენებლობისა და იმ პროცესების მიმართ, რომელნიც ხდება ჩვენს ქვეყანაში, ოპოზიციონერმა ამხანაგებმა ეხლა მოგვცეს განმაზოგადოებელი დახასიათება იმისა, რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში და ეს დახასიათება ამბობს:

„პოლიტიკური ბურუსი". თავის თავად ცხადია, რომ ყოველი აქტიური ადამიანისათვის, რომელიც რევოლიუციონერად სთვლის თავის თავს და რომელიც სცხოვრობს პოლიტიკური ბურუსის ქვეყანაში, ამჟამად პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს გაფანტოს ეს ბურუსი,— და ყოველივე ის, რასაც შემდეგ მოგახსენებთ იაროსლავის სადგურზე მოწყობილი ცნობილი დემონსტრაციის გამო, და სხვ. — ყოველივე ის იქნება იმ ცოცხის მიმოქნევა, რომელმაც უნდა განფანტოს ჩვენი პოლიტიკური ბურუსი.

ამ პატარა ციტატიდან, რომელიც მე მოვიყვანე, თქვენ ხედავთ, თუ რამდენად შორს წავიდა ოპოზიციის შეხედულებათა სისტემა პარტიული თვალსაზრისისაგან, როგორ შეეცვალა ამ ხალხს პოლიტიკური მსოფლმხედველობა. თუ პარტიის უდიდესი უმრავლესობა მუშაობს ენერგიულად, თავდავიწყებით, თუ საუკეთესო ელემენტები, პარტიის საუკეთესო კადრები და საუკეთესო მუშათა ელემენტები გრძნობენ, თუ როგორ სწრაფად მოძრაობს სისხლი ჩვენი სამეურნეო ორგანიზმის ძარღვებში, თუ ისინი გრძნობენ ძალების ზრდას, პროლეტარული შემოქმედების ზრდას, — თუ ეს ძალის ზრდის შეგრძნება შეადგენს ჩვენი პარტიის მუშური ავანგარდის „სულს", — ამას არ გრძნობენ ჩვენი ამხანაგები ოპოზიციიდან; მათთვის დამახასიათებელია ის, რომ რასაც ჩვენ უწოდეთ „პორაჟენცობა", პესიმიზმი, რწმენის უქონლობა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობისადმი, მათში განვითარდა, ჩამოყალიბდა, იმდენად გარკვეული, ნათელი სახე მიიღო ამ პესიმისტურმა მსოფლმხედველობამ, რომ ისინი ველარ ხედავენ გამარჯვებულ მუშაობას ჩვენს ქვეყანაში; და იმ ბალანსს, რომელსაც ისინი უკეთებენ სოციალისტურ აღმშენებლობას ჩვენს ქვეყანაში, — ოპოზიციის ბელადები გამოხატავენ ცნებით: პოლიტიკური ბურუსი.

ოპოზიცია და თავდაცვის საკითხი

სრულიად ბუნებრივია, ამხანაგებო, რომ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის ასეთ შეფასებებიდან გამომდინარეობს განსაკუთრებული დასკვნებიც ომის შესახებ. თუ, მაგალითად, ჩვენთვის, პარტიის უდიდეს უმრავლესობისათვის, პასუხს ომის საფრთხის ზრდაზე წარმოადგენს აუცილებელი მისწრაფება მოვახდინოთ ყველა ჩვენი ძალების მობილიზაცია, და საერთაშორისო მუშათა კლასის ძალების მობილიზაცია ჩვენი ქვეყნის დასაცავად, სამაგიეროდ ოპოზიციონურ შეფასებიდან ომის დაწყებისას წარმოიშობა ერთგვარი კითხვა: „როგორი იქნება ეს ომი? რის მომასწავებელი იქნება ის საბჭოთა კავშირის მხრივ? ხომ არ სჩანს ის, რომ ეს ომი ჩვენ მოგვიტანს ისეთ რამეს, რაც კიდევ უფრო გააუარესებს მუშათა კლასის მდგომარეობას ამ ქვეყანაში. რაც კიდევ უფრო გადაჭრით მიმართავს ჩვენი პარტიის პოლიტიკას მარჯვნივ?" მართლაც: თუ მართალია, რომ მუშათა კლასი ჩვენს ქვეყანაში იძულებულია თანდათან დასტოვოს თავისი პოზიციები, თუ მართალია რომ ჩვენს ქვეყანაში თანდათან იზრდება ტერმიდორიანული ელემენტები, რომლებიც თანდათან უფრო მეტ გავლენას ახდენენ ჩვენი პარტიის პოლიტიკაზე, თუ მართალია, რომ თითონ ჩვენი პარტია გადაგვარებას განიცდის, თუ მართალია, რომ ჩვენში სახელმწიფო აწარმოებს არა პროლეტარულ პოლიტიკას, არამედ, როგორც ამხ. ტროცკი ამბობდა კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე, როგორც ის და ამხ. ზინოვიევი ამბობდენ მათი საქმის გარჩევის დროს ცენტრ. საკონტროლო კომისიის მიერ, აწარმოებს კულაკისთვის ზედმეტ დათმობათა პოლიტიკას, თუ ჩვენი პარტია გამოხატავს უსტრიალოვისებურ - ნაციონალურ-რეფორმისტულ ხასიათის ტენდენციებს და არ აწარმოებს საერთაშორისო - პროლეტარულ-რევოლიუციონურ კურსს, —დამეთანხმეთ, რომ თუ ყველაფერი ეს ასეა, რაღა იქნება მაშინ, თუ ომი დაიწყო? სრულიად კანონზომიერია ამ კითხვის დასმა ომის საფრთხის პრობლემების ანალიზის დროს, თუ დავდგებით იმ თვალსაზრისზე, რომელსაც ადგია ოპოზიცია.

თუ ახლა არსებობს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობის ნაციონალურ - რეფორმისტული უსტრიალოვისებური გადახრა, თუ ჩვენს პარტიაში ბევრი დამპალი ტერმიდორიანული ელემენტები, თუ ჩვენი პარტიის ცეკას ახლა უსტრიალოვისაკენ აქვს აღებული კურსი, რაღას გააკეთებს ცეკა ომის დროს? კიდევ უფრო ხომ არ გააძლიერებს ის ამ კურსს, კიდევ უფრო სწრაფად ხომ არ წავა ომის დროს ჩვენი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების გადაგვარების პროცესი?

თუ ჩვენი სახელმწიფო შევაფასეთ ისე, როგორც მას აფასებს ოპოზიცია, შეუძლებელია მოუწოდოთ მუშათა კლასს, რომ მან ყოველ პირობის გარეშე დაიცვას ეს სახელმწიფო. ის არ წავა ასეთ სახელმწიფოს დასაცავად. და საბჭოთა კავშირის დაცვის საკითხს — ასეთ პირობებში უნდა დავუსვათ კითხვის დიდი ნიშანი.

კიდევ მეტი, აქედან შეიძლება ზოგიერთ სხვა დასკვნების გამოტანაც. თუ დავდგებით იმ თვალსაზრისზე, რომლის შესახებაც მე ახლა ვლაპარაკობ, სრულიად ნათელია, რომ აქედან ადრე თუ გვიან უნდა გამოტანილ იქნას შემდგომი დასკვნაც. ლენინი უკვე დიდი ხანია, რომ სწერდა ომების მეორე წყების შესაძლებლობის შესახებ, ახალ ომების შესაძლებლობის შესახებ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ. ის აყენებდა, როგორც ცნობილია, დებულებას იმის შესახებ, რომ გამოსავალს ამ ომიდან ჩვენი ბრძოლების პროცესში კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, ჩვენ კომუნისტები, ჩვენი პარტია, ვეძიებთ არა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, არამედ საერთაშორისო რევოლიუციაში, ე. ი. არა იმაში, რომ თითონ ჩვენ დავეშვათ „ზომიერ - წესიერ", ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოს რელსებზე, არამედ იმაში, რომ ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს ბრძოლის პროცესი კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ინტერვენციის წინააღმდეგ გარდაიქმნას საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციის პროცესად. საკითხის ასე დასმა აბსოლიუტურად სწორია, ეს არის საკითხის ერთად-ერთი კომუნისტური დასმა, და ის აღარ იქნებოდა კომუნისტი, ვინც უარს იტყოდა ამ ფორმულაზე.

მაგრამ თუ ვინმე ფიქრობს, თითქოს ჩვენთან არსებობს არა წმინდა პროლეტარული დიქტატურა, თუნდაც ბიუროკრატიული გადამახინჯებით, არამედ ნახევრად ტერმიდორიანული სახელმწიფო, მაშინ აქედან სრული აუცილებლობით გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: ომის დროს ეს სახელმწიფო კიდევ უფრო გადაგვარდება და საომარ ოპერაციების პროცესში გამოსავალს ეძიებს არა საერთაშორისო რევოლიუციაში, არამედ იმაში, რომ მთელ რიგ დათმობებზე წავიდეს თავის შინაურ და გარეშე მოწინააღმდეგებთან, განსაკუთრებით შინაურ მოწინააღმდეგეებთან საბოლოოდ გადასკუპდეს სხვა კლასიურ ბაზისზე და თავს უშველოს ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ გადაქცევის საშუალებით.

ეს პერსპექტივები ელანდება ჩვენს ოპოზიციას. ამხანაგები ოპოზიციიდან ეძებენ ყოველ ფაქტს, რომელიც თუნდაც გარეგანი შეხედულებით ადასტურებდეს იმას, რაც მათ „გუნებაში" ესახებათ. რაც ეყრდნობა ამ [illegible] პესიმიზმს და სოციალისტურ მშენებლობის საქმეში რწმენის დაკარგვას. ისინი ებღაუჭებიან პირდაპირ ყოველივე ფაქტს, რომ საშუალება ექნეთ სთქვან: აი, სწორედ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ახლანდელ ხელმძღვანელობას მივყევართ აქეთკენ; თუ ქვეყნის შიგნით ის აწარმოებს კულაკურ პოლიტიკას, ან მიდის იქამდე, რომ აწარმოოს ასეთი პოლიტიკა, ჩვენს საგარეო დამოკიდებულებათა საკითხში ის აწარმოებს პოლიტიკას ნაციონალურ - რეფორმისტული ტენდენციებით, ე. ი. ის ეძებს გამოსავალს არა საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციაში, არამედ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში. გამოდიან რა საბჭოთა კავშირის დაცვის მოსაზრებებიდან, ივიწყებენ მუშათა კლასს და არ ესმით, რომ თითონ სდგებიან ნაციონალურ-რეფორმისტულ პოზიციაზედ,—უტიფრად აცხადებს პარტიის შესახებ ოპოზიცია. რა საჭიროა ინგლის-რუსეთის კომიტეტში პერსელთან ჯდომა? იმის მაგიერ, რომ საქმე ჰქონოდათ საერთაშორისო მუშათა კლასთან. ეკიდებიან პერსელის „დამპალ თოკს".

კომუნისტურ ინტერნაციონალიდან აძევებენ „უკიდურეს მემარცხენეებს" (მასლოვს, რუტ-ფიშერს და სხ.) და ამავე დროს ზიან პერსელთან. და აი, ვღებულობთ მთლიან სურათს: ქვეყნის შიგნით—სოციალისტურ ელემენტების უკან დახევა, მიმართულება კულაკობისაკენ, საგარეო დარგში -კი—გადახრა სოციალ-დემოკრატიულ სისაძაგლისათვის, პერსელებისათვის და ჩინეთის გენერალიტეტისათვის ხელის შეწყობის მხრივ.

თავისთავად იგულისხმება, რომ ყველაფერი ეს რომ მართალი ყოფილიყო, საჭირო იქნებოდა პირდაპირ დაგვესვა თავისთვის კითხვა და გვეფიქრა იმაზე, თუ რა გზით შეგვეცვალა რადიკალურად არსებული წესრიგი. ნამდვილ რევოლიუციონერის თვალსაზრისით—რომ მართალი იყოს ყველაფერი ის, რაც მოჩმახა ოპოზიციამ,—პირველი დასკვნა იქნებოდა—განხეთქილება პარტიაში, დასკვნა მეორე—მთავრობის ჩამოგდება და სხ. თუ ამხანაგები ჯერ კიდევ არ მისულან აქამდე, ისინი მიცოცავენ იმისაკენ, რომ მიაღწიონ საკითხის ასეთ დასმამდე.

მე ამთავითვე უნდა ვთქვა, რათა ადგილი არ ჰქონდეს რაიმე გაუგებრობას, რომ ოპოზიციის მთელი რიგი ბელადები, და ვფიქრობ, კიდევ უფრო ის ოპოზიციონერი ამხანაგები, რომლებიც არიან არა ლიდერები, არამედ ოპოზიციის მომხრეები, განსაკუთრებით მუშებიდან,—სუბიექტურად, ე. ი. პირადად, ძლიერ შორს არიან იმ დასკვნებიდან, რომლებიც რკინისებური აუცილებლობით გამომდინარეობენ იმიდან, რასაც ისინი ლაპარაკობენ.

ომის პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებს განსაკუთრებით მწვავედ აყენებდა ამხ. ტროცკი. მე, ამხანაგებო, უკვე ვთქვი, რომ მდგომარეობის იმ შეფასებიდან, რომელსაც აძლევს ოპოზიცია, აუცილებლად გამომდინარეობს სკეპტიციზმი საბჭოთა კავშირის დაცვის საკითხში. ოპოზიციონერ ამხანაგების თვალსაზრისს მე დავარქმევდი პირობით ობორონჩობას. მე ასე წარმომიდგენია ოპოზიციის თვალსაზრისი: თუ ცეკა ახლანდელ კურსს შესცვლის ოპოზიციონურ „კურსად", მაშინ ყველაფერი ძალიან კარგად იქნება ასეთ სახელმწიფოს, ასეთ ცეკას, ასეთ კურსის და ასეთ პარტიის დაცვა შეიძლება. თუ კი ის ამ კურსს არ შესცვლის მაშინ დეე თითოეულმა მუშამ, მოქალაქემ, გლეხმა ჰკითხოს თავს, არის თუ არა საჭირო ასეთ სახელმწიფოს დაცვა?

ამხ. ორჯონიკიძის სახელზე გაგზავნილ წერილში ამხ. ტროცკი ამ წლის 11 ივლისს სწერდა:

„რა არის „პორაჟენცობა"? პოლიტიკა, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ ხელი შეუწყოს მოწინააღმდეგე კლასს ხელში მყოფი „თავისი" სახელმწიფოს დამარცხებას. „პორაჟენცობის" ყოველივე სხვაგვარი გაგება და განმარტება იქნება ფალსიფიკაცია. ასე, მაგალითად, თუ ვინმე იტყვის, რომ უმეცარი და უსინდისო „შპარგალშჩიკების" პოლიტიკური ხაზი უნდა აღგვილ იქნას როგორც ნაგავი, სწორედ მუშათა სახელმწიფოს გამარჯვების ინტერესებისათვის, იგი ამით ჯერ კიდევ სრულიადაც არ ხდება „პორაჟენეცი". პირიქით, ეხლანდელ კონკრეტულ პირობებში იგი არის რევოლიუციონური „ობორონცობის" ნამდვილი გამომხატველი: იდეური ნაგავი გამარჯვებას არ იძლევა".

სხვა სიტყვებით, ჩვენი პარტიის ცეკა უსამართლოდ აკრიტიკებს ოპოზიციას. ეს კრიტიკა არის იდეური ნაგავი, რომელიც გამარჯვებას არ იძლევა და რომელიც ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ინტერესებისათვის აუცილებელია აღიგავოს.

შემდეგ ამხ. ტროცკის მოჰყავს მაგალითი, რომელიც ასურათებს, თუ როგორ ესმის მას საბჭოთა კავშირის „თავდაცვა". ამხ. ტროცკი სწერს: „მაგალითები, და ჭკუის მასწავლებელი შეიძლება ვიპოვოთ სხვა კლასების ისტორიაში. მოვიყვანოთ მხოლოდ ერთი, საფრანგეთის ბურჟუაზიას იმპერიალისტური ომის დასაწყისში სათავეში ჰყავდა „გზა-აბნეული" მთავრობა. „კლემანსოს ჯგუფი ოპოზიციაში იყო ამ მთავრობის მიმართ"...

(ეს უნდა გავიგოთ ასე: ისევე, როგორც ეხლა ტროცკის ჯგუფი იმყოფება ოპოზიციაში).

შემდეგ იგი სწერს: „მიუხედავად ომისა და სამხედრო ცენზურისა (გესმით, რის თქმა უნდა ამით?), მიუხედავად თვით იმისა, რომ გერმანელები 80 კილომეტრის მანძილზე იმყოფებოდენ პარიზიდან (კლემანსო ამბობდა „სწორედ ამიტომ") იგი გააფთრებული ბრძოლას აწარმოებდა წვრილ-ბურჟუაზიული უილაჯობისა და მერყეობის წინააღმდეგ და იცავდა იმპერიალისტურ სისასტიკეს და დაუნდობლობას. კლემანსომ არ უღალატა თავის კლასს—ბურჟუაზიას, პირიქით, იგი მას უფრო ერთგულად, უფრო მტკიცედ, გადაჭრით, გონიერად ემსახურებოდა, ვიდრე ვივიანი, პენლევე და კამპანია. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ეს დაამტკიცა. კლემანსოს ჯგუფი ჩაუდგა სათავეში ხელისუფლებას და უფრო ლოღიკური, თანმიმდევრობითი ყაჩაღური იმპერიალისტური პოლიტიკით უზრუნველჰყო საფრანგეთის ბურჟუაზიის გამარჯვება. იყვენ თუ არა ისეთი ფრანგი კალმოსნები, რომელნიც კლემანსოს ჯგუფს უწოდებდენ „პორაჟენცებს"? უსათუოდ იყვენ: რეგვენები და ცილისმწამებელნი უკან მიჩანჩალებენ ყველა კლასებს, მაგრამ მათ ყოველთვის არ აქვთ შესაძლებლობა ითამაშონ ერთნაირად მნიშვნელოვანი როლი".

აუცილებელია ამ ციტატის შიფრის გახსნა. რას ნიშნავს ეს პასუხი საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის მზადების საკითხის შესახებ? ტროცკი ამბობდა: შეიძლება თუ არა ჩვენ ჩაგვთვალონ ჩვენი კლასის მოღალატედ იმის გამო, რომ ჩვენ არ მოვისურვოთ ჩვენი პარტიის ეხლანდელი ცეკას ცნობა? არა, არ შეიძლება. შეიძლება თუ არა დაიცვა უსტრიალოვისებური კურსი, ნახევრად ტერმიდორიანული და პარტიის ცეკას ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი მთავრობა? არა. მაშ რა უნდა გავაკეთოთ? ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ინტერესებისათვის უნდა შეიცვალოს ეხლანდელი მთავრობის, ეხლანდელი ცეკას შემადგენლობა და მაშინ შეიძლება დაიცვა ის ცენტრალური პარტიული და საბჭოთა აპარატი, რომელსაც მივიღებთ ამ „კლემანსოსებურ გადატრიალების" შემდეგ. ან პირიქით, იმასთან დაკავშირებით, რაც მე ვთქვი ჩემი მოხსენების დასაწყისში. თუ მართალია, რომ ჩვენი კურსი, ჩვენი პარტიის უდიდესი უმრავლესობის კურსი, ჩვენი ეხლანდელი ცეკას კურსი, თუნდაც ერთი მეათედით არის ტერმიდორიანული, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ ასეთი კურსის დაცვა ნიშნავს არა პროლეტარული სახელმწიფოს დაცვას, არამედ გადაგვარებულთა დაცვას.

და თუ დაიწყება ომი, მაშინ ეს გადაგვარება კიდევ უფრო მეტად გადააგვარებს ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოს, ჩვენს პარტიას და სხ. და ამიტომ რევოლიუციისათვის და რევოლიუციის გადარჩენისათვის, საბჭოთა კავშირის დაცვისათვის მის ეხლანდელ ფორმაში, საჭიროა ეხლანდელი ცეკას გადაგდება, ეხლანდელი მთავრობის შემადგენლობის შეცვლა და გადაყენება, ე. ი. კლემანსოსებური გადატრიალების მოხდენა ჩვენს ქვეყანაში, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მტერი 80 კილომეტრის მანძილზე იქნება ჩვენი რევოლუციის ცენტრებიდან. აი, საკითხის როგორ დასმასთან გვაქვს აქ საქმე.

მაგრამ ეს ხომ არ არის საბჭოთა კავშირის ყოველ პირობის გარეშე დაცვის თვალსაზრისი, ეს არის ვითომც „ბოლშევიკური" კლემანსიზმის თვალსაზრისი. აქ ტროცკისთვის ლაპარაკია არა იმაზე, რომ ცენტრალურ კომიტეტში, ჩვენი მთავრობის სათავეში სხედან უუნარიანო ხალხი,—არა, საქმე ამაში არ არის. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ოპოზიცია არ ეთანხმება ცეკას პოლიტიკურ ხაზს და ამიტომ „კლემანსოსებური გადატრიალება" ნიშნავს ერთგვარ პოლიტიკურ კლასიურ გადაჯგუფებას.

ოპოზიციური იდეოლოგიის ფესვები

თვითეული ჩვენგანი ადვილად მიხვდება, რომ მთელი ეს „კლემანსისტური" ფილოსოფია ემყარება ერთს მთავარ საკითხს, საკითხს იმის შეფასების შესახებ, თუ რა ხდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში და საკითხს იმის შესახებ, რომ მართალია თუ არა რომ სახელმწიფო მრეწველობა უკან იხევს კერძო მეურნეობის წინაშე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს აბსოლიუტური, მტკნარი სიცრუეა, რომ ეს აბსოლიუტური სისულელეა. შეიძლება მოყვანილი იქნას მთელი რიგი ციფრების იმის დასამტკიცებლად, რომ სახელმწიფო მრეწველობის ხვედრითი წონა იზრდება, რომ საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, უკანასკნელ წლის მანძილზე, ჩვენ მივაღწიეთ დიდ შედეგებს, რომ კერძო მესაკუთრის შევიწროების საქმეში, ჩვენ სხვა წლებთან შედარებით უფრო წავიწიეთ წინ. ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენი სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის ხვედრითი წონა საგრძნობლად გაიზარდა სწორედ უკანასკნელი წლის განმავლობაში, რომ მთელ რიგ დარგებში ჩვენ განვდევნეთ კერძო მესაკუთრე ძლიერ მაგარ პოზიციებიდან, მაგალითად პურის დამზადების დარგში. გასული წლის განმავლობაში ჩვენ ვიხმარეთ კერძო მესაკუთრეების მიმართ ზეგავლენის სხვადასხვა მეთოდი, დაწყებული რკინისგზის ტარიფების გადიდებით და გათავებული მთელი რიგ ადმინისტრატიული ზომებით. ჩვენთვის ეს საკითხი ფრიად ნათელია, ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება იმაში, რომ ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური ბაზა მტკიცდება და ვითარდება, რომ სოციალისტური განვითარება წინ უსწრებს კერძო მეურნეობის განვითარებას, და სწორედ ხომ ამაზე არის დამოკიდებული სხვა ყველაფერი. თუ კი ეს ასეა, მაშინ ხომ განცხადება იმის შესახებ, თითქოს პროლეტარიატი კარგავდეს მნიშვნელობას, მტკიცება ტერმიდორიანული გარდაქმნის შესახებ, ყველა აქედან გამომდინარე დასკვნები, თვით „კლემანსისტური" ანალოგიის საეჭვო გამოყენებაც, წარმოადგენენ სისულელეს.

მაგრამ საიდან წარმოიშვა ჩვენი ოპოზიციის მთელი ეს მერყეობა, რომელმაც მიიყვანა ის გაუგონარ ანტიპარტიულ და შეიძლება ითქვას, ანტირევოლიუციონურ დასკვნამდე? ამჟამად შეიძლება, სიმართლის ოდნავადაც დაუმახინჯებლად, აბსოლიუტური სისწორით იმის თქმა, რომ იმას, რასაც ამბობდენ მიასნიკოვი და „რაბოჩაია პრავდა", ის რაც წამოაყენეს თავის დასაწყის ფორმებში მუშათა ოპოზიციის ზოგიერთმა ჯგუფებმა. განსაკუთრებით კი ვითომდა უკიდურესად მემარცხენე ჯგუფებმა, რომლებიც ნამდვილათ ძლიერ უახლოვდებოდენ მენშევიზმს, ამას ყველაფერს იმეორებს დღეს გაერთიანებული ოპოზიცია ტროცკის მეთაურობით. განა იმ შეფასებისაგან, რომელსაც იძლევა ტროცკი არ გამომდინარეობს მესამე რევოლიუციის პრობლემა, რომელზედაც ლაპარაკობდა თავის დროზე „რაბოჩაია პრავდა"? რასაკვირველია, გამომდინარეობს. როგორ მსჯელობდნენ „რაბოჩაია პრავდას" ჯგუფის წევრები, რომლებიც აწყობდნენ ჩვენს პარტიაში არალეგალურ უჯრედებს პარტიასთან და საბჭოთა ძალაუფლებასთან საბრძოლველად? ამ ჯგუფის წევრები ლაპარაკობდნენ: მუშათა კლასმა ჩაიგდო ხელში ძალაუფლება, შემდეგ ამ კლასის ხელისუფლება გარდაიქმნა, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში ბევრი გლეხია და ჩვენს სახელმწიფო მრეწველობაში ჩაისახა ახალი ბურჟუაზიის კლასი, რომელმაც დაიკავა სახელმძღვანელო პოზიციები, რომ დროა გადავიდეთ ცრუ დიქტატურიდან, ჭეშმარიტ დიქტატურაზე და რომ საჭიროა კიდევ ერთი რევოლიუციის მოხდენა არსებული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. აი სწორედ მესამე რევოლიუციის პრობლემაც. საკითხის ამნაირად დაყენებას იწონებენ კაუცკიც, ლევიც და მენშევიკებიც „სოც. ვესტნიკიდან". მაგალითისათვის ავიღოთ ისეთი ჩვენი გაბოროტებული მტერი, როგორიცაა კაუცკი. კაუცკი ხანდისხან თანახმაა დაუშვას, რომ ძალაუფლება ჩვენ ხელში ავიღეთ, როგორც მუშათა პარტიამ. მაგრამ დღეს, ლაპარაკობს კაუცკი, ბიუროკრატიზმის განვითარების, ტერორისტული რეჟიმის, შევიწროების და სხვ. გამო, ჩვენ გარდავიქმენით ისეთ სახელმწიფოთ, რომელიც არაფრით სჯობია ცარიზმს, თუ იმაზე უარესიც არ არისო. ამიტომ ჩვენ უნდა დავამხონ. ასე მსჯელობს კაუცკი. რასაკვირველია, ოპოზიცია ასეთ დასკვნამდე არ მისულა (ესღა აკლდა), მაგრამ ის ახლოს მიუჩოჩდა საკითხის მენშევიკურ ან ნახ[illegible] დაყენებას. საჭიროა „ტერმიდორიანელების" გამოხვეტა—ლაპარაკობენ ისინი. მაგრამ, მოვიგონოთ, 1921 წელს, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს მარტოვმაც-კი სთქვა: ეს არის ტერმიდორი, და ურჩევდა ლენინს უფრო სწრაფად წასულიყო 18 ბრიუმერისაკენ, ბონაპარტიზმისაკენ. 1921 წელს მარტოვი ფიქრობდა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ეს არის ბოლშევიკების კაპიტულიაცია ბურჟუაზიის წინაშე, რომ ამ კაპიტულიაციას მოჰყვება პოლიტიკური კაპიტულიაციაც და რომ ჩვენი პარტიის ბელადი ლენინი გარდაიქმნება ბურჟუაზიულ დიქტატორათ, ბონაპარტათ. დღეს, 1921 წლიდან 1927 წლამდე გავიდა 6 წელი. მენშევიკების ნათქვამის განმეორება სრულებით არ წარმოადგენს ორიგინალობას, მაგრამ ის საინტერესოა პოლიტიკურის თვალსაზრისით, როგორც მაჩვენებელი იმისა, რომ მენშევიკების ამ ნათქვამის განმეორებას ადგილი აქვს ჩვენს პარტიაში.

ოპოზიციის დაახლოვება მენშევიზმთან იმით აიხსნება, რომ მას საფუძვლად უდევს ტროცკისტული თეორია და აიხსნება კიდევ იმით, რომ ზინოვიევი, კამენევი და სხვები ტროცკისტებათ გარდაიქმნენ, დაადგნენ ტროცკისტულ რელსებზე.

ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები, ეგრედ-წოდებულ „ლენინგრადის ოპოზიციიდან", ზინოვიევი და სხვები, აგრეთვე კამენევი ფიქრობენ, რომ მსჯელობა იმის შესახებ, თითქოს ტროცკიმ თავის იდეოლოგიაში შეინარჩუნა ცოტა რამ მენშევიზმთან, სისულელე არისო.

იმათ დაუშვებლათ მიაჩნიათ ამჟამად „ზელის ფათური" ტროცკის ისტორიულ წარსულში. კამენევმა ცეკას და ცენტრ. საკ. კომისიის პლენუმზე განაცხადა: არსებობდა ისტორიული ტროცკიზმი, ეს ისტორიული ტროცკიზმი ებრძოდა ბოლშევიზმს, მაგრამ დღეს ის უკვე თავის თავად მოისპო და ჩვენც სწორედ ამიტომ ვსდგევართ ტროცკისთან ერთად.

განა მართალია ეს? განა ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება? განა ტროცკი მართლა გახდა ჭეშმარიტი ბოლშევიკი? რა თქმა უნდა ამ კითხვებს ჩვენ ვსვამთ არა იმისათვის, რომ პირადათ შევეხოთ ტროცკის. ეს ჩვენ სრულებით არ გვაინტერესებს. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს, და მე მგონია რომ ჩვენი პარტიის ყველა წევრებსაც აინტერესებს ის, თუ როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ ტროცკის მთელი რიგი წლების განმავლობაში, მაშინაც, როდესაც ლენინი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და განსაკუთრებით-კი მისი სიკვდილის შემდეგ, განუწყვეტლივ იერიშში მიაქვს ჩვენს პარტიაზე? ხომ არ აქვს ამ მოვლენას რაიმე „ფესვები"? მართალია თუ არა კამენევი, როდესაც ამტკიცებს რომ ტროცკიმ უარყო თავისი ისტორიული ტროცკიზმიო? არა, არ არის მართალი. ტროცკიმ ყოველ ეჭვს გარეშე შეინარჩუნა თავისი ძველი ტროცკიზმი. მისი ხასიათის და მსოფლმხედველობის ძველი ნიშნები არ სჩანდენ რევოლიუციის უმწვავესი განვითარების დროს, უშუალო აჯანყების დროს და სამოქალაქო ომის ხანაში, მაშინ ეს ნიშნები მიჩქმალული იყო. მაგრამ დღეს, სოციალიზმის ენერგიული და სისტემატიური მშენებლობის დროს, ტროცკის ძველმა შეცდომებმა იჩინეს თავი. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიმდინარე წლის 27 ივნისის თარიღით აღნიშნულ ოქმებში, ამხ. ტროცკი ასე განმარტავს თავის დღევანდელ და წარსულ პოლიტიკურ ფიზიონომიას. ის სწერს: „მე... ბევრს რთულ საკითხების გამო ვებრძოდი ლენინს და ბოლშევიკურ პარტიას, მაგრამ მენშევიკი მე არ ვყოფილვარ. თუ ჩვენ მენშევიზმს გავიგებთ როგორც პოლიტიკურს კლასიურ ხაზს, და სწორედ ასე უნდა გვესმოდეს მენშევიზმი, მე მენშევიკი არა ვარ 1904 წლიდან. მე არასოდეს არ დავთანხმებულვარ მენშევიზმთან რევოლიუციისათვის კლასების მნიშვნელობის საკითხში".

ასე სწერს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ლაპარაკობს ამჟამად ამხ. ტროცკი. ტროცკი აცხადებს, რომ ის 1904 წლიდან არასოდეს არ ყოფილა მენშევიკი ისეთ საკითხებში, რომლებიც ეხებოდენ კლასების შეფასებას, ე. ი. სხვანაირად რომ ვსთქვათ, იმას, რომ ტროცკი მხარს უჭერდა „ლიკვიდატორებს", რომ მენშევიკებთან ერთად ღებულობდა მონაწილეობას აგვისტოს ბლოკში, ტროცკი სთვლის მეორე ხარისხოვან საკითხად, ორგანიზაციული ხასიათის საკითხად, ხოლო კლასების შეფასების საკითხში კი, ის თითქოს არ ყოფილა მენშევიკი 1904 წლიდან.

აი როგორ აფასებს დღევანდელი ტროცკი, გუშინდელ „ისტორიულ" ტროცკის. მართალია კი ის, რასაც ლაპარაკობს აქ ტროცკი? არა, არ არის მართალი. ტროცკი კლასების დაფასების საკითხშიაც მენშევიკი იყო. და ამას სრული სისწორით აღნიშნავდა ლენინი.

აი, მაგალითად, რას სწერდა ლენინი 1915 წლის ნოემბერში, წერილში „რევოლიუციის ორი ხაზის შესახებ".

„კლასების ურთიერთობის გამორკვევა მომავალ რევოლიუციაში რევოლიუციონური პარტიის უმთავრესი ამოცანაა. ამ ამოცანას გვერდს უხვევს საორგანიზაციო კომიტეტი (მენშევიკების, ნ. ბ.), რომელიც რუსეთში ერთგული მოკავშირე ხდება „ნაშე დელო"-სი და საზღვარ გარედ იხვრის ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულ „მემარცხენე" ფრაზებს. ამ ამოცანას სწორად არ სწყვეტს ტროცკი „ნაშე სლოვო"-ში, რომელიც იმეორებს თავის 1905 წლის „ორიგინალურ" თეორიას და არ სურს იფიქროს იმაზე, თუ როგორი მიზეზების გამო მოხდა, რომ ცხოვრება მთელი ათი წლის განმავლობაში უვლიდა გვერდს ამ მშვენიერ თეორიას".

„ტროცკის ორიგინალური თეორია ბოლშევიკებისაგან იღებს მოწოდებას გადამჭრელი რევოლიუციონური ბრძოლისაკენ და ამით პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისაკენ, მენშევიკებისაგან კი იღებს — „გლეხობის როლის „უარყოფას"... „ტროცკი საქმით ეხმარება რუსეთის ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოს მომხრეებს, რუსეთში, რომელთაც გლეხობის როლის „უარყოფის" ქვეშ ესმით ის, რომ გლეხობა არ უნდა იქნას ამხედრებული რევოლიუციისათვის".

აი. როგორ სვამდა საკითხს ლენინი. იგი ამბობდა: მუშათა კლასის მიერ ხელისუფლების დაპყრობის საკითხში ტროცკი ბოლშევიკების მხარეზეა, ხოლო გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხში — ტროცკი მენშევიკებთან არის.

რა არის გლეხობის შეფასება? განა ეს არ არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კლასის შეფასება? რასაკვირველია, დიახ. მე მოვიყვანე მხოლოდ ეს ციტატა და განა ამისაგან ნათლად არ გამომდინარეობს, რომ ლენინი სცნობდა, რომ ტროცკი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, 1904 წლის შემდეგ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კლასის — გლეხობის შეფასებაში მიდიოდა მენშევიკებთან ერთად, რომ იგი ამ როლს მენშევიკურ შეფასებას აძლევდა. ეს ხომ შავით თეთრზე სწერია.

და თუ ეხლა ტროცკი მოდის ჩვენთან და გვეუბნება: „მე არასოდეს არ ვყოფილვარ მენშევიკებთან ერთად კლასების შეფასების საკითხშიო", — რას ნიშნავს ეს სავსებით დამშვიდებულად თუ შევხედავთ საკითხს? ეს იმას ნიშნავს, რომ ამხ. ტროცკიმ დღემდე ვერ გაიგო, თუ როგორ უდიდეს შეცდომას ჩადიოდა ძირითად, არსებით საკითხში, გლეხობის როლის შეფასების საკითხში. ტროცკიმ ვერ გაიგო, რომ ამ საკითხში იგი იყო მენშევიკებთან და დარჩება იმდენად, რამდენადაც იგი არ სცნობს თავის ძველ შეცდომებს. მე მგონია ამხანაგებო, რომ რამდენადაც ზინოვიევი, კამენევი და სხ. ამხანაგები ყოფილი „ლენინგრადის ოპოზ-დან" ამბობენ, რომ ტროცკი ამჟამად არის სულ სხვა, ვიდრე იყო მენშევიკებთან კონტაქტის პერიოდში, რამდენადაც ისინი სოლიდარობას უცხადებენ ტროცკის ზემოთმოყვანილ განცხადებას ცენტ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმში, — რამდენადაც ისინი ფარავენ ტროცკიზმს, თავისდა შეუმჩნევლად, იმდენად ისინი გადადიან ტროცკის პოზიციაზე ამ უმთავრეს პოლიტიკურ საკითხში. აქედან გამომდინარეობს ყოველივე დანარჩენი. განა ტროცკი, გამოდიოდა რა გლეხობის როლის ზემოაღნიშნული შეფასებიდან, არ ამტკიცებდა, რომ ბოლშევიკები, რომელთაც აღებული აქვთ კურსი პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირზე, აწარმოებენ „პროლეტარიატის თვით შეზღუდვის" პოლიტიკასო („არა წმინდა კლასიურ ხაზს", როგორც ეხლა ამბობენ), და აქვთ „გარანტია" ანტირევოლიუციონური თანამშრომლის — გლეხის სახით. ასეა დახასიათებული პოლიტიკა მუშათა კლასის ბლოკისა გლეხობასთან. ამხ. ტროცკი ჯერ კიდევ მაშინ „წინასწარმეტყველობდა", რომ ბოლშევიკები მუშათა კლასს მიატმასნებენ ანტირევოლიუციონურ გლეხს, გახდიან მას თავის თანამშრომლად და ამაზე წაიტეხენ კისერს, ვინაიდან მუშათა კლასის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ განავითარებენ თავის შინაურ, ანტირევოლიუციონურ თვისებებსო. აი, ეხლაც, როცა ამხ. ტროცკიმ საკმაოდ ვერ გაიგო, ან სწორედ რომ ვსთქვათ, ვერ გაიგო თავისი მაშინდელი შეცდომის მთელი სიღრმე, ეს მატლი ღრნის მას ყოველთვის. როგორია მდგომარეობის შეფასება მის მიერ? მას, ისევე როგორც ზინოვიევს, კამენევს და სხვ. რომელნიც მას მიემხრენ, აქვს ისეთი შეფასება, რომელიც მას მნიშვნელოვნად აახლოვებს სოციალ - დემოკრატებთან. ეს არის ის შეფასება, რის შესახებაც ჩვენ არა ერთხელ ვამბობდით დისკუსიაზე მე-14 ყრილობის დროს. ჩვენ ჩამორჩენილი ქვეყანა ვართო, ჩვენ მრავალრიცხოვანი გლეხობა გვყავსო, მუშათა კლასი მხოლოდ პატარა ფენააო, ჩვენ თვითონ არ შეგვიძლია სოციალიზმის აშენებაო, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ, როგორმე გავახანგრძლივოთ ჩვენი ყოფნაო, ჩვენ შეგვიძლია ზედიზედ დათმობებზე წასვლა ჩვენი ნახევრად მოკავშირეებისა ან პირდაპირ კლასიური მტრებისადმიო. 1921 წელში ჩვენ დიდი ძვალი გადაუგდეთ გლეხობას და ნეპმანებს, რითაც შევინარჩუნეთ ძალაუფლებაო. ჩვენ შემდეგ ზედიზედ უნდა გადავუგდოთ ძვლები ჩვენი კლასიური მტრებისათვის, რომ შევინარჩუნოთ ძალაუფლება. მე-14 კონფერენციის დროისათვის წამოსროლილი იყო კიდევ ერთი ძვალიო, ხოლო მე-14 ყრილობის შემდეგ კიდევ ერთი ძვალიო და სხვ. ამგვარად ჩვენ დათმობას დათმობაზე ვახდენთ იმისათვის, რომ გვეხსნა ჩვენი თავი, როგორც პოლიტიკური ხელისუფლება, რომელსაც ყოველთვის ძირს უთხრიან ჩვენდამი მტრულად განწყობილი ჯგუფები და პირველ რიგში გლეხობაო. ვინაიდან საერთაშორისო რევოლიუცია არ ხდება, ამიტომ ჩვენ ვიღუპებით და ვიხრჩობით, როგორც პროლეტარიატის ხელისუფლებაო. ამ წინასწარი დებულებიდან, რომ ჩვენ თვითონ ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანაში არ შეგვიძლია სოციალიზმის აშენება, რომ ჩვენ არ გვაქვს საკმაო შინაგანი ძალები სოციალიზმის აშენებისათვის, იმავე წინასწარი დებულებიდან ტროცკისათვის გამომდინარეობს, რომ ჩვენ ვიღუპებით, რომ ჩვენ გადაგვარების გზაზე ვართ, რომ გადაგვარების გზაზეა ცეკას პარტიული ხელმძღვანელობა და სხვ., რომ ეს პროცესი ისტორიულად აუცილებელია.

ამ „შეფასებიდან გამომდინარეობს „კლემანსოსებური" ორიენტაცია ომის შემთხვევისათვის, თუ ბოლშევიკური ცეკა უსტრიალოვისებური გადახრით უხელმძღვანელებს სახელმწიფოს ომის დროს, იგი უფრო გადახრის ხაზს უსტრიალოვშჩინის მიმართულებითო, კიდევ უფრო მეტად წავა დათმობაზე კულაკის, ნეპმანის და სხ. მიმართ, და გამოსავალის ძებნას დაიწყებს არა საერთაშორისო რევოლიუციაში, არამედ უსტრიალოვისებურ ეროვნულ რეფორმიზმში. ამიტომ მტკიცე, გაბედული „პროლეტარული რევოლიუციონერები" ისევე გაბედული უნდა იყვნენ სახელმწიფო ხელმძღვანელობის შეცვლის საქმეში, როგორც გაბედული და მტკიცე იყო კლემანსო ბურჟუაზიის უილაჯო ფენების მიმართ და სხვ. ეს არის ერთად ერთი კურსი, რომელსაც შეუძლია იხსნას პროლეტარული რევოლიუცია და სხვ.

მთელ ამ „გეგმაში" იფარება კლასობრივი დამოკიდებულების არალენინური შეფასება, მუშათა კლასის გლეხობასთან კავშირის შეუთვისებლობა, რწმენა, რომ ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელია სოციალიზმის მშენებლობა, რწმენა, საიდანაც გამომდინარეობს აზრი, რომ გაწირული ვართ აუცილებელ გადაგვარებისათვის, თუ ეხლავე არ დაგვეხმარება დანარჩენ ქვეყნებში გამარჯვებული მუშათა კლასი.

გარეგნულად, ამ კონცეპციას რადიკალური ხასიათი აქვს, მაგრამ მოსცხეთ კულაკს, გაყარეთ ყოველგვარი ტერმიდორიანული ნაგავი და სხვ. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული სახეა. ამ იდეოლოგიის დედა აზრი ძირმომპალია. ამ პოლიტიკური იდეოლოგიის დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ უკან ვიხევთ, ვმარცხდებით, მივდივართ გადაგვარების გზაზე, რომ ჩვენ უკან მივდივართ და არა წინ, რომ საერთოდ ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასს ვერ გაუმაგრებია წელი ვერც ეკონომიურად და ვერც პოლიტიკურად, ე. ი. მთელი ეს თეორია ემყარება სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებას, რომ არსებითად მუშათა კლასსს ოქტომბერში არ უნდა მოეკიდნა ხელი იარაღისათვის; ვინაიდან ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანაში ლაპარაკიც არ შეიძლება სოციალისტურ რევოლიუციაზე, ვინაიდან ჩვენი რევოლიუცია შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლიუცია, ვინაიდან რევოლიუციის მოხდენა ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიცაა რუსეთი, არის „ბაკუნინ-ლენინური" უტოპისტური აბდა-უბდა და სხვ.

აი ამ სოციალ - დემოკრატიულ ნაცოხარს ამხ. ტროცკი წარმოგვიდგენს ხოლმე ყოველი ერთი წლის ან და 6-8 თვის შემდეგ, აი სწორედ ეს ნაცოხარი, სოციალ - დემოკრატიულ იდეების თაიგული წარედგინება ხოლმე ჩვენს პარტიას როგორც ტროცკიზმის უკანასკნელი სიბრძნე ტროცკიზმის, რომელიც მოწოდებულია ტერმიდორიანობაში ჩაფლულ პროლეტარულ მსოფლიოს გადარჩენისაკენ, სამწუხაროდ ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ისეთი ძველი ბოლშევიკები, როგორიც ამხ. კამენევი, ზინოვიევი და სხვ. სრულიად გაებნენ ტროცკიზმის ამ მახეში და ვერ მიხვდენ, რომ საკითხის ლენინურად დაყენებისაგან მათ არსებითად აღარაფერი შერჩენია რა.

და თუ ჩვენი ცენტრალური კომიტეტი ასე ზომიერად იცავს ეხლა თავის პოზიციებს, ეს იმიტომ, რომ ის ღრმად არის დარწმუნებული, რომ ჩვენ, გლეხობის მიმართ სწორი გზის აღების წყალობით, უკანასკნელ წლიწად-ნახევარში შევცვალეთ კლასობრივი დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ არა იმ მიმართულებით, რომელზედაც ფიქრობს ოპოზიცია, არამედ მეორე მიმართულებით — პლიუსით პროლეტარულ დიქტატურისათვის. თუ ჩვენ მე-15 კონფერენციასა და მე-14 პარტყრილობამდე თითქმის ყველა სოფლებიდან მოგვდიოდა ხმები იმის შესახებ, რომ გლეხობა ჩვენს წინააღმდეგ არის განწყობილი (მაშინ ამხ. ზინოვიევი მზად იყო ყველაფრის დათმობისათვის), ის მზად იყო უპარტიო გლეხთა ფრაქციების შედგენისათვის და სხვ.) — სამაგიეროდ ეხლა ჩვენმა პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, გლეხობის მიმართ სწორი ლენინური პოლიტიკის გატარების გამო უდიდეს გამარჯვებას მიაღწიეს ამ ფრონტზე, განამტკიცეს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. განამტკიცეს პროლეტარული დიქტატურა ჩვენს ქვეყანაში და ამითვე უზრუნველჰყვეს ჩვენი გამარჯვება იმ შემთხვევაში, თუ იმპერიალისტური სახელმწიფოები თავს დაგვესხმიან. ვინაიდან სისულელეა ფიქრი საბჭოთა კავშირის რამოდენიმედ ძლევამოსილ თავდაცვის შესახებ იმპერიალისტურ სახელმწიფოებისაგან, თუ მტკიცე არ იქნება მუშურ-გლეხური ბლოკი. ამნაირად არა ტროცკისტულ, არა ოპოზიციონურ, არამედ ლენინურ დაყენებით საკითხისა მუშურ-გლეხური ბლოკის შესახებ, ჩვენმა ცეკამ, ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა კავშირის მთავრობამ უდიდეს გამარჯვებას მიაღწიეს უკანასკნელ ერთ-ნახევარ-ორ წელიწადში და ამითვე ლენინურად მოემზადნენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის.

ოპოზიციის განცხადებიდან იცით, თუ როგორ დაისახა მან საკითხში ტერმიდორის შესახებ. გაერთიანებულ პლენუმზე ოპოზიციამ იერიში მიიტანა ცეკას წინააღმდეგ და ამ უკანასკნელს აბრალებდა ტერმიდორიანული კურსის აღებას. მაგრამ ტერმიდორის საკითხის გარშემო პლენუმზე გამართულ დისკუსიის შედეგად ოპოზიციამ თავისი თავი დამარცხებულად, შეიძლება ითქვას იდეურად განადგურებულადაც იგრძნო. ამის შემდეგ ოპოზიციამ დაიხია ტერმიდორის შესახებ საკითხის ასე დაყენებისაგან და მიიღო ახალი ფორმულა იმის შესახებ, რომ ტერმიდორი არსებობს, მაგრამ არა ჩვენი პარტიის ცეკაში, არამედ ქვეყანაში. თქვენ მშვენივრად იცით, თუ რა მნიშვნელობა აქვს საკითხის ასეთ შეტრიალებას. თუ მე ვიტყვი, რომ ტერმიდორიანობა ცეკაშია—ეს იმას ნიშნავს, რომ ცეკაში ზის გადაგვარების გზაზე მდგომი ხალხი.

ხოლო თუ მე ვიტყვი, რომ ქვეყანაში მოიპოვება ტერმიდორის ელემენტი, ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში არსებობენ ანტირევოლიუციონური ელემენტები, ცხადია, ჩვენს ქვეყანაში მოიპოვებიან კონტრრევოლ. ძალები, ჩვენთან კლასები არ არიან განადგურებულნი, ჩვენ გვყავს ბურჟუაზია, არის ახალი ბურჟუაზია, არსებობს კულაკობა, არსებობენ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ელემენტები, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი ჩვენს წინააღმდეგ და სხ. გადასვლა თეზისიდან, რომ ტერმიდორი ზის ცეკას ფარგლებში, თეზისზე, რომ ტერმიდორიანული ელემენტები არსებობენ ქვეყანაში—ეს დიდი უკან დახევაა. მაგრამ ჩვენმა ოპოზიციამ თავის ფორმულიროვკაში მოიტოვა გამოსაძვრომი ხვრელი, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ იარაღს შემდგომი იერიშებისათვის პარტიის წინააღმდეგ. ამ ხვრელს წარმოადგენს ოპოზიციის განცხადება, რომ ჩვენი ცეკა არ უწევს საკმაო წინააღმდეგობას ტერმიდორიანულ ელემენტებს ჩვენს ქვეყანაში.

ასე დაიხია ოპოზიციამ საკითხებში ტერმიდორის, საბჭოთა კავშირის დაცვის და „კლემანსიზმის" შესახებ. ცეკას პლენუმზე გამართულ დისკუსიის შედეგად ოპოზიციას გარკვევით უნდა განეცხადებინა, რომ ის გადაჭრით ემხრობა ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს თავდაცვას. მან განაცხადა, რომ ის გადაჭრით ემხრობა საბჭოთა კავშირის დაცვას. იმ სახით, რა სახითაც ამჟამად არსებობს ის, თუმცა ამავე დროს მან გადაჭრით დაგმო ტროცკის „კლემანსისტური თეზისი", ვინაიდან მას არ უნდოდა მთლად გაეცა თავისი ბელადი—ტროცკი.

ოპოზიციის სრული და გადაჭრითი დახევა ყველა ამ საკითხებში ნიშნავს ოპოზიციის მიერ ტროცკიზმის პრინციპების დაგმობას. ამ დაგმობისაკენ მოუწოდებს პარტია ყველა ოპოზიციონერებს.

ოპოზიციის ბლოკი კომინტერნიდან გამორიცხულებთან

ამხანაგებო, ეხლა მე გადავდივარ საკითხებზე, რომელნიც ერთი მხრით ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საკითხის და მეორე მხრივ კომუნისტური ინტერნაციონალის მოქმედებას შეეხებიან და განვიხილავ აგრეთვე ოპოზიციის მიერ ამ საკითხების შესახებ წამოყენებულ წინააღმდეგობებს. ამ მოხსენებაში მე არ შევჩერდები ჩვენი მოძმე პარტიების მდგომარეობის საკითხზე, რადგან საკითხის ეს მხარე საკმაოდ ვრცლად შუქდება ჩვენს პერიოდულ პრესაში. მაგრამ მე საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე ოპოზიციის დამოკიდებულებაზე კომინტერნის მიმართ, ოპოზიციის დამოკიდებულებაზე კომინტერნიდან გამორიცხულ ჯგუფებისადმი.

თქვენ იცით, ამხანაგებო რომ ცეკას მიერ ოპოზიციისადმი წაყენებულ საკითხების რიცხვში იყო საკითხი რუტ ფიშერის და მასლოვის ჯგუფებისაგან გამიჯვნის შესახებ. საკითხს რუტ ფიშერის ჯგუფის შესახებ თავისი ისტორია აქვს. რამდენიმე წლის წინად გამოქვეყნებული იყო გერმანიის კომპარტიის წერილი, რომელშიდაც პოლიტიკურად დასაბუთებული იყო რუტ ფიშერის და მასლოვის ჩამოშორება გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობიდან, რასაც მაშინ ეთანხმებოდა ამხ. ზინოვიევიც. როგორც ვახასიათებდით მაშინ ჩვენ ამხ. ზინოვიევთან ერთად ამ ჯგუფს, რომელიც აშკარად შორდებოდა კომინტერნს; ყველას შეუძლია წაიკითხოს რეზოლიუცია კომინტერნის მეექვსე პლენუმისა, რომელიც ამხ. ზინოვიევის უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა და სადაც პირდაპირ არის ნათქვამი რუტ ფიშერის და მასლოვის ჯგუფი იძლევა საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ანტიბოლშევიკურ და კომინტერნის პოლიტიკის ანტილენინურ, ანტიბოლშევიკურ შეფასებას, ავრცელებს რა ლეგენდას იმის შესახებ, რომ კომინტერნი „მარჯვნით" გადაიხარა. აი საიდან დაიწყო ეს ამბავი. ამის შემდეგ ჯგუფი კომუნიზმს უფრო და უფრო შორდებოდა. ამხ. ზინოვიევი გვეთანხმებოდა, რომ ამ ჯგუფის პოლიტიკა ანტილენინური, ანტიბოლშევიკური იყო. რუტ ფიშერი და მასლოვი მაშინ გარიცხული იქნენ პარტიიდან. როდესაც გერმანიის კომპარტიაში მოხდა ფაქტიური განხეთქილება, ულტრა მემარცხენეებმა მოაწყვეს თავისი პარტია და გამოუშვეს ანტიკომუნისტური გაზეთი „კომუნიზმის დროშა" („Die Fahne des Kommunismus").

ეს „კომუნიზმის დროშა" შეიქნა ეხლა ჩვენი ოპოზიციის ცენტრალურ ორგანოდ. 84-ის ანტიოპოზიციონური წერილი უკვე იბეჭდება ეხლა ანტირევოლიუციონურ ფურცლებზე. არ არის არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი სიტყვა —რომელიმე „ულტრა-მემარცხენე" ბელადისაგან წარმოთქმული, რომელიც ამ გამომცემლობაში არ მომხვდარიყო. გამომცემლობა მათ ბეჭდავს და კიდევ მეტი,—ჰყიდის მათ დაკლებულ ფასებში. „ულტრა-მემარცხენენი" გახდენ ეხლა ზინოვიევ-ტროცკისტულ პარტიად, რომელიც დირექტივებს ღებულობს ჩვენი ოპოზიციისგან და ექვემდებარება მის ხელმძღვანელობას.

მართალია, „კომუნიზმის დროშა"-ში იბეჭდება არა მარტო ზინოვიევის და ტროცკის სიტყვები, არამედ რუტ ფიშერის და მასლოვის საკუთარი ნაწარმოებნიც. ამ ნაწარმოებში პირდაპირ სწერია, რომ ჩვენში მართველობს სტალინის ფრაქცია და არა პარტია, რომ ცეკა ტერმიდორიანელების ორგანიზაციაა, რომ სტალინი—ნოსკეა, ე. ი. მუშათა ჯალათია და სხვ. ერთს დროს ისეთი მაგარი კურსიც იყო აღძრული, რომ პირდაპირ ლაფს ასხამდენ თავზე საბჭოთა კავშირს. უკანასკნელ ხანებში ტაქტიკა რამოდენიმედ შეცვლილ იქნა. პირდაპირ საბჭოთა კავშირს ლაფს აღარ ასხამენ, რადგან ამისათვის მუშები უსტვენენ მათ: სამაგიეროდ ამბობენ შემდეგს: ჩვენ მოვალე ვართ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ საბჭოთა კავშირი, მაგრამ კომუნისტურ პარტიას იქ ხელმძღვანელებად ჰყავს თავისი ნოსკე, შეიდემანები. მაშ მოდით და ასეთ პირობებში დაიცავით საბჭოთა კავშირი? ჩვენი პარტია ხომ განუყრელია საბჭოთა კავშირთან. ვინაიდან მუშათა კრებებზე საბჭოთა კავშირზე თავდასხმა უხერხულია, მათ სროლის მიზანში ამოღებული ჰყავთ ჩვენი პარტია.

აი როგორ ახასიათებენ, მაგალითად, ჩვენს პარტიას „ულტრა-მემარცხენე" კონტრრევოლიუციონერები გასული წლის დამლევს.

„ფაქტიურად ბოლშევიკები არიან მმართველნი, შეძლებული კლასების აღმასრულებელი კომიტეტი, რომელნიც კაპიტალიზმის შემოღების გამო ხელისუფლებას უსისხლოდ დაეპატრონენ".

სულ ცოტა ხნის წინად—მიმდინარე წლის ივლისში რუტ ფიშერ-მასლოვის ორგანო ჩვენი პარტიული ხელმძღვანელობის პოლიტიკას ასე ახასიათებდა:

„საბჭოთა კავშირის ეხლანდელი ხელმძღვანელები ასაზრდოვებენ კონტრრევოლიუციას. კონტრრევოლიუცია იზრდება ლეგალურად".

ნუ თუ ამის დამწერი არ არიან საბჭოთა კავშირის დამცველნი?".

16 ოქტომბრის განცხადებაში ოპოზიცია სწერდა, რომ იგი კისრულობს ვალდებულებას არც პირდაპირ და არც არა პირდაპირ მხარი არ დაუჭიროს გამორიცხულთა ჯგუფს. მან შეასრულა ეს დაპირება იმით, რომ ამ ჯგუფის ცენტრალური ორგანო თავის საკუთარ ცენტრალურ ორგანოდ გახადა.

მეორე მხრით, ოპოზიცია მხარს უჭერს საფრანგეთში სუვარინ-მონატ-როსმერის მემარჯვენე დაჯგუფებას, რომელიც სცემს ბიულეტენ „კომუნისტს" და პატარა ჟურნალს, რომელსაც ჰქვია „პროლეტარული რევოლიუცია". სუვარინის მიერ გამოცემულ ამ ბიულეტენის ერთ ერთს თითქოს უკანასკნელ ნომერში ნათქვამია, მუშათა სახელმწიფო, თითქოს ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ სოციალისტური ტენდენციები, თითქოს პარტიის ხაზი კულაკურია და სხვა ასეთი.

ფრანგი მემარჯვენენი ამბობენ იმასვე, რასაც ამტკიცებენ გერმანელი „ულტრა მემარცხენენი".

ამასთან ერთად მეტი არ იქნება აღინიშნოს, რომ სუვარინის ორგანო არსებობს ბურჟუაზიული წყაროების მატერიალური დახმარებით, რაც დოკუმენტალურად დამტკიცებულია.

რჩება ესეთი შთაბეჭდილება, რომ ოპოზიცია „გულმოდგინეობს"—კომინტერნიდან გამორიცხულ ანტირევოლიუციონურ ელემენტებთან ერთად, რომელნიც ბრძოლას აწარმოებენ გერმანიის და საფრანგეთის კომუნისტებთან, გამოდის, რომ ოპოზიცია სარგებლობს ანტირევოლიუციონური პარტიის ორგანოთი ჩვენ პარტიასა და კომინტერნზე თავდასასხმელად.

თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, რომ 16 ოქტომბრის განცხადებაში ჩვენი ოპოზიცია ბრწყინვალე დაპირებას იძლეოდა გამიჯნულიყო კომინტერნიდან გამორიცხულ ელემენტებისაგან. მაგრამ ისინი არა თუ საქმით გაემიჯნენ მათ. არამედ გააბეს მათთან მეტად მჭიდრო იდეური და ორგანიზაციული კავშირი. ეხლა ისინი იძულებული გახდენ ამ საკითხში უკან დაეხიათ, და განაცხადეს, რომ ორგანიზაციულად ამ გამორიცხულ ელემენტებისაგან იმიჯნებიან მაგრამ ამავე დროს ხაზს უსვამენ, რომ ამას სჩადიან ზევიდან ბრძანებით, რომ გამორიცხულნი უნდა დაბრუნებული იქნენ კომინტერნში და სხვა, შეიძლება თუ არა ოპოზიციის განცხადება ამ ნაწილში ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად? ერთი იოტითაც არა, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ რომ ოპოზიციამ აქაც „უბეში ჩაიტოვა" ქვა პარტიაზე თავდასასხმელად.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

ჩინეთის რევოლიუციის პრობლემა და ოპოზიციური ბლოკი

მე მსურს ეხლა შევჩერდე ჩინეთის რევოლიუციის ზოგიერთ პრობლემებზე. მე ვფიქრობ, რომ მთავარი, რაც ჩვენ გვანსხვავებს ოპოზიციისაგან და რაც უნდა შეიგნოს ჩვენი პარტიის ყოველმა წევრმა, ეს ისაა, რომ ჩინეთის რევოლიუციაში არ შეიძლებოდა ისე მოქმედება, როგორც მოქმედობდეს ბოლშევიკები 1905 წელში. თუ ამ საკითხს შევიგნებთ მთელი თავისი სიღრმით, მაშინ ძალიან ადვილად დავინახავთ, თუ რამდენად სწორი იყო ჩვენი ტაქტიკა ჩინეთის რევოლიუციაში (თუმცა აქაც ქონდა ადგილი ნაწილობრივ შეცდომებს) და შემცდარი ჩვენი ოპოზიციის „ხაზი", რომელიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩინეთის რევოლიუციისათვის მოითხოვს ისეთსავე ტაქტიკას, როგორც გვქონდა ჩვენ 1905 წლის რევოლიუციაში.

პირველად ყოვლისა მე მინდა თქვენს წინაშე დავაყენო აი როგორი საკითხი. პირველ შეხედვით კაცს ჰგონია რომ ოპოზიციის არგუმენტაციას თითქოს ერთგვარი დამარწმუნებელი ხასიათი აქვს. იმ პოლიტიკის დროს, რომელსაც ატარებდა ცეკა ან კომინტერნი, ასე თუ ისე დროებით დამარცხდა რევოლიუცია. ხოლო როცა ადამიანები, ორგანიზაციები და კლასები მარცხს განიცდიან, უნებლიეთ იბადება კითხვა: ხომ არ არის ამაში დამნაშავე ის პოლიტიკა, ის ტაქტიკა, რომელიც ტარდებოდა. თვით დამარცხების ფაქტი იწვევს ერთგვარ მიდრეკილებას გადასინჯულ იქნას ის ტაქტიკა, რომელიც ტარდებოდა.

შემდეგ, შეიძლება კაცს მოეჩვენოს, რომ ოპოზიცია არაჩვეულებრივად რადიკალურად მსჯელობდა, თითქოს ბოლშევიკურადაც. მართლაც და რას ლაპარაკობს ოპოზიცია? ის ლაპარაკობს: რა ეშმაკათ იყო საჭირო ბურჟუაზიასთან არშიყობა, საჭირო იყო „წმინდა კლასიური", „პროლეტარული" ხაზის გატარება, თავიდანვე საბჭოების შექმნა, როგორც ამას ჩვენში ქონდა ადგილი, და არა გომინდანთან, ჩან-კაი-შისთან და სხვა გენერლებთან არშიყობა და აგრეთვე მენშევიკური ტაქტიკის—ბურჟუაზიასთან ბლოკის გატარება, რამაც გამოიწვია დამარცხებაო. საჭირო იყო პირდაპირი, ბურჟუაზიასთან ბლოკის გარეშე პატიოსანი კლასიური ხაზის გატარება,—მაშინ ყველაფერი კარგად იქნებოდაო.

ამხანაგებო, მეტად რადიკალურადაა ნათქვამი და იქამდე შეიძლება დამაჯერებელიც იყოს ზოგიერთ ადამიანებისათვის, რომელთაც არ გაუთვალისწინებიათ ჩინეთის რევოლიუციის თავისებურობანი, რომელთაც არ წაუკითხავს ის, რასაც ლაპარაკობდა ლენინი ნაციონალური რევოლიუციის თავისებურობათა შესახებ კოლონიალურ ქვეყანაში.

მე მინდა გავიმეორო ის, რაც ვსთქვი ცეკას პლენუმზე ჩემს მოხსენებაში: ჩინეთის ამბებმა პირველად დააყენეს ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე სიგანით რევოლიუციის პრობლემა ნახევრად კოლონიალურ ქვეყანაში. აქამდე ჩვენ ვსწყვეტდით ტაქტიკურ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებული იყო სხვადასხვა რევოლიუციებთან: გერმანიის, ავსტრიის, უნგრეთის და დაბოლოს, ჩვენ რევოლიუციასთან. უნდა ვსთქვა, რომ ზოგადათ, რა თქმა უნდა, ვაყენებდით პრობლემას აღმოსავლეთის რევოლიუციის შესახებაც, მაგრამ არა მთელი თავისი კონკრეტიულობით, იმისდაგადაუჭრელად. თუ როგორ უნდა მოგვეხდინა ის, რა პირობებში, როგორი ლოზუნგებით და სხ.

მე პირველ ყოვლისა ვაყენებ ისეთ დებულებას, რომელიც ოპოზიციის არგუმენტაციის ცენტრში სდგას. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ უდგებოდა ამხ. ლენინი ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლიუციის საკითხს რუსეთში. როგორ მსჯელობდნენ მენშევიკები ჩვენი რევოლიუციის შესახებ, როცა ჩვენ მათ ვეკამათებოდით? ისინი ლაპარაკობდნენ ასე: ეს რევოლიუცია არის ბურჟუაზიული რევოლიუცია. ის მიმართულია ფეოდალური რეჟიმის წინააღმდეგ. მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. რაკი ეს რევოლიუცია ბურჟუაზიულია, მაშასადამე ბურჟუაზია უნდა იყოს რევოლიუციონური ძალა, მაშასადამე მუშათა კლასმა ამ ბურჟუაზიას მხარი უნდა დაუჭიროს, მუშათა კლასი უნდა წავიდეს შეთანხმებაზე, შეკრას ბლოკი ლიბერალურ ბურჟუაზიასთან. აქედან გამომდინარეობდა კადეტებისათვის არჩევნებში მხარის დაჭერის მენშევიკური ტაქტიკა, კადეტებთან ბლოკის ტაქტიკა, ისეთი ლოზუნგების ტაქტიკა, როგორიცაა ლოზუნგი—პასუხისმგებელი სამინისტრო.

რას ლაპარაკობდენ ბოლშევიკები და როგორ აყენებდა საკითხს ლენინი? ამხ. ლენინი ამბობდა: რევოლიუცია ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიულია, ეს მართალია, მაგრამ მუშათა კლასმა გლეხობასთან ერთად ეს რევოლიუცია უნდა წარმართოს ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში. განვითარების განსაკუთრებული პირობების გამო, რომლებშიაც ბურჟუაზიული რევოლიუცია დიდი დაგვიანებით ხდება, მუშათა კლასი უკვე დამოუკიდებლად გამოდის, ჩვენი ლიბერალური ბურჟუაზია აუცილებლად უღალატებს თავიდანვე რევოლიუციას, ამიტომ პროლეტარული პარტიის ამოცანას შეადგენს ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ბლოკი, არამედ ლიბერალური ბურჟუაზიის მხილება, არა მხარის დაჭერა ლიბერალური ბურჟუაზიისათვის, არამედ მის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლა.

მენშევიკურ ხაზს—პროლეტარიატის ბლოკს ლიბერალებთან,—ბოლშევიკებმა დაუპირდაპირეს მუშათა კლასისა და გლეხების ბლოკი ცარიზმისა და კონტრ-რევოლიუციონური ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. და აი, ამხ. ტროცკი და ოპოზიცია 1905 წ. ამ ბოლშევიკურ ტაქტიკას ავრცელებენ ჩინეთის რევოლიუციაზე და ამბობენ: „აკი ბოლშევიკები ქადაგებდნენ, რომ აუცილებელია ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ბრძოლა, თქვენ კი რა ქენით? თქვენ შეკარით ბლოკი ლიბერალურ ბურჟუაზიასთან, ამიტომ ბოლშევიკებმა ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვეს რუსეთის რევოლიუციაში, თქვენ კი ხელიდან გაუშვით მომენტი და დამარცხდით, ხელი შეუწყვეთ მოღალატეებს, რომელთაც გასცეს ჩინეთის რევოლიუცია, იმიტომ რომ თქვენ ატარებდით მენშევიკურ ხაზს".

აი ამხ. ტროცკის, ზინოვიევის და მთელ რიგ სხვა ოპოზიციონერ ამხანაგების მთავარი არგუმენტი. ამ არგუმენტაციას, ვიმეორებ, აქვს გარეგნულად დამაჯერებელი ნიშნები და ამ გარეგნულად დამაჯერებელი ნიშნების წყალობით მას შეუძლია შეიყვანოს ზოგიერთები შეცდომაში. მაგრამ, ამხანაგებო, საქმე იმაშია, რომ ჩინეთის რევოლიუციის მიმართ არალენინური და შემცდარია იმ ტაქტიკის უცვლელად გამოყენება, რომელსაც მიმართავდენ ბოლშევიკები 1905 წლის რევოლიუციაში.

როცა ამხ. ზინოვიევი ჩემი არგუმენტაციის შესახებ ლაპარაკობს, რომ ბუხარინს ლენინის მოძღვრება დემოკრატიული რევოლიუციის შესახებ მიუღებლად მიაჩნია ჩინეთშიო, ის, ამ შემთხვევაში, რბილად რომ ვსთქვათ ახდენს ერთგვარ გადახრას, ვინაიდან თვით ლენინმა ბურჟუაზიული რევოლიუციის შესახებ კოლონიალურ ქვეყნებში მოგვცა გარკვეული ტაქტიკური ხაზი, რომელსაც ჩვენ ვემხრობით და რომლის შესახებაც უნდა ვილაპარაკო ამჟამად ჯერ კიდევ კომინტერნის მეორე კონგრესზე ჩვენ წინაშე წამოიჭრა საკითხი კოლონიალური ქვეყნების შესახებ. ამხ. ლენინი თეზისების შესახებ კოლონიალურ საკითხებზე ლაპარაკობდა შემდეგს:

„რა არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ძირითადი იდეია ჩვენი თეზისებისა"?

„განსხვავება დაჩაგრულ და მჩაგვრელ ხალხებს შორის, ჩვენ ხაზს უსვამთ ამ განსხვავებას მე-2 ინტერნაციონალისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის საწინააღმდეგოთ; პროლეტარიატისა და კომუნისტური ინტერნაციონალისათვის იმპერიალისტურ ხანაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკრეტიულ ეკონომიური ფაქტების აღნიშვნა და ყველა კოლონიალურ და ნაციონალურ საკითხების გადაჭრის დროს არა აბსტრაქტულ დებულებიდან გამოსვლა, არამედ კონკრეტიულ სინამდვილის მოვლენებიდან".

ამრიგად ამხ. ლენინი პირველ ადგილზე აყენებს განსხვავებას იმპერიალისტურ ქვეყანასა და კოლონიალურ ქვეყანას შორის. თუ მთავარი მნიშვნელობა ეძლევა განსხვავებას იმპერიალისტურსა და კოლონიალურ ქვეყნის შორის, მაშინ ცხადია, რომ ამ ობიექტიურმა განსხვავებამ რაიმე გავლენა უნდა მოახდინოს ტაქტიკაზე და მთელი საკითხი მხოლოდ იმაშია ,თუ რა სახით და როგორ ფორმებში.

როგორ აყალიბებდა ამხ. ლენინი მაშინ ამ ტაქტიკურ განსხვავებას? მე მოვახდენ ნახტომს შორეულ წარსულში, როცა ბევრი, მათ შორის მეც, ვუშვებდით შეცდომებს ისეთ საკითხში, როგორიცაა ნაციონალური, და როცა ლენინი გვიმარტავდა ამ ჩვენ შეცდომას. მოგაგონებთ ერთ ეპიზოდს, რომელიც მე უკვე მოვიხსენიე ცეკას პლენუმის სხდომაზე.

მსოფლიო ომის დროს დიდი ბრიტანეთის მთავრობის გვერდით, ირლანდიაში, დაიწყო ამბოხება. თქვენ გახსოვთ, რომ მაშინ ადგილი ქონდა ირლანდიის დიდ აჯანყებას, რომელიც შემდეგ სისხლში ჩაახრჩეს ინგლისელებმა. ამ აჯანყებას (ირლანდია არის დიდი ბრიტანეთის [illegible] დაჩაგრული ქვეყანა) სათავეში იდგა არა პროლეტარიატი, არამედ ირლანდიის რადიკალური ბურჟუაზია ცნობილ დე-ვალერას მეთაურობით [illegible] აჯანყება არ ყოფილა პროლეტარული, თუმცა მუშები მას მხარს უჭერდნენ,—ეს იყო დაჩაგრული ერის აჯანყება იმპერიალისტების წინააღმდეგ, ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

როგორ შეხედეს ამ ფაქტს კომუნისტების სხვადასხვა ჯგუფებმა?

რადეკმა დაწერა წერილი ,სადაც ის ამბობდა, რომ ირლანდიის აჯანყება—პუტჩი—არ არის პროლეტარული, რომ ჩვენ მასთან არ გვაქვს საქმე, რომ ის განწირულია, რომ იქ ტარდება კლასობრივი ხაზი, რომ მას სათავეში უდგას რადიკალური ბურჟუაზიაო და სხ.

რას სწერდა ლენინი ასეთი შეფასების შესახებ?

ის ამბობდა, რომ ასე წერა—ნიშნავს მხარის გამაგრებას ინგლისის იმპერიალიზმისათვის ბრძოლაში დამონებული ერის აჯანყების, თუ გინდ ბურჟუაზიული აჯანყების წინააღმდეგ, რომელიც ანგრევს იმპერიალისტურ სისტემას. ლენინი ამტკიცებდა, რომ ასეთი დამოკიდებულება ირლანდიის აჯანყებისადმი—ნიშნავს დახმარებას ინგლისელ შოვინისტებისათვის. ის ამბობდა, რომ პროლეტარულ პარტიას, რომელიც მისდევს მარქსისა და ენგელსის ტრადიციებს, მხარი უნდა დაეჭირა ამ აჯანყებისათვის იმიტომ, რომ ეს არის დამონებული ერის აჯანყება დამმონებელი ერის წინააღმდეგ.

ხოლო თუ ისევ გადავალთ ჩინეთის საქმეებზე და ვიკითხავთ: რაში გამოიხატება განსხვავება იმპერიალისტურ ქვეყანასა და, პირველ რიგში, კოლონიალურ ქვეყანას შორის, მაშინ მე მგონია, ჩვენ უნდა უპასუხოთ—კონკრეტულად აი რაში მდგომარეობს: იმის გამო, რომ ჩვენს წინ არის არა იმპერიალისტური, არამედ ნახევრად კოლონიალური ქვეყანა,—აი სწორედ ამის გამო კლასთა შეფარდება ამ ქვეყანაში რევოლიუციის განსაზღვრულ პერიოდში არ შეიძლება ჰგავდეს კლასთა შეფარდებას იმპერიალისტურ ქვეყანაში. ან და ვიტყვი უფრო გასაგებად და მარტივად. ჩვენში ლიბერალური ბურჟუაზია ოდნავ გამოსთქვამდა თავის უკმაყოფილებას მეფის რეჟიმით, მას არ შესწევდა უნარი გადაჭრით ემოქმედნა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ. როდისმე გამოვიდა თუ არა ჩვენი კადეტური პარტია იარაღით ცარიზმის წინააღმდეგ? არასოდეს. როდისმე გამოვიდა თუ არა ლიბერალური ბურჟუაზია თუ გინდ გადამწყვეტი პროტესტით მეფის რეჟიმის წინააღმდეგ? არასოდეს. პირველმა მასიურმა, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანმა გამოსვლამ, როგორიც იყო 1905 წლის ოქტომბრის გაფიცვა, უკან დაახევინა მთელ ლიბერალურ ბურჟუაზიას. ეს უკანასკნელი ასეთმა გამოსვლამაც კი შეაშინა.

ეხლა აიღეთ ჩინეთის რევოლიუცია, გაითვალისწინეთ არა მარტო ის, რაც დღეს ხდება, არამედ ისიც, რაც 1911 წელში მოხდა. მოიგონეთ რა ხდებოდა ჩინეთში იმპერატორის დამხობის შემდეგ, სუნ-იატ-სენის მიერ შედგენილი პირველი რესპუბლიკის დროიდან. მოიგონეთ განვითარების შემდეგი სტადია — კანტონის პირველი მთავრობის პერიოდი. მოიგონეთ ჩრდილოეთის ლაშქრობის პერიოდი. გეკითხებით — უნდა გამოვდიოდეთ თუ არა კლასობრივ დამოკიდებულებათა ობიექტიურ ანალიზიდან? მართალია თუ არა ის, რომ ჩინეთის ბურჟუაზია გამოდიოდა იმპერიალისტების წინააღმდეგ, განვითარების ერთგვარ სტადიაში ეხმარებოდა საგაფიცვო მოძრაობას და იარაღით ხელში გამოდიოდა ფეოდალების, იმპერიალისტების წინააღმდეგ? მე ვამტკიცებ, რომ ჩინეთის რევოლიუციის განვითარებაში იყო ასეთი სტადია. ეს ფაქტია. კანტონის მთავრობა არ იყო „მუშურ-გლეხური", არ იყო „მუშების მეგობარი", როგორც ამას სწერდა რადეკი. განა ფაქტი არ არის, რომ მუშების მომავალმა ჯალათმა ჩან-კაი-შიმ მთელი ჩრდილოეთის ლაშქრობა ჩაატარა ნაწილობრივ, პირველ რიგში, ჩინელ ფეოდალებისა და ნაწილობრივ იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ამ ფეოდალებს ეხმარებოდნენ? დაახლოვებით 1911 წლიდან ჩინეთში რევოლიუციას ჰქონდა ისეთი ფაზები, როდესაც ჩინეთის ბურჟუაზია თამაშობდა აქტიურ როლს, იბრძოდა იარაღით ხელში იმიტომ, რომ არმიას ხელმძღვანელობდა ბურჟუაზიული სარდლობა და ჩან კაი-შიც, რომელიც აწარმოებდა ჩრდილოეთის ლაშქრობას, გამომხატველი იყო არა მშრომელ მუშებისა და გლეხების, არამედ ბურჟუაზიის ინტერესებისა. მთელ რიგ წლების მანძილზე ეს ბურჟუაზია თამაშობდა რევოლიუციონურ როლს, შემდეგ ის გახდა მუშებისა და გლეხების ჯალათი და დაიწყო კონტრ-რევოლიუციონური როლის შესრულება.

არის თუ არა განსხვავება ჩვენს კადეტებსა და ჩინეთის ამ რევოლიუციონურ ბურჟუაზიას შორის? არის.

ეხლა იბადება კითხვა: რატომ იყო ასე? ეს სწორედ იმიტომ იყო, რომ რუსეთში ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლიუცია იმპერიალისტურ ქვეყანაში, ხოლო ჩინეთში — ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლიუცია ნახევრად კოლონიალურ ქვეყანაში. და ჩინეთის ბურჟუაზიაც ძალიანაა დაინტერესებული იმით, რომ მოიშოროს იმპერიალისტური უღელი. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ ბურჟუაზიის გადაყვანისათვის კონტრ-რევოლიუციის ბანაკში, ჩვენი ქვეყნის კადეტურ ბურჟუაზიასთან შედარებით საჭირო იყო მასების მეტი ამოძრავება და ბურჟუაზიის მეტი დაშინება.

სწორედ აქედან წარმოიშვა შესაძლებლობა, რომ ჩინეთის ბურჟუაზიამ მთელი რიგ წლების მანძილზე ითამაშა აქტიური - რევოლიუციონური როლი და შემდეგ გადაიქცა კონტრ - რევოლიუციონურ ძალად. მოვიგონოთ მაგალითი რუსეთის რევოლიუციის ისტორიიდან. როდისმე ითამაშეს თუ არა ესერებმა რევოლიუციონური როლი? ითამაშეს. დასაშვები იყო თუ არა მათთან ბლოკი? იყო დასაშვები. 1905—7 წწ.. ჩვენ შევკარით ბლოკი ესერებთან. ხოლო ეხლა, რომელიმე კომუნისტმა რომ წამოაყენოს წინადადება ესერებთან ბლოკის შეკვრის შესახებ, რას ვიტყოდით? ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ ჩინეთში, სწორედ იმიტომ, რომ ის კოლონიალური ქვეყანაა, ბურჟუაზიამ მთელ რიგ წლების მანძილზე შეძლო ობიექტიურ რევოლიუციონური როლის თამაში. ამიტომ ვლადიმერ ილიჩი, კოლონიალურ ქვეყნების ბურჟუაზიისადმი დამოკიდებულების შესახებ, წინააღმდეგ დამოკიდებულებისა ბურჟუაზიისადმი ისეთ რევოლიუციაში, როგორიც იყო ჩინეთში 1905 წელს, სწერდა შემდეგს:

„კომუნისტური ინტერნაციონალი დროებით უნდა შეუთანხმდეს კოლონიებისა და ჩამორჩენილ ქვეყნების ბურჟუაზიულ დემოკრატიას და კავშირიც კი შეკრას მასთან, მაგრამ არ გაითქვიფოს მასში და უნდა შეინარჩუნოს პროლეტარული მოძრაობის დამოუკიდებლობა, რა გინდ უმნიშვნელოც არ იყვეს ის „მოძრაობა".

„ჩვენ, როგორც კომუნისტებმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეუწყოთ ხელი ბურჟუაზიულ — განმათავისუფლებელ მოძრაობას კოლონიალურ ქვეყნებში, თუ ამ მოძრაობას ნამდვილად რევოლიუციონური ხასიათი ექნება". და შემდეგ განმარტავს, თუ რას ნიშნავს ეს: „როდესაც მათი წარმომადგენლები არ გაგვიწევენ წინააღმდეგობას იმაში, რომ რევოლიუციონური სულით აღვზარდოთ და დავრაზმოთ გლეხობა და ექსპლოატაციის ქვეშ მყოფთა ფართე მასები".

დისკუსიის დროს ამხ. ზინოვიევმა მე მითხრა, რომ აქ ბურჟუაზიულ დემოკრატიაში იგულისხმება გლეხობა, და რომ ყველაფერი ამაში მდგომარეობს მთელი აზრი. ეს სისულელეა, იმიტომ, რომ იმ ციტატში, სადაც ლაპარაკია შეთანხმებისა და კავშირის შეკვრის პირობებზე, გარკვევით არის ნათქვამი, რომ „ჩვენ, კომუნისტებმა, ხელი უნდა შეუწყოთ ბურჟუაზიულ - განმათავისუფლებელ მოძრაობას კოლონიალურ ქვეყნებში მაშინ, როდესაც ბურჟუაზიის წარმომადგენლები ხელს არ შეგვიშლიან პროლეტარიატისა და გლეხობის აღზრდაში". მაშასადამე ჩვენ ვზრდით გლეხობას, ხოლო ბურჟუაზიულ - განმათავისუფლებელ მოძრაობას შეუძლია ან აგვიკრძალოს ან და პირიქით, ნება დაგვრთოს გლეხობის აღზრდა რევოლიუციონური სულით. უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ უნდა შევკრათ კავშირი მათთან.

განა ეს ის ტაქტიკაა, რომელსაც გვირჩევდა ლენინი მეფის დროის რუსეთისათვის? რასაკვირველია არა.

ოპოზიციის ერთ-ერთი გმირი, თქვენთვის ცნობილი საფაროვი, თავის წიგნაკში ნაციონალური საკითხის შესახებ სწერდა, რომ „მერყეობა საკითხში, რომელიც ეხება კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ქვეყნების ეროვნული ბურჟუაზიისთვის მხარის დაჭერას, ნიშნავს თვითმპყრობელურ შოვინიზმს". დღეს საფაროვს დაავიწყდა თავისი ნათქვამი, მაგრამ აღნიშნული წინადადება სიტყვა - სიტყვით სწერია მის წიგნაკში, პირველი შეხედვით ოპოზიციის პლატფორმა გვეჩვენება უკიდურესად რადიკალურად, მაგრამ სინამდვილეში, მიუხედავათ რადიკალობისა, მას აქვს სოციალ - დემოკრატიული გადახრის ნიშნები. ვინაიდან სოციალ - დემოკრატები მსჯელობდნენ ასე: „აი, თქვენ ბევრს ლაპარაკობთ ნაციონალურ მოძრაობაზე, მაგრამ ეს მოძრაობა კოლონიალურ ქვეყნებში არ არის წმინდა პროლეტარული და სხვ." ჩვენთვის კი, კომუნისტური თვალსაზრისით, საინტერესოა ის, რომ ხელში ჩავიგდოთ ეს მოძრაობა მიმართული იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ჩვენ დაინტერესებული ვართ ამ მოძრაობით მაშინაც კი, როდესაც მას, მის განვითარების პირველ ხაფეხურზე, ხელმძღვანელობენ არა პროლეტარული ელემენტებიც, ისე როგორც ვიყავით დაინტერესებული მოძრაობით, როდესაც ირლანდიის ბურჟუაზიას თან მიყავდა ირლანდიის მუშები და გლეხები, ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთი მოძრაობით ჩვენ დაინტერესებული ვართ იმიტომ, რომ ის არღვევს იმპერიალისტურ სისტემას იმიტომ რომ ის ობიექტიურად სასარგებლოა ხალხური რევოლიუციის ძალთა განვითარებისათვის.

და რომ ეშმაკიც გალაშქრებულიყო იმპერიალიზმის ღმერთის წინააღმდეგ, ჩვენ იმასაც ვეტყოდით მადლობას (სიცილი) მაგრამ, ამხანაგებო, ცხოვრება უბრალო თეორიაზე უფრო რთულია და ჩინეთის პრობლემის მთელი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ საქმის დასაწყისში ჩინეთის ბურჟუაზიას მიყავდა ხალხი იმპერიალისტების და ფეოდალების წინააღმდეგ. ჩინეთის ბურჟუაზიამ ხელი შეუწყო ხალხის ძალების განვითარებას, ხელი შეუწყო ხალხს დამოუკიდებელ ასპარეზზე გამოსასვლელად და სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი ტაქტიკის გამართლება, რომლითაც ჩვენ დასაშვებათ მიგვაჩნია ბურჟუაზიასთან კავშირი, რევოლიუციონური მოძრაობის განვითარების განსაზღვრულ ხანაში. რაში გამოიხატა ბურჟუაზიასთან შეთანხმება? უკანასკნელ დროს ეს შეთანხმება გამოიხატა იმაში, რომ კომუნისტურმა პარტიამ მხარი დაუჭირა ჩან-კაი-შის გალაშქრებას ჩრდილოეთზე. კანტონიდან შანხაიზე. ჩვენ ასეთი ტაქტიკით მოვიგეთ კიდეც. ჩვენ მოვიგეთ ის, რომ კანტონის ჯარების კანტონიდან შანხაიმდე მოძრაობის დროს, ლიბერალურმა ბურჟუაზიამ შეძლება მოგვცა რევოლიუციონურად დაგვერაზმა მასები და კანტონის ჯარების ჩრდილოეთით მოძრაობას მოჰყვა ძალთა დღემდე არ ნახული და გაუგონარი ზრდა და მასიური მოძრაობის განვითარება. სწორედ ამ დროს განვითარდენ კოლოსალურად მუშათა კავშირები, სწორედ ამ დროს გაჩნდა გლეხთა მოძრაობა, რომელმაც ორგანიზაციულად გააერთიანა 10 მილიონზე მეტი ხალხი. ჩვენ, როგორც პროლეტარიატის პარტია მხარს უჭერდით კანტონის ჯარების ბრძოლას ფეოდალების და იმპერიალისტების წინააღმდეგ. სწორედ ამ დროს ბურჟუაზია არ გვიშლიდა ხელს მუშების და გლეხების რევოლიუციონურ აღზრდაში და ამ რიგათ კანტონის ჯარების ამ გალაშქრების დროს სწარმოებდა ორგანიზაციული მუშაობა, რომელიც ნდობას უნერგავდა კომუნისტებისადმი. ეს იყო მთავარი, რასაც მივაღწიეთ, სხვა ყველაფერი, კი ჩვენ არ გვაინტერესებდა, როდესაც ამჟამად ჩვენ ვლაპარაკობთ ჩინეთის რევოლიუციის დამარცხებაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დიდი დამარცხებაა. მაგრამ ამასთან ერთად არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ მოპოვებული გვაქვს ორი დიდი გამარჯვებაც: პირველი ის, რომ იმპერიალისტებმა ვერ გააუმჯობესეს თავიანთი პოზიციები ჩინეთში, მიუხედავათ იმისა რომ ჩან-კაი-შიმ დაიწყო მუშების დახვრეტაც. მეორე ის, რომ ავამოძრავეთ ხალხის კოლოსალური მასები, რასაც ვერ შევსძლებდით, რომ მხარი არ დაგვეჭირა ჩრდილოეთზე გალაშქრებისათვის, რომ არ დაგვედო ბურჟუაზიასთან ის დროებითი შეთანხმება, რომელზედაც გვეუბნებოდა ამხ. ლენინი.

წარმოვიდგინოთ ახლა, რომ მაშინ როდესაც ჩან-კაი-შიმ დაიწყო თავისი გალაშქრება ჩრდილოეთზე და ამ მიმართულებით დაიძრნენ ჯარები კანტონიდან, ჩვენ რომ ავჯანყებულიყავით კანტონის ჯარების წინააღმდეგ, რომ არ წავსულიყავით შეთანხმებაზე ნაციონალურ ბურჟუაზიასთან და აშკარათ გამოგვეცხადებია მისთვის ულმობელი ომი და არავითარი კავშირი არ შეგვეკრა მასთან, განა ეს ხელსაყრელი იქნებოდა ჩვენთვის? რასაკვირველია ეს არ იქნებოდა ჩვენთვის ხელსაყრელი. ჩვენ იძულებული ვიქნებოდით ერთხელ კიდევ გაგვეშალა ფრთები და მხარი დაგვეჭირა კანტონის ჯარებისათვის. უამისოთ ჩვენ ვერ მივიღებდით ხალხის კოლოსალური მასების სასურველ ამოძრავებას.

ეს არის ის ტაქტიკა, რომელზედაც მიგვითითებს ჩვენ ლენინი. მაგრამ როდესაც ამ ძალებმა, რომლებიც ასე სწრაფად განვითარდენ და გამოიწვიეს შიში თვით ჩვენს მოკავშირე ბურჟუაზიაში, როდესაც თვალსაჩინო გახდა, რომ ეს ბურჟუაზია ხვალ უკვე დაიწყებს გადასვლას ჩვენი მტრების მხარეზე, — ჩვენ წინასწარ უნდა მოგვემზადებია ბრძოლის ახალი პირობები, მოგვემზადებია ახალი ხიდი, მოგვემზადებია ხალხი ამ ღალატისათვის, გვემხილებია მოღალატენი. ჩვენ ეს კიდეც ვქენით. სამწუხაროდ იმ ხანად ამის შესახებ რუსულ გაზეთებში ჩვენ ვწერდით ბევრად უფრო ნაკლებს იმაზე, რასაც სინამდვილეში ვაკეთებდით.

ამრიგად ამხანაგებო, მე შევაჯგუფებ ყველაფერს, რაც შეეხება საერთო გეზს. აქ შესაძლებელია სამი ხაზი: ა) ბურჟუაზიასთან შეთანხმება ყველა შემთხვევაში; ბ) ოპოზიციონური ხაზი: არასოდეს, არავითარ შემთხვევაში არ წავიდეთ შეთანხმებაზე ლიბერალურ ბურჟუაზიასთან; გ) ნამდვილი, ერთად ერთი სწორი ლენინური ხაზი მდგომარეობს იმაში, რომ განსაზღვრულ ეტაპებში მხარი დავუჭიროთ ბურჟუაზიულ გამათავისუფლებელ მოძრაობას —რამდენადაც ის არის ნამდვილად რევოლიუციონური.

ეს მოძრაობა ასეთია იმიტომ, რომ საშუალებას გვაძლევს ნამდვილი რევოლიუციონურ სულით აღვზარდოთ მასები, მუშათა და გლეხთა მასები. და აი, თუ ამ თვალსაზრისით განიხილავთ ჩინეთის რევოლიუციის მსვლელობას, თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენ ვიქცეოდით ლენინურად.

ჩვენ შეთანხმებული ვიყავით ლიბერალურ ბურჟუაზიასთან და ჩან-კაი-შისთანაც კი, სანამ ეს ჯგუფი საშუალებას გვაძლევდა აღგვეზარდა ჩინეთის კომუნისტური პარტია, აღგვეზარდა ჩინეთის ხალხის მასები, ისე, როგორც ეს ჩვენთვის იყო საჭირო. არ უნდა დავივიწყოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ თავის დროზე გადაუხვიეთ, როდესაც გამოირკვა, რომ ეს ლიბერალური ბურჟუაზია გადავიდა საწინააღმდეგო მხარეზე. სხვათა შორის პირადად ჩემზე ამბობენ: უკანასკნელი გომინდანელი—ნიკოლოზ ბუხარინიო. რუღლებითაც არ მრცხვენია ისე მოგითხრობთ მე თქვენ ამას.

მართლაც ძალიან ძნელია ჩვენი ტაქტიკის სისწორის მტკიცება სწორედ დამარცხების მომენტში.

და თავისთავად იგულისხმება, რომ ბოლშევიკურ ტაქტიკის მთელი სისწორის მიუხედავად, როდესაც ჩვენ გაგვანადგურეს 1905 წელში პრესნის ბარიკადებზე, ან როდესაც ჩვენ განვიცადეთ დამარცხება 1917 წლის ივლისის დღეებში, მაშინაც ძნელი იყო მტკიცება, უფრო ძნელი ვიდრე გამარჯვების დროს, რომ ბოლშევიკები მართალი იყვნენ.

ჩინეთის უკანასკნელ ამბების შესახებ მხოლოდ პატარა ნაწყვეტებია გაზეთებში. თქვენ იცით, რომ მას შემდეგ, რაც უხანის მთავრობამ გადაუხვია კონტრ-რევოლიუციის ბანაკისაკენ, იქ გამოიყვეს ზემოთ — და ქვემოთ კი, რა თქმა უნდა ბევრად უფრო მეტად — უკიდურესი მემარცხენე გომინდანელები. არა მგონია, რომ მათი სახელები თქვენ გაინტერესებდეს, მაგრამ მათ შორის არის, მაგალითად, სუნ-იატ-სენის ცოლი და მთელი რიგი სხვა დიდი მოღვაწენი ნაციონალურ რევოლიუციაში, მათ შორის არიან კომუნისტებიც, და აი მათ, როგორც თქვენ იცით გაზეთებიდან მოაწყვეს აჯანყება უხანის მთავრობის წინააღმდეგ. მე შემიძლია ვთქვა, რომ მათ შესძლეს 20.000-მდე მეომრის შეკავშირება. მათ დაიკავეს ნან-ჩანი. მათი გეგმა ასეთია—გავიდენ ნან-ჩანიდან, სადაც ისინი გარსშემორტყმული არიან მტრული ძალებით, გუან-დუნისაკენ, გაემართონ ამგვარად ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და გზა და გზა შეივსონ თავიანთი რიგები გლეხებით და მუშებით. ისინი წარმოადგენენ ნამდვილად რევოლიუციონურ სტრატეგიულ მებრძოლ მუშტს. მათ უწოდეს თავს წითელი არმია და წარმატებით დაიწყეს წინსვლა სამხრეთისაკენ. მათ აქვს რამოდენადმე წარმატების შანსები. მათ შექმნეს ახალი მთავრობა, უკვე აღარ ვიცი მერამდენე მგონი, მეთხე), რომელიც წარმოადგენს მუშათა და გლეხთა ბლოკს, ვინაიდან ის აშკარად აწერს თავის დროშაზე: „მიწის კონფისკაცია", „ვფუშოთ ხიშტი მაგრათ მემამულეებს" და საერთოდ უდიერად ექცევა წარჩინებულ მფლობელ ელემენტებს სოფლადაც და ქალაქშიაც. ხუბეიში დიდი ხანი არაა რაც შეიქმნა ბევრად უფრო მცირე ჯგუფი, მაგრამ ისიც ასეთივე ხასიათისაა. მათ გარშემო თავს იყრიან გლეხური მასები, მუშები, პარტიზანები და სხვ. რა თქმა უნდა, თუ ისინი დაბეგვეს, ცუდი იქნება, მაგრამ განა მათ გამოჩენაში არ სჩანს ჩვენი გავლენა, და განა შესძლებდენ ისინი უჩვენოდ ამ 20.000 მეომრის შეგროვებას? ჩვენ კი ყველაგან ვამჟღავნებდით გომინდანის ილიუზიებს და მოვიგეთ ის, რომ წარმოიშვა დიდი ალტკინება მასებს შორის. ახლა ჩვენ ისე მოვაწყვეთ საქმე, რომ ნამდვილი შეიარაღებული ძალა იმყოფება ჩვენს განკარგულებაში და არა ამ ნახევრად ფეოდალურ არამზადების ხელში.

ყველა მთავარი სახელმძღვანელო ადგილები ამ სამხედრო იერარქიაში უკავია კომუნისტებს და როგორც გვატყობინებენ ჩვენი ამხანაგები, დისციპლინის საქმე ძლიერ მტკიცეთ სდგას არის შანსები ვიფიქროთ, რომ ამ ახლად შექმნილ ჯგუფიდან წარმოიშვება ნამდვილი წითელი არმია. მე პირადათ ვფიქრობ, რომ ეს უკიდურესობით გამოწვეული ცდა, საქმის სასურველი განვითარების პირობებში, საუკეთესო არგუმენტი იქნება ჩვენი ტაქტიკის გამართლებლათ, ვინაიდან ყველა ისინი, ვინც შერყეობს, მაშინ უკეთ გაიგებენ ჩვენი ტაქტიკის სისწორეს, ვინემ ახლა, როდესაც აგრე რიგიანათ შეგვარყიეს.

რომ გავსინჯოთ ჩვენი ტაქტიკა ჩინეთის რევოლიუციაში, უნდა აღვნიშნოთ, რომ მცირეოდენი შეცდომები გვქონდა, მაგრამ მე გულწრფელად უნდა გავნაცხადოთ, რომ კომინტერნის და საკ. კომ. პარტიის (ბ) ცეკას ტაქტიკური ხაზი, იყო ერთად ერთი სწორი ხაზი. მე ვფიქრობ, რომ სრულებით სავალდებულო არ არის, რომ ჩინეთის ტაქტიკა მთლიანად გადავიტანოთ სხვა კოლონიალურ ქვეყნებში. ჩვენ კომინტერნში ვიხილავთ ამჟამად საკითხს ინდოეთის შესახებ. იქ არ არსებობს ისეთი მდგომარეობა, როგორიცაა ჩინეთში, მიუხედავათ იმისა, რომ ინდოეთიც კოლონიალურ ქვეყანას წარმოადგენს. მდგომარეობის სხვადასხვაობა გამოწვეულია იმ უბრალო გარემოებით, რომ ინდოეთის ბურჟუაზიას უფრო მჭიდრო კავშირი აქვს გაბმული ინგლისის იმპერიალიზმთან და ამიტომ ინგლისს იმპერიალიზმის წინააღმდეგ მისი ამოძრავება საეჭვოა გახდეს ობიექტიური ფაქტი. ამ რიგათ, არ შეიძლება ჩინეთში მიღებული გამოცდილება მექანიკურად გადატანილი იქნეს ინდოეთში, რაც შეეხება ჩინეთს, პრობლემის უფრო დაწვრილებითი განხილვის დროს თქვენ შენიშნავთ, რომ ერთად ერთი სწორი თვალსაზრისი, ეს იყო თვალსაზრისი, რომელსაც იცავდენ ჩვენი პარტია და კომინტერნი.

მე შევჩერდები კიდევ საკითხზე საბჭოების შესახებ ჩინეთის რევოლიუციაში.

ჩინეთის რევოლიუციის მთავარ თავისებურობას, რომელსაც დღესაც აქვს ადგილი, წარმოადგენს ისეთი ორგანიზაციის არსებობა, როგორიცაა გომინდანი, რომელიც შერყეა ჩანკაი-შის ღალატის შემდეგ. გომინდანი წარმოადგენს მასიურ ორგანიზაციას, რომელიც თავის წრიდან იძლეოდა მთავრობას. უხანის ხანაში მემარცხენე გომინდანმა გამოჰყო მთავრობა, რომელსაც ჩვენ მხარს უჭერდით მანამ, სანამ ის არ გადაიქცა კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობათ და მანამ, სანამ ეს მთავრობა რამდენიმეთ, მაინც ხელს გვიწყობდა ჩვენ, ჩვენს მუშაობაში, სანამ ხელს უწყობდა ჩინეთის კომპარტიას, ჩინეთის მუშებს და გლეხებს შორის — მუშაობის წარმოებაში. ჩვენ რომ ამ დროს დაგვეწყო საბჭოების მოწყობა, ეს წაგვიყვანდა მოკლე გზით უხანის მთავრობის დამხობისაკენ, იმ მთავრობის დამხობისაკენ რომლისთვისაც ჩვენ პირობა დავდევით მხარი დაგვეჭირა და რომლისთვის მხარის დაჭერა ჩვენს მოვალეობას შეადგენდა.

ეხლა, როცა ეს მთავრობა კონტრ-რევოლიუციის ბანაკში გადავიდა. გომინდანის მიმართ დაკავებული იქნა ასეთი პოზიცია. ჩვენ უნდა მოგვეხდინა უკანასკნელი ცდა დაგვეპატრონებია მთლიანად გომინდანის ქვედა ფენებს და დაგვემხო ვან-ტინ-ვეის- გომინდანის მემარცხენე ზედა ფენა და სხვ. ჩვენ უნდა მიგვეცა ასეთი დირექტივა იმიტომ, რომ მთელ მასიურ ორგანიზაციაში, რომელიც გომინდანთანაა დაკავშირებული, გლეხურ კავშირებში, კომიტეტებში, პროფესიონალურ მუშათა კავშირებში ჩვენ დიდი უმრავლესობა გვყავს. ყველა ეს ორგანიზაციები დაკავშირებული არიან გომინდანის ორგანიზაციასთან და ჩვენ, მე მგონია, უნდა მიგვეცა, ეს ერთად - ერთი სწორი ტაქტიკა, და მივეცით კიდეც ლოზუნგი — აემხედრებიათ გომინდანის მემარცხენე ქვედა ფენები ზედა ფენის წინააღმდეგ. მეორე მხრით ჩვენ ნათლად უნდა დაგვენახა ამ უკანასკნელ დროს ასეთი პერსპექტივა. შესაძლოა, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე, რომელსაც აქვს სამხედრო ძალა გადავა ისეთ სწრაფ შეტევაზე გომინდანის ორგანიზაციის მთელ ხაზზე, რომ გომინდანს აქცევს ისეთ ორგანიზაციათ, რომელსაც ვერაფერით ვერ გამოვიყენებთ ჩვენ. არსებობს გომინდანის პროვინციალური ორგანიზაციები, რომელთა სათავეშიაც არიან კომუნისტები ან მათ ახლოს მდგომნი. ამ კომიტეტებს აპატიმრებენ, მათ წევრებს სახრჩობელაზე გზავნიან, შემდეგ ინიშნება სხვა კომიტეტები და მათ ნიშნავენ კონტრ-რევოლიუციონერები. ამას ეწოდება გომინდანის „რეორგანიზაცია". ამიტომ ბუნებრივია, რომ როცა სამხედრო ძალა არა ჩვენ ხელთ არის, როცა ეს სამხედრო ძალა ჩვენს წინააღმდეგაა მომართული, ჩვენ შეიძლება ვერ მოვასწროთ გომინდანის მასების დარაზმვა, რომ მათ საარჩევნო წესით დაამხონ ზედაფენა. თუ გომინდანი დაშლის გზაზეა შემდგარი, მაშინ ჩვენი უკანასკნელი ცდა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ავამხედროთ გომინდანის ქვედა ფენები ზედა ფენის წინააღმდეგ. ეხლა უკვე გომინდანის ყველა საუკეთესო ელემენტები წავლენ საბჭოების გზით, იმიტომ რომ გომინდანის ორგანიზაცია იშლება, ალბად ჩვენ ვერ მოვასწრებთ გომინდანის ქვედა ფენების დარაზმვას ზედა ფენის წინააღმდეგ. აი რატომ მივიღეთ ჩვენ საბჭოების გაძლიერებული პროპაგანდის ლოზუნგი და თუ განვითარდება რევოლიუცია, მაშინ აუცილებელი იქნება ამ ლოზუნგის პროპაგანდიდან საბჭოების უშუალოდ მოწყობაზე გადასვლა და ამ ლოზუნგის, როგორც უშუალო პოლიტიკური ბრძოლის აქტიურ ლოზუნგად წამოყენება.

ასე უნდა გავიგოთ ის ლოზუნგები, რომლებიც ჩვენ წამოვაყენეთ ან უკანასკნელ დროს.

საორგანიზაციო საკითხი და ოპოზიცია

დაბოლოს მე მსურს თქვენი ყურადღება შევაჩერო საორგანიზაციო პარტიულ საკითხზე, როგორც იგი სდგას ოპოზიციის უკანასკნელი გამოსვლებთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, მე მინდოდა მომეგონებია თქვენთვის, რომ ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობის შემდეგ ჩვენ ყველანი ვამტკიცებდით, რომ „ახალი ოპოზიცია" საორგანიზაციო საკითხში არსებითად გადავიდა ტროცკის პლატფორმაზე იმის გამო, რომ მან წამოაყენა ფრაქციებისა და ჯგუფების თავისუფლების ლოზუნგი, ტროცკის ლოზუნგი—„იცოცხლე და სიცოცხლის საშუალება მიეცი სხვებსაც", რომელიც რამოდენიმე ხნის განმავლობაში გადაიქცა ოსოვსკის ლოზუნგად ორი პარტიის შესახებ.

როცა ჩვენ მოვიხედავთ უკან, წარსულისაკენ, ჩვენ დავინახავთ რომ ყოველმა შენიშვნამ, რომელიც მაშინ ოპოზიციამ გააკეთა და რომელიც მიმართული იყო პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ, თავისი მომწიფებული ნაყოფი მოვვიტანა. ეს ნაყოფი მიიღო „ძველმა" ისტორიულმა ტროცკიმ. საორგანიზაციო-პარტიული პრინციპების თვისი გაგება ტროცკიმ განსაკუთრებით ნათლად გამოხატა 1904 წ. ბროშურაში: „ჩვენი პოლიტიკური ამოცანები". მე მოგაგონებთ თქვენ ტროცკის მსჯელობას 1904 წელში, რომ გამოაშკარავოთ ოპოზიციის ეხლანდელ შეხედულებათა ისტორიული კავშირი ამ ძველ ტროცკისტულ მენშევიკურ შეხედულებებთან. აი, მაგალითად, რას სწერდა ტროცკი ლენინის წინააღმდეგ ბოლშევიკური პარტიული რეჟიმის შესახებ. ,

„კომიტეტის სამი ან ხუთი წევრი წარმოადგენს „საზოგადოებრივი მუშური ორგანიზმის მთლიანობას და ნებისყოფას". ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს, ისინი „ქმნიან" ახალ მიმართულებას პარტიაში, არქივს აბარებენ „ეკონომიზმს", ხმარებაში შეაქვთ „ცენტრალიზმი", სცნობენ „ისკრა"-ს უარჰყოფენ „ისკრა"-ს,—ერთი სიტყვით, ქმნიან მთელ შინაპარტიულ პოლიტიკას, მათ ექვემდებარება „დეტალური მუშაკების მასა", რომელნიც ბეჭდავენ პროკლამაციებს, აგროვებენ ფულს, არიგებენ ბროშურებს... უკანასკნელი 3—4 წლის ინტენსიური შინაპარტიული დავის შემდეგ ძალიან ბევრი კომიტეტის ცხოვრება წარმოადგენს მთელ რიგ „სახელმწიფო გადატრიალებებს", მე-18 საუკუნის სასახლის გადატრიალებათა მსგავსად. სადღაც ზევით, მაღლა-მაღლა, ვიღაც, ოდესღაც, სადღაც აგდებს, სცვლის, ვიღაცას აზრობს, ვიღაც თავის თავს რაღაცად აცხადებს,—ამის შემდეგ კომიტეტის კოშკზე ზეიმით ჩნდება ბაირაღი წარწერით: „ორთოდოქსია, ცენტრალიზმი, პოლიტიკური ბრძოლა"...

განა ყოველივე ის, რასაც ოპოზიცია ამბობს ეხლა პარტიული რეჟიმის შესახებ, გადმოწერილი არ არის ტროცკის ბროშურიდან „ჩვენი პოლიტიკური ამოცანები?" განა ის, რასაც ტროცკი მიმართავდა ლენინის წინააღმდეგ არ არის ეხლა მიმართული ოპოზიციის მიერ ცეკას და მთელი პარტიის წინააღმდეგ?

განა „ისტორიულმა" ტროცკიმ არ მოიმკო?

აი, როგორ ესმოდა ტროცკის, და როგორ ესმის ეხლაც პარტიული დისციპლინა:

—„დისციპლინას,—სწერს ტროცკი,—აზრი აქვს მანამ, სანამ უზრუნველყოფილია ბრძოლის შესაძლებლობა იმისათვის, რასაც სწორად სთვლი და რის გამოც თავზე იღებ დისციპლინას. მაგრამ როცა განსაზღვრული მიმართულება დაყენებულია „უფლებათა წართმევის" პერსპექტივის წინაშე, ე. ი. იდეური გავლენისათვის ბრძოლის შესაძლებლობის დაკარგვის წინაშე, მაშინ მისი არსებობის საკითხი უფლების საკითხიდან მისთვის გადაიქცევა ძალის საკითხად".

„ამ უკანასკნელ შემთხვევაში,—განაგრძობს ტროცკი,—კრამოლური მიმდინარეობის წარმომადგენლნი, მდგომარეობის სიმწვავის მიხედვით ან სტიშავენ პარტიას,—რეალურ დისციპლინის თავისი პრინციპების მიმართ მაღლა აყენებენ ფორმალური დისციპლინას „პრინციპებზე", ან რჩებიან პარტიაში და თავისი გავლენის გამოყენებით სცდილობენ, რომ მათი შეზღუდავი პარტიული დისციპლინა დაიყვანონ მინიმუმამდე. რომ ამით უზრუნველჰყონ მოქმედების თავისუფლების მაქსიმუმი და წინააღმდეგობანი მავნე ტენდენციების მიმართ რამდენადაც ისინი შეგნებულად გაინთავისუფლებენ თავს პარტიული იძულების ზღუდიდან,—პარტიის ინტერესებისათვის, როგორც ეს ესმით მათ, და რამდენადაც მათი გავლენა მისცემს ამის საშუალებას, იმდენად უბადრუკი ცრუმორწმუნეობა იქნება მოწინააღმდეგე მხარისა ყოველგვარი ცდა შეაჩეროს ისინი სიტყვა „დისციპლინის" განმეორებით. არაფერი არ შეიძლება იყოს იმაზე ძლიერი, ვიდრე არის პოლიტიკური „ბელადის" ფიგურა, რომელიც გადამჭრელ წუთში ასეთ ხერხს მიმართავს. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავინახსოვროდ".

ტროცკი დისციპლინას სცნობს იმდენად, რამდენადაც იგი არ ავიწროებს მის „პიროვნებას", მისთვის არსებობს მხოლოდ მისი პირადი შეხედულებანი, პირადი რწმენა, პირადად მის მიერ დაწესებული ნორმები. პარტიული გადაწყვეტილებანი, საერთო პარტიული ნორმები, პარტიული ნებისყოფა, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყოველი პარტიული, მისთვის არ არსებობს.

როცა პარტიის შეხედულება არ ეთანხმება მის პირად შეხედულებას, იგი „სტიშავს" პარტიას, იგი „უბადრუკ ცრუმორწმუნეობად" აცხადებს „ყოველგვარ ცდას". რომ სიტყვა „დისციპლინის" განმეორებით „შეაჩეროს" იგი. ტროცკის ამ დებულებიდან ხომ არ გამოდიოდა ოპოზიცია, როცა იგი აბუჩად იგდებდა პარტიის ნებისყოფას? ლენინი კი ტროცკიზმს ორგანიზაციულ საკითხში განსაკუთრებულის სიმკაცრით ახასიათებდა. აი, რას სწერდა იგი ამის გამო:

„პარტიული ორგანიზაცია მას ჰგონია საოცარი „ფაბრიკა", ნაწილის მთელისადმი დამორჩილება, და უმცირესობის უმრავლესობისადმი დამორჩილება მას ჰგონია „დამონება"... შრომის განაწილება ცენტრის ხელმძღვანელობით მის მხრივ იწვევს ტრაგიკომიკურ გოდებას იმის წინააღმდეგ, რომ ადამიანები ხდებიან ვინტებად და ბორბლებად... მითითება პარტიის საორგანიზაციო წესდებაზე ზიზღის გამომეტყველების და მძულვარების („ფორმალისტებს" მისამართით) შენიშვნას იწვევს, რომ შეიძლება უწესდებოდაც ვიყოთო... არ არის საჭირო არავითარი იერარქია დაბალ და მაღალ პარტიული კოლეგიებისა და ინსტანციებისა,—ბატონურ ანარქიზმს ასეთი იერარქია ჰგონია უწყებათა, დეპატამენტთა და სხვათა კანცელარიული ტერმინოლოგიის შედეგი... არ არის საჭირო ნაწილის დამორჩილება მთელისადმი, არ არის საჭირო არავითარი „ფორმალურ-ბიუროკრატიული" გამართება პარტიული მეთოდისა შეთანხმებისათვის ან გამიჯვნისათვის, დეე, ძველი ვიწრო ჯგუფური კინკლაობა დაიფაროს ფრაზებით „ორგანიზაციის ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული მეთოდების" შესახებ.

და აი, ეხლა, ოპოზიციონურმა, ტროცკიზმისაგან აღზრდილმა „ბატონურ-ანარქისტულმა" იდეოლოგიამ ოპოზიცია მიიყვანა იაროსლავის სადგურამდე ამხ. ზინოვიევმა პირდაპირ სთქვა, რომ ამხ. სმილგას გაცილება მათის მხრით იყო პოლიტიკური დემონსტრაცია ცეკას წინააღმდეგ. ეს პოლიტიკურ ქუჩური დემონსტრაცია ცეკას წინააღმდეგ, საკუთარი პარტიის წინააღმდეგ არის უმაღლესი ბოროტმოქმედებითი განსახიერება იმ „ბატონური ანარქიზმისა", რომლის გზაზედაც დიდი ხანია შესდგა ამხ. ტროცკი და რომლითაც მას ჩვენდა სამწუხაროდ თოკით მიჰყავს ამხ. ზინოვიევი, კამენევი და სხ. როგორც თქვენ იცით ოპოზიციამ ეხლა ამ პუნქტში დაიხია უკან, მაგრამ დაიხია ისე, რომ დაიტოვა თავისთვის არა მარტო ხვრელი, არამედ მთელი კარები შემდგომი გამოსვლებისათვის. ოპოზიციამ განაცხადა, რომ იგი მზად არის მოსპოს ფრაქციულობა, მაგრამ ფრაქციულობის ელემენტები პარტიული რეჟიმის დამახინჯების და სხ. გამო წარმოიშვისო, გამოდის, რომ ისინი არ არიან დამნაშავენი იმაში, რომ წავიდნენ იაროსლავის სადგურზე, არამედ ჩვენ ვართ დამნაშავენი.

აი, ამხანაგებო, თუ ჩვენ გაუკეთებთ ჯამს ზოგიერთ შედეგებს, ჩვენ დავინახავთ, რომ მე-14 ყრილობის შემდეგი დროის განმავლობაში ოპოზიციონერები იდეური ხაზით ტერმიდორიანობაზე ბუნდოვანი მითითებიდან გადავიდნენ თავხედურ განცხადებებზე ცეკას ტერმიდორიანული გადაგვარების შესახებ; ორგანიზაციული ხაზით—ჯგუფობრიობის თავისუფლების მოთხოვნილებიდან გადავიდნენ დემონსტრაციისაკენ იაროსლავის სადგურზე. ამის შედეგად ჩვენ მივიღეთ შინაპარტიული „მაკრატლის" უდიდესი გაწევა. ასეთი შედეგების წინ მდგომი პარტიულ ამხანაგს ზოგი რამ ცეკას პოზიციაში შეიძლება გაურკვევლად ეჩვენოს. ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა დისკუსიის დროს სრულიად გაანადგურა ოპოზიციონური პოლიტიკური მოწინააღმდეგენი. მოამწყვდია ისინი იდეოლოგიურ ჩიხში, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, გადაწყვეტილება მიიღო საყვედურის შესახებ და ოპოზიციის ბელადები დასტოვა ცეკას შემადგენლობაში. რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა ცეკა. როცა ასეთ გადაწყვეტილებას იღებდა? საფრთხე ოპოზიციის მხრივ იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ოპოზიციას შეუძლია ჩვენი კომუნისტური პარტიის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფენები გაიყოლიოს.

მე პირადად ვფიქრობ, რომ ეს საფრთხე არ არსებობს, თუმცა ოპოზიციის ბელადები იკვეხიან, რომ მათ მხარს უჭერს თითქმის ორი ათასი პარტიული ამხანაგი. ჩვენ გავეცანით სოციალურ შემადგენლობას ოპოზიციისა, რომელიც პარტიას უსაყვედურებს იმას, რომ მას თავის რიგებში მუშათა მეტად მცირე პროცენტი ჰყავს. ამ გაცნობის შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ მუშათა პროცენტი ოპოზიციას გაცილებით ნაკლები ჰყავს, ვიდრე არის ის პროცენტი, რომელიც ჩვენ გვაქვს მთელი პარტიისათვის. მაშასადამე ოპოზიციის ტრაბახი თავისი სოციალური შემადგენლობის შესახებ სრულიად უადგილოა .

ეს სავსებით გასაგებია. მთავარი დასაყრდენი მათ აქვს არა მუშურ უჯრედებში, არამედ უმაღლეს სასწავლებლების უჯრედებში, საქართველოს შოვინისტებს შორის, დაბოლოს ტროცკისტების იმ ძირითად კადრის ჩონჩხში, რომელიც მიჰყვებოდა ტროცკის პარტიასთან ბრძოლის ყველა ეტაპებში.

საშიშროება, რომელსაც წარმოადგენს ჩვენთვის ოპოზიცია, მდგომარეობს იმაში, რომ ეს შედარებით მცირე საკადრო შემადგენლობის მქონე ფრაქცია, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს მეორე პარტიად, შეიძლება ისე, რომ თითონ სრულებითაც არ ესმოდეს და არ სურდეს ეს გახდეს იარაღად ჩვენი ქვეყნის იმ ძალების ხელში, რომლებიც მიმართული არიან პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, ჩვენი პარტიის ბატონობის წინააღმდეგ.

ოპოზიცია ჩვენთვის საშიშარია მით, რომ ჩვენს პარტიასთან ბრძოლის გამწვავების შემთხვევაში ის შეიქმნება იმ ძალების იარაღად, რომლებიც ჩვენი პარტიის გარეთ დგანან. კიდევ მეტი, ასეთ შემთხვევაში ოპოზიცია აუცილებლად გახდება იმ ძალების იარაღად, რომლებიც იბრძვიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში.

აი რატომ განაცხადეს მენშევიკებმა, ამხ. ზინოვიევის, ტროცკის და სხვ. დემონსტრაციის საპასუხოდ იაროსლავის სადგურზე ამხ. სმილგას გაცილების დროს და აშკარად სთქვეს რომ ეს დემონსტრაცია არის — „ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში უკანასკნელ წლებში".

ბუნებრივია, რომ ჩვენ უნდა გაგვეკეთებია ყველაფერი იმისათვის, რომ გადმოგვეყვანა ოპოზიცია მეორე პარტიის დამღუპველ გზიდან, რომ დაგვეპყრო თითეული მუშა, რომელიც იმყოფება ოპოზიციის რიგებში და გადმოგვეყვანა ის ჩვენს მხარეზე.

ვუწევთ რა ამას ანგარიშს, ჩვენ ვდგამთ უკანასკნელ ნაბიჯს ოპოზიციასთან შესარიგებლად და გავუმართეთ მათ ბრძოლა ცენტრალურ კომიტეტს, ჩვენ გავანადგურეთ ისინი იდეურად, ჩვენ მოვახდინეთ მათი კაპიტულიაცია, თუმცა არა მთლიანად, არამედ ნახევრად. ვინაიდან მათ დაიტოვეს უბეში ქვები პარტიის წინააღმდეგ: არ შეიძლება არავითარი გარანტიის მიცემა, რომ ისინი შეასრულებენ თავის ამ დაპირებას და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შესუსტებულ იქნას პარტიული სიფხიზლე ოპოზიციის მიმართ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოპოზიცია ისარგებლებს ყველა მოხერხებული შემთხვევით, რომ შემოსავლელი გზებით ასე თუ ისე გაატაროს თავისი „ხაზი". ეს ხაზი მას არ უარუყვია, მან მოახდინა არა კაპიტულიაცია, არამედ ნახევრად კაპიტულიაცია.

ოპოზიციის ლიდერებს ჩვენ განვუცხადეთ, რომ ბევრი მათგან არის დამოკიდებული, რომ ცეკამ ყველა ღონე იხმარა იმისათვის, რათა შეენარჩუნებია მთლიანობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ მოვიქეცით იმ თვალსაზრისითაც, რათა დაგვეპყრო უკანასკნელი ჯარისკაცები ოპოზიციონერულ [illegible]. ეხლა ოპოზიციას აღუვს მთელი პასუხისმგებლობა შესაძლებელ [illegible] პარტიის [illegible] შემდეგ. ჩვენი მოვალეობა იქნება — ჩვენი პოლიტიკური პოზიციების გადაჭრით დაცვა, გადაჭრით ბრძოლა ჩვენი პოლიტიკური ლენინის აზრისათვის და ბრძოლა ოპოზიციის ყოველგვარი დეზორგანიზატორული ცდების წინააღმდეგ. ჩვენ მოუწოდებთ ჩვენს პარტიას მისი რიგების უფრო მეტად შემჭიდროვებისაკენ ლენინურ საფუძველზე. ჩვენ ვერ შევპირდებით ოპოზიციას, რომ ჩვენ უარვყოფთ ეგრედ წოდებულ „დამუშავებას". პირიქით, — ჩვენ ფართედ უნდა გავაშუქოთ ამ პლენუმის შედეგები. ჩვენ უნდა დავანახვოთ მთელს პარტიას, საერთოდ, და ოპოზიციის მომხრეებს, კერძოთ, თუ რა საფრთხეს გვიქადის მეორე პარტია, ჩვენ უნდა დავანახვოთ ყველას, რომ ოპოზიცია იდეურად და ორგანიზაციულად უკვე შედგა მოლიპულ გზაზე. ჩვენ უნდა დავანახვოთ, უთხრათ მთელს პარტიას, რომ ის ფრთხილად იყოს.

რევოლიუციის უდიდეს მონაპოვართა განმტკიცების და გამრავლების მომავალ მძიმე ჟამს ჩვენ შევსძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კიდევ უფრო მეტად ვიდრე დღემდე იქნება შემჭიდროვებული პარტიის რიგები. უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენი პარტიის ორგანიზაციული მთლიანობა არის ჩვენი გამარჯვების აუცილებელი პირობა, ეს უნდა შევაგნებინოთ როგორც ჩვენს პარტიას, ისე კომინტერნის წევრებს და საერთაშორისო მუშათა კლასის ფართე წრეებს. ჩვენ უნდა აუხსნათ, ყველას, რომ ზღაპრებით ტერმიდორის, გადაგვარების, უსტრიალოვისებურ გადახრა ნაციონალ-რეფორმისტების და სხვ. შესახებ შეუძლებელია ევროპის, აზიის და აფრიკის პროლეტარიატის მუშათა ფართე მასების დარაზმვა საბჭოთა კავშირის დასაცავად.

ჩვენი კავშირის პარტიის ყველა წევრებმა უნდა დაუპირდაპირონ მტერს ერთიანი რევოლიუციონური ფრონტი არა მარტო ორგანიზაციული მხრით, არამედ იდეოლოგიური მხარითაც, ვინაიდან მხოლოდ აბსოლიტიური რწმენით, რომ ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს და არა სახელმწიფო კაპიტალიზმს, რომ ჩვენი სახელმწიფო არის მუშური სახელმწიფო და არა ნახევრად ტერმიდორიანული სიმახინჯე,—ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩვენი რიგების ძლიერებას, მათ სიმტკიცეს და მათ ძალას.

ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ იმ რწმენით, რომ ჩვენს ქვეყანაში „გამეფებულია პოლიტიკური ბურუსი. ჩვენ გავიმარჯვებთ მხოლოდ ამ ლოზუნგით:

„გაუმარჯოს ზრდის პროცესში მყოფ სოციალიზმის ძალებს ჩვენს ქვეყანაში!". (მქუხარე ტაში).

ინგლისელების პროვოკაცია შანხაიში

გენ. დუნკანი ცდილობს პანიკა გამოიწვიოს ჩინურ მოსახლეობაში და ჯარებში

ჩინელებმა დააკავეს ინგლისის აეროპლანი.—გენ. დუნკანის ულტიმატუმი.—გენერლების ბრძოლა

დაიხურა საერთაშორისო კოოპერატიული კონგრესი.—კონგრესის რეზოლიუციები

საბჭოთა კავშირს კოოპერატიული ალიანსის ცეკაში მიეცა 14 ადგილი

სერიოზული მდგომარეობა შანხაიში

ბრძოლა ხელისუფლებისათვის

შანხაი, 18 აგვისტო. ბაი-ცზუნ-ჩის შანხაიში ჩასვლის შემდეგ აქ დაიწყო ჩუმი ბრძოლა სხვადასხვა სამხედრო დაჯგუფებებს შორის, რომელნიც სცდილობენ ხელში ჩაიგდონ ძალა-უფლება, და, პირველ რიგში, შანხაის ნავთსადგურის შემოსავალი. ჩან-კაი-ში განაგრძობს აქტიურ მონაწილეობას ამ ბრძოლაში ხო-ინ-ჩინის საშუალებით. ამავე დროს მას აღებული აქვს კურსი კანტონის გენერლებთან — ჩან-ფა-გუეს, ჩიეხჩენსა და აგრეთვე უხანის გომინდანის მოღვაწეებთან შესარიგებლად. მეორე დაჯგუფებას მეთაურობს თვით ბაი-ცზუნ-ჩი რომელიც, სცდილობს მოაწყოს გუანსიის გენერლების,—ტან-ენ-ჩისა და სხვების ბლოკი იმ გენერლებთან, რომლებიც მათ მხარეზე გამოვიდენ. ბაი-ცზუნ-ჩის გარდ,ა შანხაიში სურს გავლენა მოიპოვოს კორპუსის მეთაურს—სუნ-ჩუან-ფანის ყოფილ გენერალს ჩოუ-ფინ-ჩის, რომელიც ეროვნული ჯარების მხარეზე გადმოვიდა ჩუცზიანში. (ადს).

შეტევა ნანკინზე

შანხაი, 18 აგვისტო. „ჩაინა კურიერი" ადასტურებს ცნობას ჩრდილოელების მიერ პუკოუს აღების შესახებ. გაზეთის სიტყვით ნანკინელთა ჯარები თავს იყრიან მდ. იანცზის მიმართულებით ნანკინისა და ჩეელზიანის რაიონში (ნანკინიდან აღმოსავლეთით 100 კილომეტრზე). ნანკინის დაცვის საქმე ჩაბარებული აქვს გენერალ ლიუს. ნანკინის გასამაგრებლათ ყოველი მხრიდან მოეშურებიან ახალი ძალები.

ტოხოს სააგენტოს ცნობით, ნანკინელების წარმომადგენლებთან თათბირის შემდეგ უხანის მთავრობამ ნანკინის ჯარების გასაძლიერებლათ გაგზავნა 30 ათასიანი არმია.

იაპონური წყაროებიდან გადმოცემული ცნობებით ნანკინისათვის ყუმბარების დაშენა უკვე დაიწყო. ამ ცნობას ადასტურებს აგრეთვე გაზ. „ჩაინა კურიერი". თანახმად ამ ცნობებისა, რამოდენიმე ყუმბარა ჩამოვარდა ქალაქში, მაგრამ მათ აფეთქებას ზიანი არ მოუტანია.

ქალაქში მცხოვრებნი ინგლისელი და იაპონელი მოქალაქენი გადაბარგდენ უცხოელების გემებზე. პუკოუსთან თავმოყრილმა ნანკინელების ჯარებმა უკან დაიხიეს.

სეტლმენტი ისევ ბარიკადებს აწყობს

შანხაი, 18 აგვისტო. შანხაის მუნიციპალური ხელისუფლება ფიქრობს აღადგინოს მავთულის ხლართები და ბარიკადები ქალაქის ჩინურ ნაწილში გასავალ გზებთან და ყველგან დააყენოს პატრულები.

ოფიციალურად ამას ასაბუთებენ იმით, რომ საჭიროა დაცულ იქნას უცხოელთა პირადი და ქონებრივი უშიშროება „ნანკინის ჯარებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ სეტლემენტის ტერიტორიაზე შეჭრა, განწყობილი არიან პანიკორად და უცდიან ხელსაყრელ მომენტს ძარცვის დასაწყებად".

სინამდვილეში კი მუნიციპალური ხელისუფლება ყოველგვარი საშუალებებით სცდილობს შექმნას პანიკა და დეზორგანიზაცია და ამით დაბრკოლებები შეუქმნას ნანკინის ხელისუფლებას. (ადს).

სამხედრო საწყობის აფეთქება

ვენა, 18 აგვისტო. მიღებულია ცნობა, რომ გალაცში (რუმინია) მოხდა სამხედრო საწყობის აფეთქება. მძიმედ დაჭრილია ერთი ოფიცერი და ერთი ჯარისკაცი. რუმინეთის სამხედრო ხელისუფლების ორგანოები ამტკიცებენ, რომ აფეთქება თავდასხმის შედეგიაო. (ადს).

ინგლისელები ომისთვის ემზადებიან

შანხაი, 18 აგვისტო. მიუხედავად ინგლისის კონსულის და ინგლისის სამხედრო ძალების უფროს გენერალ დუნკანის ულტიმატუმისა, ჩინეთის ხელისუფლებამ არ დააბრუნა ჩინეთის ტერიტორიაზე დაშვებულ ინგლისის სამხედრო აეროპლანი. მაშინ ინგლისის სამხედრო ხელისუფლებამ დააყენა ყარაულები შანხაი-ხანჩჟოუს რკინის გზაზე სად. ჯესფილდთან. და აგრეთვე შანხაის მიდამოებში ჩინეთის ტერიტორიაზე და დაშალა რკინის გზის ლიანდაგი 50 ფუტის მანძილზე, რითაც შეუძლებელი გახადა სარკინისგზო მიმოსვლა ჩინეთის ტერიტორიის ამ ნაწილზე შემდეგ ღამით შანხაის ჩინურ ნაწილი და სეტლმენტის საზღვარზე ჩაყენებულ იქნენ ინგლისის სამხედრო პატრულები. ზოგიერთ პუნქტებში აღდგენილია ბარიკადები. დადგმულია ტყვიის მფრქვევლები და ზარბაზნები და დაკეტილია ჩინურ ქალაქში გასავალი კარები. ჩინურ ქალაქის მოსაზღვრე სეტლმენტის ქუჩებს იცავენ ინგლისის ჯარები. დროგამოშვებით ჩნდებიან ჯავშნოსნები. ყველა გამვლელ ჩინელებს ჩხრეკენ. ინგლისის ზოგიერთი საარტილერიო ნაწილები საიდუმლოთ არიან მოთავსებული მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში, სამხედრო მოწყობილობის სრული მარაგით.

შანხაის უცხოელთა წრეებში ინგლისელთა გამოსვლას აფასებენ როგორც ჩრდილოელების დახმარებას. რკინის გზის მიმოსვლის დარღვევით ინგლისელებს სურთ ხელი შეუშალონ სამხედრო [illegible] ჯარების მოყვანას და სამხედრო მოწყობილებების მოზიდვას, რითაც სურთ დემორალიზაციის მოხდენა ზურგში. და პანიკის გამოწვევა ჩინურ მოსახლეობაში და უცხოელებში. ამ მიზნით ინგლისის გაზეთები ავრცელებენ ხმებს ნანკინში პანიკის გამეფების შესახებ. მაგრამ ჩინეთის მოსახლეობაში პანიკის არავითარი ნიშანი არ სჩანს.

საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე არავითარი სამხედრო მზადება არ სწარმოებს. ჩინეთის მოსახლეობა ძლიერ აღშფოთებულია რკინის გზის დაკავებით.

გამოქვეყნებულია ჩინეთის ოფიციალური ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია: **„ინგლისის სამხედრო ხელისუფლებამ გადასდგა ნაბიჯი, რომელიც არ შეიძლება განხილულ იქნეს სხვანაირად, თუ არა, როგორც ომის აქტი. მიუხედავად ინგლისის ჯარის ძალადობისა, მიღებულ იქნება ყველა ზომები ჩინეთის უფლებების დასაცავად ამ საკითხში.**

გამოქვეყნებულია აგრეთვე გარეშე საქმეთა კომისრის პროტესტი ჩინეთის ტერიტორიაზე ინგლისის სამხედრო ჰაეროპლანების ფრენის წინააღმდეგ.

გუო-ტაი-ჩი ინგლისელებთან ინციდენტის შესახებ

შანხაი, 18 აგვისტო. ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა **გუო-ტაი-ჩიმ** პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა:

„ჰაეროპლანის ფრთები ჩინეთის სამხედრო ხელისუფლების ხელშია და არ იქნება დაბრუნებული მანამ, სანამ მოლაპარაკება ამის შესახებ არ დასრულდება დადებითად".

შანხაის გარეშე საქმეთა რწმუნებულმა ინციდენტის გამო ახალი ნოტა გაუგზავნა ბრიტანეთის კონსულს (ადს).

უარყოფა

შანხაი, 18 აგვისტო. შანხაის ჩინურმა პრესამ გამოაქვეყნა **ლი-ჩუნ-ჟენის და ხო-ინ-ჩანის** დეპეშა, რომელიც უარყოფს ცნობას იმის შესახებ, რომ პირველი დანიშნულია ეროვნული ჯარების მთავარსარდლად და მეორე მის თანაშემწედ. ისინი თავის დეპეშაში აღნიშნავენ, რომ ჩან-კაი-შის გამგზავრების შემდეგ სამხედრო საქმეები გადაეცა სამხედრო საბჭოს, რომელიც ყველა ოპერაციებს ხელმძღვანელობს (ადს).

მიღებული იქნება „აუცილებელი ზომები"

შანხაი, 18 აგვისტო. ინგლისის ერთი სამხედრო ჰაეროპლანი იძულებული გახდა ჩამოშვებულიყო ჩინეთის ტერიტორიაზე შანხაის მახლობლად. **ჩინურმა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ გასცა განკარგულება ჰაეროპლანის დაკავების შესახებ. მაგრამ ინგლისის სამხედრო ხელისუფლებამ ჩინელი ჩინოვნიკების დაუკითხავად წაიღო ჰაეროპლანის მოტორი.**

ჩინურ ხელისუფლებას განზრახვა აქვს კვლავ განაცხადოს პროტესტი ინგლისის ჰაეროპლანების ჩინეთის ტერიტორიაზე ფრენის წინააღმდეგ. ცზიანსუს პროვინციის გარეშე საქმეთა რწმუნებულსა და ინგლისის საკონსულო ხელისუფლების შორის ამჟამად შანხაიში სწარმოებს მოლაპარაკება ინგლისელებისათვის ჰაეროპლანის დაბრუნების შესახებ.

გაზეთების ცნობით, ინგლისის თავდაცვის კორპუსის უფროსი შანხაიში გენერალი **დუნკანი** იმუქრება, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჰაეროპლანი დილის 11 საათამდე არ იქნება დაბრუნებული, ინგლისის სამხედრო ხელისუფლება მიიღებს აუცილებელ ზომებს. ჩინურ ხელისუფლებას ჰაეროპლანი ჯერ არ დაუბრუნებია (ადს).

გომინდანი ჩან-კაი-შის სთხოვს დაბრუნდეს

შანხაი, 18 აგვისტო. **გომინდანის შანხაის განყოფილებამ დაადგინა სთხოვოს ჩან-კაი-შის და ხუ-ხან-მინს დაბრუნდენ თავიანთ პოსტებზე.** (ადს).

ინციდენტი მოგვარებულია

შანხაი, 19 აგვისტო. გენერალ ხო-ინ-ჩინის განკარგულებით ინგლისის ჯარებს დაუბრუნდათ ინგლისური სამხედრო აეროპლანი, რის შემდეგაც ინგლისელებმა სასწრაფოდ შეაკეთეს ხელისუფლების ბრძანებით რამოდენიმე ადგილას გაფუჭებული რკინის გზის ლიანდაგი. რკინის გზის ლიანდაგზე შანხაიდან ხანჯჟოუმდე განრიგებული ინგლისელი პატრულები მოხსნილია და წაღებულია არტილერია და ტყვიისმფრქვეველები. დღეს დილით აღდგენილ იქნა მოძრაობა. ინციდენტს ამით სთვლიან მოგვარებულად.

უცხოელთა გაზეთების ცნობით ფრონტზე მიმავალი რამოდენიმე სამხედრო მატარებელი, რომლითაც გადაყავდათ ნაციონალური არმიის 10,000 ჯარისკაცი, ვერ მივიდნენ დანიშნულების ადგილას რკინის გზა რომ არ შეეკეთებინათ. ამან, გაზეთების აზრით, იძულებული ჰყო ნანკინის სამხედრო ხელისუფლება წასულიყვნენ დათმობებზე.

ინციდენტთან დაკავშირებით ინგლისის სამხედრო შტაბმა გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც უარყოფილია ჩინელების უფლება,რომ მათ პროტესტი განაცხადონ ინგლისური აეროპლანების ჩინეთის ტერიტორიაზე ფრენის გამო. ინგლისური გაზეთი „ნორდ ჩაინა დეილი ნიუზი" სწერს: „ნანკინის საგარეო საქმეთა სამინისტროს რწმუნებული, რომელმაც გასცა ბრძანება დაეკავებიათ აეროპლანი,—წარმოადგენს კანონს გარეშე მყოფ მთავრობას. მან უნდა გაიგოს, რომ ინგლისურ აეროპლანებს შეეძლოთ ნანკინი აღეგავოთ, პირისაგან მიწისა, რაც სრულიად სამართლიანი იქნებოდა, თუ ეს არ მოხდა. იმიტომ კი არა. რომ ამის უფლება არა ვისა ჰქონდა, ან ნანკინის მთავრობა აუკრძალავდა ინგლისურ აეროპლანებს „ჩინეთის ჰაერით" სარგებლობას, არამედ იმიტომ, რომ დიდ სახელმწიფოებს სურთ მისცენ ნაციონალისტების გამოსწორების საშუალება (ადს).

აჯანყება ჩააქრეს

შანხაი, 19 აგვისტო. სიაგუანის რაიონში ტიანცზინ-პუკოუს რკინის გზის ხაზის დასაცავად დაყენებულ ჯარის ნაწილებში იფეთქა აჯანყებამ.

აჯანყებულებს ალყა შემოარტყა მეშვიდე არმიის ნაწილებმა და აჰყარეს იარაღი (ადს).

სამგზავრო მოძრაობა შეწყვეტილია

შანხაი, 19 აგვისტო. ნანკინისა და ჩინცზიანის რკინის გზის სადგურების უფროსებმა (ნანკინ-შანხაის რკ. გზა) უარი განაცხადეს მიიღონ გადასაზიდად მგზავრების ბარგი. სამგზავრო მოძრაობა დროებით დაბრკოლებულია. (ადს).

გულწრფელი მადლობა

პარიზი, 19 აგვისტო. პარიზში დაბრუნდა ავიატორი ვეისი, რომელმაც შემოიფრინა მთელი აღმოსავლეთი ევროპა. ვეისმა პარიზში დეპეშით მიმართა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობას, რომელშიაც იგი გამოსთქვამს გულწრფელ მადლობას, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მისი საუცხოვო მიღებისათვის. (ადს).

დეტერდინგის ჭორების უარყოფა

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. პრესა უკომენტარიოთ აქვეყნებს „ამტორგის" წარმომადგენლის—**ბრონის** ვრცელ განცხადებას, რომელშიდაც უარყოფილია დეტერდინგის ცილისწამება იმის შესახებ თითქოს საბჭ. ნავთის ექსპორტი ხდებოდეს საბჭოთა მომხმარებლის ხარჯზე და მის საზარალოდ.

ბრონი ციფრების საშუალებებით აბათილებს დეტერინგის გამონაგარიშებას და ამტკიცებს მის სიყალბეს. ის გარემოება, რომ **ბრონის განცხადება გამოქვეყნებულია მთელ რეაქციონურ პრესაში და, მათ შორის, „უოლსტრიტ ჯორნალში", რომელიც წინად არას დროს არ ათავსებდა საბჭოთა წრეებიდან გამოსულ განცხადებებს, ამტკიცებს იმას, რომ ამერიკული პრესა დეტერდინგის წინააღმდეგაა განწყობილი.** (ადს).

საკო და ვანცეტი სიკვდილის მოლოდინში

„ლიუმანიტე"-ს მოწოდება

პარიზი, 18 აგვისტო. „ლიუმანიტე" ბეჭდავს პროფინტერნის მოწოდებას გააძლიერონ კამპანია საკოსა და ვანცეტის დასაცავად და ააცილონ მათ საფრთხე, რომელიც ბრალდებულებს მოელით. გაზეთი აცხადებს, რომ შაბათს, შესდგება ახალი მიტინგები საკოსა და ვანცეტის დასაცავად. (ადს).

პოლიცია ემზადება

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. საკოსა და ვანცეტის დასჯის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლების მოლოდინში **პოლიცია მობილიზაციას უშვება თავის ძალებს.** ბურჟუაზიული პრესა და პოლიცია ფართედ იყენებს აფეთქებას, რომელმაც დაანგრია ერთ-ერთ იმ ვექილის სახლი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საკოსა და ვანცეტის საქმის გადაწყვეტაში. პრესა აფეთქებას საკოსა და ვანცეტის თანამგრძნობებს აბრალებს. **ბოსტონსა და მასაჩუზეტის შტატის სხვა ქალაქებში აკრძალულია მიტინგები.** მემაღაროეთა მემარცხენე ბელადს **გაბ-გუდს,** რომელმაც საკოსა და ვანცეტის დასაცავად სიტყვის წარმოთქმა სცადა, მიუსაჯეს 6 თვის დაპატიმრება. მასვე „ხალხის აღელვებისათვის" მიესაჯა 9 თვის ციხე. (ადს).

კიდევ ერთი ყუმბარა

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. „ასოშეიტედ-პრეს"-ის ცნობით ბუენოს-აირესში საიდუმლო პოლიციის უფროსის შენობაში გასკდა ყუმბარა. შენობა დაინგრა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. (ადს).

ინგლისი უარს ამბობს

საოკუპაციო ჯარების შემცირებაზე რეინის ოლქში

პარიზი, 18 აგვისტო. „მატენ"-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრო იხილავდა საკითხს რეინის ოლქის საოკუპაციო ჯარების შემცირების შესაძლებლობის შესახებ. მაგრამ, კორესპონდენტის სიტყვით, გერმანიაში მომხდარმა „უკანასკნელმა მანიფესტაციებმა" დაარწმუნა ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრო, რომ საფუძვლიანია ის ფრთხილი პოზიცია, რომელსაც ადგის ამ საკითხში ინგლისი (ადს).

ნაიდენოვი რუმინეთში

ვენა, 18 აგვისტო. ბულგარეთის **სამხედრო** მინისტრი ნაიდენოვი რუმინეთში ჩავიდა. **ნაიდენოვი** ჩავიდა ქალაქ [illegible]. საიდანაც **გაემგზავრა კონსტანცაში.** მისი ჩამოსვლის **მიზანი** დღემდე გამოურკვეველია. (ადს).

24 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე,
სახალხო კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში შესდგება საქ. კომპარტიის
ცეკას და ცენტ. საკ. კომისიის
გაერთიანებული პლენუმი
საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი ლ. ღოღობერიძე.

1927 წლის 23 აგვისტოს, დილის 11 საათზე,
ც. ს. კომისიის შენობაში (რუსთაველი, 24, მესამე სართული)
— დანიშნულია —
ს. კ. პ. ც. ს. კომისიის მე-7-ე პლენუმი.
დასწრება ც. ს. კომისიის ყველა წევრებ. და კანდ. სავალდებულოა.
ც. ს. კ. თავმჯდომარე ა. დოლიძე.

საერთაშორისო კოოპერატიული ყრილობა

კისინმა სიტყვა წარმოსთქვა ალიანსის მომავალი მოქმედების შესახებ და აღნიშნა, რომ ალიანსს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არსებობს უკვე რამოდენიმე წელია, დღემდე არ აქვს პროგრამა.

ჩეხო - სლოვაკიის დელეგაციის წევრმა **კრეიცმა** მკაცრად გააკრიტიკა ალიანსის პოლიტიკა, რომელიც სცდილობს ითანამშრომლოს ბურჟუაზიულ ორგანიზაციებთან — ერთა ლიგასთან და ეშინია მუშურ ორგანიზაციებთან კავშირის დაჭერისა. კრეიცმა ყრილობას მისცა წინადადება მკაცრად იქნას დაგმობილი ეს პოლიტიკა და მომავალ პროგრამას საფუძვლად დაედოს გარკვეული პროლეტარული ხაზი. კრეიცის სიტყვის დასასრულს დარბაზში ატყდა ხაურობა, რომელიც უმთავრესად ყრილობის რეაქციონურ ფრთამ გამოიწვია; ეს ფრთა გერმანიის კოოპერაციის წარმომადგენლებისაგან შესდგება.

გერმანიის დელეგაციის წარმომადგენელთა **ლორენცის** გამოსვლის შემდეგ, რომელიც იცავდა შრომისა და კაპიტალის თანამშრომლობის პრინციპს, და კისინის გამოსვლის შემდეგ, რომელიც მოითხოვდა საბჭოთა დელეგაციის თვალსაზრისის მიღებას, ყრილობამ მიიღო **ალბერტ ტომას** წინადადება, რომ შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებს და შეისწავლის ალიანსის პროგრამას.

ყრილობამ უარყო საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილი წინადადება.

ყრილობამ მიიღო საბჭოთა დელეგაციის წინადადება, რომ **საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენლებს ალიანსის ცეკაში მიეცეს 14 ადგილი; ეს გარემოება პრაქტიკულად განამტკიცებს საბჭოთა წარმომადგენლების პოზიციას ალიანსში.**

საპროტესტო რეზოლიუციას საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, მიუხედავად მთელი რიგი დელეგაციების ძლიერი პროტესტისა, არ უყარეს კენჭი.

სხდომის დახურვის დროს საბჭოთა დელეგაციის წევრები მღეროდენ ინტერნაციონალს.

რეზოლიუციების მიღება

სტოკჰოლმი, 18 აგვისტო. საერთაშორისო კოოპერატიული ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე სტოკჰოლმში ომის საფრთხის შესახებ მოსმენილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც შემოიტანა ინგლისის დელეგაციამ. ლონდონის ქალთა კოოპერატიული გილდიის წარმომადგენელი ქალი **ბარტონი** პროტესტით გამოვიდა რეზოლიუციის პირვანდელი ტექსტის დამახინჯების გამო. რეზოლიუციის პროექტიდან ამოგდებულია უკანასკნელი აბზაცი ომის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ბარტონმა მოითხოვა, რათა კენჭი ეყარათ იმ რეზოლიუციისათვის, რომელიც პირველად იყო წარმოდგენილი.

ამხ. **მეშერიაკოვმა**—საბჭოთა დელეგაციის სახელით აღნიშნა, რომ საერთო ხასიათის რეზოლიუციის მიღება აუცილებლობას წარმოადგენს და საბჭოთა საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის მოღვაწეობისათვის კონკრეტიული პროგრამის შემუშავება ომის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამხ. მეშერიაკოვმა განაცხადა, რომ ეხლა, როცა ჩინეთში ომი სწარმოებს და როცა ტარდება საბჭოთა კავშირის გარემოცვის პოლიტიკა, გვიანია უბრალო პროტესტებით დაკმაყოფილება. ამხ. მეშერიაკოვმა მხარი დაუჭირა საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილ შესწორებებს, რომელიც მოითხოვს ყველა ქვეყნის კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ ფართო კამპანიის ჩატარებას ომის წინააღმდეგ, მებრძოლ მუშათა მასებისათვის მხარის დაჭერას კოოპერატიული ორგანიზაციების მხრივ საერთო გაფიცვის გამოცხადებას და უარის თქმას სამხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემაზე.

გერმანიის კოოპერაციის წარმომადგენელმა **ლორენცმა** მხარი დაუჭირა ომის წინააღმდეგ ბრძოლას მხოლოდ ლეგალური მეთოდებით და საშუალებებით.

ჩ. ა. შეერთებულ შტატების კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენელი **რენი** ძლიერი სიტყვით გამოვიდა ომისათვის მზადების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ დაგვიანებულია მასებისათვის მოწოდებით მიმართვა ომის გამოცხადების მომენტში; მან მოითხოვა, რომ თავის დროზე იქნას მიღებული შესაფერისი ზომები ომის წინააღმდეგ.

ამხ. მეშერიაკოვმა თავის საბოლოო სიტყვაში განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია იძულებული იქნება არ მიიღოს მონაწილეობა კენჭის ყრაში, თუ ინგლისის დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლიუციის უკანასკნელი ნაწილი ამოშლილი არ იქნება. საბჭოთა დელეგაციის შესწორებამ მიიღო 141 ხმა, ინგლისის დელეგაციის რეზოლიუციის პირვანდელმა ტექსტმა—244 ხმა, რეზოლიუციის შესწორებულმა ტექსტმა—491 ხმა.

საბჭოთა დელეგაციის წინადადება ალიანსის თანამშრომლობის შესახებ პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანებებთან ყრილობამ უარჰყო.

საერთაშორისო კოოპერატ. ალიანსის ახალი ცეკას პირველი სხდომა

სტოკჰოლმი, 18 აგვისტო. საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის ახალი ცეკას პირველ სხდომაზე ალიანსის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ფინელი სოციალ - დემოკრატი **ტანერი**. ალიანსის თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქნა **პუასონი** და **უატხედი**. ალიანსის აღმასრულებელი კომიტეტი არჩეულ იქნა 8 კაცის შემადგენლობით, მათ შორის ამხ. **ლიუბიმოვი** — საბჭოთა კავშირიდან. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა რუსული ენის ალიანსის მე-4 ოფიციალურ ენად ცნობის შესახებ. კამათი დამთავრდა შემდეგი დადგენილებით: წინადადება მიეცეს აღმასკომს, ეს საკითხი გადაწყვიტოს იმგვარად, რომ ცალკე დელეგატებს მიეცეთ უფლება რუსულ ენაზე წარმოსთქვან სიტყვები ალიანსის სხდომებზე. აღმასკომის გადაწყვეტილება ამ საკითხის შესახებ. უნდა დაამტკიცოს შემდეგმა პლენუმმა. (ადს).

ღამის ცნობები

ენ-სი-შანის ჯარების გაყვანა

შანხაი, 19 აგვისტო. იუწყებიან, რომ ენ-სი-შანმა გაიყვანა თავისი ჯარები შიძიაჩჟუანიდან (ჩიჟულის პროვინციაში — შანსინის საზღვრის მახლობლად) და აგრეთვე პეკინ-ხანკოუს რკინის გზის მთელი ხაზიდან ცზიანსის პროვინციაში. ფიქრობენ, რომ ენ-სი-შანის ჯარების გაყვანა გამოწვეულია ჩან-ძო-ლინის ულტიმატიური მოთხოვნილებით, რომ ენ-სი-შანმა გამოარკვიოს თავისი პოზიცია მუკდენის მიმართ. (ადს)

საკოსა და ვანცეტის საქმის გადასინჯვის გამო

ნიუ - იორკი. 19 აგვისტო. მასაჩუზეტსის შტატის უზენაესი სასამართლო უარს ამბობს საკოსა და ვანცეტის საქმის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის მიღებაზე. ამიტომ დამცველებს განზრახული აქვთ ასეთივე შუამდგომლობით მიმართონ შეერთებული შტატების ფედერალურ უზენაეს სასამართლოს. (ადს)

ფინ - იუი - სიანის მუქარა

შანხაი, 19 აგვისტო. როგორც პეკინიდან იტყობინებიან ჩან-ძო-ლინი დაეთანხმა სუნ-ჩუან - ფანის წინადადებას ჩრდილოეთის არმიის სამხრეთისაკენ გალაშქრების შესახებ, ტიანცზის - პუკოუს რკ. გზის ხაზის მიმართულებით, მაგრამ ამავე დროს იგი განაგრძობს თადარიგს ფინ-იუი-სიანის მუქარის ასაცდენათ. ფინ-იუი-სიანის ჯარები საფრთხეს უმზადებენ მუკდენის ჯარებს ჩრდილოეთიდან. ამიტომ მუკდენის არმიის ის ნაწილი, რომელიც დაბანაკებულია ყვითელი მდინარის ჩრდილოეთით — დაიკავებს პეკინ - ხანკოუს რკ. გზის ხაზს შანდუნის ჯარების მხრიდან ფინ-იუი-სიანის გამოლაშქრების თავიდან ასაცდენად. (ადს)

დაპატიმრებანი იწყება

შანხაი, 19 აგვისტო. ჰონკონგში მიღებულია ცნობები, რომ გუანდუნის საზღვრებისაკენ უკან დახეულ ხოლუნის და იე-ტინის არმიებთან ერთად იმყოფებიან ჩინელი კომუნისტები — ჩენ-დუ-სიუ, ტან-პინ-სიანი, ლინ-ცზო-იენი, გაო-ნიუე-ხანი და სხვ.

კანტონის მთავრობამ მიიღო ზომები მათ შესაპყრობათ. (ადს)

შანხაი, 19 აგვისტო. ჩინური გაზეთების ცნობით ერთ-ერთი კომუნისტის ბინის გაჩხრეკის დროს კანტონში, თითქოს აღმოჩენილია კომპარტიის კანტონის ორგანიზაციის წევრთა სია.

გაზეთების სიტყვით პოლიციამ ისარგებლა ამ მისამართებით და დააპატიმრა 50-მდე კაცი. (ადს)

შანხაიში ეშინიათ

შანხაი, 19 აგვისტო. ჩრდილოელების მიერ ძუკოუს აღებისა და ნანკინისათვის ყუმბარების დაშენის გამო, შანხაიში პანიკური განწყობილება შეიქნა, შანხაიში შიშის გაძლიერებას ისიც უწყობს ხელს, რომ ღებულობენ ცნობებს ნანკინიდან არა მარტო სამოქალაქო თანამდებობის პირთა გამოქცევის, არამედ სამხედრო პირების გამოქცევის შესახებაც. ეს ფაქტები შანხაიში ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ნანკინელების არმია გახრწნის გზაზეა დამდგარი. გარდა ამისა დადის ხმები, რომ ფრონტზე მდგომ ჯარებს შორის ადგილი აქვს აჯანყებებს.

ინგლისის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები შანხაიში თავხედურათ იქცევიან. ქალაქში დადის ხმები, რომ დაწყებულია უცხოელების კვარტალთან ბარიკადებისა და მავთულის ხლართების მოწყობა. შანხაის ჩინურ ნაწილში გამოცხადებულია სამხედრო წესები, საღამოს 7 საათიდან ქუჩაში გამოსვლა განსაკუთრებული ნებართვების უქონლად აკრძალულია, ხოლო ღამის 10 საათიდან ქუჩაში გამოსვლის ნებართვა ეძლევათ მხოლოდ სამხედრო პირებს. უცხოელთა კვარტალის იმ უბნებში, სადაც ჩინელების მოსახლეობა სცხოვრობს სეტლმენტის ტერიტორიაზე დაიწყო ჩინელი მოსახლეობის ჩხრეკა. ღამით, ქალაქში ჩინური ნაწილიდან საფრანგეთის კონცესიაზე გასავალი კარები იხურება.

ქალაქის ჩინური ნაწილში მცხოვრები შეძლებული ჩინელი ოჯახები გადადიან უცხოელთა კვარტალში.

ყვითელმა პროფკავშირებმა, რომელთაც იცავენ ჯარები „მუშებისაგან მოსალოდნელი შურისძიების" თავიდან ასაცილებლათ, — მიიღეს განკარგულება შანხაის გარნიზონის უფროსისაგან, რომ დაუყოვნებლივ აცნობონ ხელისუფლებას იმ პირთა ვინაობა, ვინც უწყობს ყალბი ხმების გავრცელებას. გარნიზონის უფროსი აცხადებს, რომ ყველა აგიტატორები დაუყოვნებლივ გადაეცემიან სასამართლოს. (ადს)

შანხაი, 19 აგვისტო. ხო-ჩინ-ჩინმა, ლი-ჩუნ-ჟენმა და ბაი-ცზუნ-ჩიმ გამოაქვეყნეს კოლექტიური მოწოდება, რომელშიაც აცხადებენ, რომ სავსებით კისრულობენ პასუხისმგებლობას შანხაიში „მშვიდობიანობისა და წესრიგის დაცვაზე". (ადს)

მარტი უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე

პარიზი, 19 აგვისტო. მარტიმ არ მისცა ჩვენება გამომძიებელს და განაცხადა, რომ ის მის დაპატიმრებას სთვლის არა კანონიერად. რამდენადაც დეპუტატთა პალატას არ გამოუტანია გადაწყვეტილება მისთვის დეპუტატის ხელშეუხებლობის წართმევის შესახებ. (ადს)

ამერიკის დელეგაციის მდივნის განცხადება

მოსკოვი, 19 აგვისტო. 19 აგვისტოს საღამოთი ამერიკის მუშათა დელეგაცია საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენლების თანხლებით გაემგზავრა ლენინგრადში. დელეგაციის მდივანმა კოილმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს მთელი დელეგაციის სახელით განუცხადა შემდეგი:

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენ არ მოგვეპოვება საკმაო ცნობები იმისათვის, რომ საბოლოო წარმოდგენა ვიქონიოთ საბჭოთა კავშირზე. მაგრამ იმ 4 დღის განმავლობაში, რომელიც ჩვენ მოსკოვში დავყავით, მოვასწარით მთელი რიგ მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების დათვალიერება. ჩვენ აგრეთვე გავეცანით მოსკოვის პროფკავშირების მუშაობას და საინტერესო საუბარი გვქონდა საბჭოთა პროფესიონალური მშენებლობის გამოჩენილ მოღვაწეებთან. რა თქმა უნდა შეცდომა იქნებოდა საბჭოთა ქარხნების მოწყობილობის შედარება ამერიკის ქარხნების მოწყობილობასთან, მოკლე რევოლიუციონური პერიოდის განმავლობაში საბჭოთა კავშირს არ შეეძლო აუცილებელი ტეხნიკის შექმნა მაგრამ თუ საბჭოთა კავშირს შევადარებთ ომის წინა დროის რუსეთს, მივიღებთ ჭეშმარიტათ გრანდიოზულ შთაბეჭდილებას. საბჭოთა კავშირი ახდენს ისტორიულად მნიშვნელოვან ცდას— და ჩვენი მოვალეობაა გავაცნოთ ამერიკის მუშათა მასებს ეს გამოცდილება.

დელეგაციის არც ერთ წევრს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ საბჭოთა კავშირში შენდება ნამდვილი სოციალისტური მეურნეობა. ჩვენ ცოტა რამ უკვე შევისწავლეთ საბჭოთა მუშებისაგან. მომავალში ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ვისარგებლებთ კიდევ მეტი ცოდნით მუშური მმართველობის დარგში.

მთელი დელეგაცია უღრმეს მადლობას უძღვნის საბჭოთა მუშებს, რომლებმაც ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინეს მას თავის მუშაობაში. ეჭვი არ არის, რომ მოგზაურობა საბჭოთა კავშირში საგრძნობლად განამტკიცებს ამერიკისა და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მეგობრულ კავშირს. (ადს).

მუშათა მოძრაობა

ინგლისის პროფკავშირების კონგრესის წინ

სექტემბერში ედინბურგში (შოტლანდია) შესდგება ინგლისის პროფკავშირების მე-59-ე კონგრესი. კონგრესთან დაკავშირებით გენსაბჭომ გამოაქვეყნა რეზოლიუციის პროექტები და აგრეთვე გენსაბჭოს კანდიდატთა სია. კონგრესზე არჩეული იქნება: 1) წესდების განხილვა, 2) უმუშევრობის საკითხის, 3) საორგანიზაციო საკითხების, 4) დაზღვევის საქმის, 5) სამუშაო ხელფასისა და მუშაობის ხანგრძლივობის, 6) მთავრობის პოლიტიკის, 7) პროფკავშირების შესახებ გამოცემული კანონის, 8) ინტერნაციონალისა და სხვ. საკითხების განმხილველი კომისიები.

ადგილობრივი ორგანიზაციების რეზოლიუციები გარკვევით ხატავენ მუშათა მასების საშინელ მდგომარეობას და უმცირესობის მოძრაობის წარმატებებს. მთელი რიგი რეზოლიუციები მოითხოვენ სპეციალური კომიტეტის შექმნას პროფკავშირების ხელმძღვანელობისა და შემდგომი პოლიტიკის საკითხების განსახილველად. კონგრესზე წარმომადგენლობის სისტემაც არ აკმაყოფილებს პროფორგანიზაციების წევრთა მასას, რომელიც მოითხოვს გენსაბჭოსაგან პირდაპირ წარმომადგენლობას პროფსაბჭოებისაგან (ადგილობრივი გაერთიანებები), რომელთა ხელმძღვანელობა უმცირესობის ხელშია.

პროფკავშირთა წევრების ყურადღების ცენტრშია მთავრობის კანონი პროფკავშირების შესახებ. მთელი რიგი ადგილობრივი ორგანიზაციები სასტიკ პროტესტს აცხადებენ ამ კანონის წინააღმდეგ და მოითხოვენ გადამჭრელი ბრძოლის დაწყებას, სანამ იგი არ იქნება გაუქმებული მექვაბეთა ნაციონალური კავშირი, გემების მუშების კავშირი, ფოსტის მოხელეთა ნაციონალური კავშირი და სხვა ორგანიზაციები მოითხოვენ გენსაბჭოსაგან, რომ მან დაიწყოს ბრძოლა „პროფკავშირების თავისუფლებისა და უფლებების აღსადგენად".

იმ დროს, როცა პროფკავშირების წევრთა მასა აღსავსეა აღშფოთებით და მოითხოვს ბრძოლას კანონის წინააღმდეგ, რომლითაც მთავრობამ ბორკილები დაადვა პროფკავშირებს, ბიუროკრატიული ზედა - ფენები გენსაბჭოს სახით თავის რეზოლიუციაში ბუნდოვანად ლუღლუღებენ რაღაცას და პირდებიან მასებს „ყველა ლეგალური საშუალებების გამოყენებას მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ინგლისის მუშათა კლასის „ეკონომიური უფლებების" შეზღუდვის ცდისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. მეტად თავშეკავებულ და რბილ ფორმებში გენერალური საბჭო პროტესტს უცხადებს მთავრობას, რომელმაც გამოსცა ეს კანონი და იწონებს აქტივობას მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციისას, რომელმაც გამოაშკარავა მთავრობის ფარისევლობა.

გენერალური საბჭო, რომელსაც თითიც კი არ გაუნძრევია მთავრობის პოლიციური კანონის წინააღმდეგ, უკანა რიცხვით, კონგრესის წინ, კიცხავს ამ კანონს და მაღალი ფრაზებით ლამობს თავისი შერყეული ავტორიტეტის აღდგენას მუშათა მასებში.

საერთაშორისო პოლიტიკის საკითხების გამო შემუშავებულ რეზოლიუციების პროექტიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია რეზოლიუცია, რომელიც კიცხავს საბჭ. კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტას და მოითხოვს კომისიის შედგენას იმის გამოსარკვევად, ჰქონდა, თუ არა ინგლისის მთავრობას სერიოზული საბუთები ამისათვის. რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საყოველთაო მშვიდობიანობისათვის, გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას ინგლისში და შეაფერხებს ინგლისის ვაჭრობას სხვა ქვეყნებთან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინგლისის მუშები, რომელთა უმრავლესობა რეფორმისტებს მიჰყვება, ნაკლებ ყურადღებას აქცევს კოლონიალურ პოლიტიკას, რომელსაც ატარებენ კონსერვატორები. ეს იქიდანაც სჩანს, რომ მხოლოდ სამთო მრეწველობის მუშების გაერთიანებამ შეიმუშავა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ინდოელ მუშების გათანასწორებას ინგლისელ მუშებთან.

„ცხრა ტყავის ძრობის პოლიტიკა, რომელსაც მთავრობა ატარებს ინდოეთის მუშების მიმართ. —ნათქვამია რეზოლიუციაში, — წარმოადგენს პირდაპირ საფრთხეს ინგლისის მუშებისათვის".

მხოლოდ ახლა, და ისიც უმნიშვნელო ნაწილი მუშებისა ინგლისში აყენებს საკითხს ინდოეთის მუშათა მდგომარეობის შესახებ, და ეს იმ დროს, როცა ინგლისის მუშებმა მშვენივრად იციან, რომ ინდოეთში არსებობს 60 საათიანი სამუშაო კვირა, რომ არ არსებობენ კანონები, რომლებითაც აკრძალულია ქალთა შრომა მაღაროებში და მცირეწლოვანებისა ფაბრიკა-ქარხნებში. მხოლოდ ახლა გამოჩნდენ რეზოლიუციები, რომლებიც მოითხოვენ კონგრესის დელეგაციის გაგზავნას შრომის პირობების შესასწავლად ინდოეთში და პროფმოძრაობის ორგანიზაციისათვის. რეფორმისტებმა ისე აუბნიეს მუშებს გზა-კვალი, რომ ისინი არავითარ ინტერესს არ იჩენდენ შრომის პირობებისადმი ინგლისის უსასტიკეს კოლონიალურ იმპერიაში.

არის აგრეთვე მთელი რიგი რეზოლიუციები პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ.

მანქანათა სააღმშენებლო მუშების კავშირი თავის რეზოლიუციაში წინადადებას იძლევა შეიქმნას ერთიანი ინტერნაციონალი, რომელშიც შევლენ როგორც პროფინტერნის, ისე ამსტერდამისა და აგრეთვე იმ პროფორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც არც ერთ ინტერნაციონალს არ ემხრობიან.

საერთაშორისო ეკონომიური პოლიტიკის საკითხებმა გამოხმაურება ჰპოვეს ტრანსპორტის მუშათა ნაციონალური კავშირის რეზოლიუციაში, რომელიც მოითხოვს, რომ სერიოზული ყურადღება მიექცეს სხვადასხვა ქვეყნების საბაჟო პოლიტიკას.

მემაღაროეთა უმწეო მდგომარეობასთან დაკავშირებით, მემაღაროეთა ფედერაცია მთელ რიგ რეზოლიუციებში მოითხოვს საფაბრიკო კანონმდებლობის გადასინჯვას და გაუმჯობესებას, მემაღაროებისათვის 7 საათის სამუშაო დღის დაუყოვნებლივ აღდგენას და სასწრაფო ზომების მიღებას უმუშევრობასთან საბრძოლველად. მრავალი პროფკავშირები მოითხოვენ მოზარდთა შრომის პირობების გაუმჯობესებას.

ზოგი რეზოლიუციები შეეხება საბინაო საკითხს. გენსაბჭოსაგან მოითხოვენ, რომ მან მიიღოს ზომები საბინაო ქირის მომწესრიგებელი კანონების გამოსაცემად და აგრეთვე იმისათვის, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს საბინაო მშენებლობას.

არის რეზოლიუციები, რომლებიც მოითხოვენ მუშა-ქალების ჩაბმას არა მარტო ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ ბრძოლაშიც და ამ ამოცანას აკისრებენ გენსაბჭოსა და მუშათა პარტიას.

ა. ბ.

საბჭოთა საქართველო

წერილები

დავქსელოთ სოფლები კოოპერატიული დუქნებით

წინად გლეხი კოოპერატივს არაფრად არ აგდებდა, რაც უნდა კარგი და იაფი საქონელი ჰქონოდა კოოპერატივს, გლეხი მას გვერდს აუვლიდა და თავის მეზობელ კერძო ვაჭართან მივიდოდა და მასთან ივაჭრებდა. აგერ მეზობელს ვასიამოვნო ის არ ჯობია, თუ დამჭირდა შემდეგ ნისიათ მომცემსო. ასე მსჯელობდა გლეხი.

დღეს კოოპერატივს ასე არავინ უყურებს. გასაბჭოების შემდეგ გლეხი შეეჩვია კოოპერატივს, შეხედა, რომ კოოპერატივი მას უფრო კარგ საქონელს აწვდის იაფად, ვიდრე კერძო ვაჭარი, კოოპერატივში ყოველთვის იშოვნება მისთვის აუცილებელი საქონელი—ნავთი, წუმწუმა, საპონი, ფართალი და სხვ. გლეხს ის სოფელი სოფლად არ მიაჩნია, სადაც კოოპერატივი არ არის. ყოველი სოფელი ცდილობს, რომ გაიხსნას კოოპერატივი და თავი დაიხსნას კერძო ვაჭრისაგან. ჩვენს გაზეთში თითქმის ყოველდღე შეხვდებით გლეხკორების მენიშვნებს, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ კერძო ვაჭრები ტყავს გვაძრობენ. ისინი სარგებლობენ იმით, რომ კოოპერატივი არა გვაქვს და ხელიდან გვაცლიან თუ რამე გვაქვსო. მართლაც ბევრ სოფელში კოოპერატივი არ არის. მახლობელ კოოპერატივიდან კი ზოგიერთი სოფელი 5-8 ვერსითაა დაშორებული. გლეხს არ შეუძლია ყოველ წვრილმანისათვის ამ სიშორეზე იაროს, მას არც დრო აქვს და არც შეძლება. აი, ასეთ სოფლებში ჩნდებიან კერძო ვაჭრუკანები და გლეხს ტყავს აძრობენ. ეს ვაჭრუკანები კოოპერატივის დაუძინებელი მტრები არიან. ხომ ხედავ კოოპერატივი შორის დარჩა და შენ ისევ ჩემთან მოდიო.—ასეთი სიტყვებით მიმართავს ის გლეხს და ამით ცდილობს ჩამოაშოროს კოოპერატივს. მაგრამ გლეხობა ამას ყურს არ უგდებს. ხშირად მთელი სოფელი პირდება კოოპერაციის წევრად ჩაწერას, პაის სრულად გადახდას, ოღონდ განყოფილება გაგვიხსენითო.

კოოპერატივებმა გლეხების ეს ლტოლვა უნდა დააკმაყოფილონ, მოშორებულ სოფლებში აუცილებლად უნდა გახსნან პატარა კოოპერატიული დუქნები აუცილებელი მოთხოვნილების საქონლისათვის, შესაძლოა ამ პატარა დუქნებიდან მოგება ვერ ნახოს კოოპერატივმა, მაგრამ წაგება მაინც არ იქნება, რადგან სოფელი ყოველთვის გასწვდება ერთ პატარა კოოპერატიულ დუქანს.. ამ შემთხვევაში მოგება იქნება ის, რომ კოოპერატივის გავლენას გაზრდით და გლეხს დაიხსნით ვაჭრუკანებისაგან. კიდევაც რომ ნახოს ცოტა წაგება ამას კოოპერატივი არ უნდა დაერიდოს. გლეხების სურვილს კოოპერატივმა ანგარიში უნდა გაუწიოს. პატარა კოოპერატიულ დუქნების ქსელი უნდა გაამრავლოს სოფლად.

კ—ია.

ცაიშის კახათი, ზუგდიდის მაზრა
არ უნდა დაგვიკეტონ კოოპერატივი

1925 წლიდან ცაიში - კახათში არსებობს ზუგდიდის სარაიონო კოოპერატივის განყოფილება. კოოპერატივი აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას. მოსახლეობაც კოოპერატივს დიდ ყურადღებას აქცევდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მოსახლეობის 70 პროც-ზე მეტი კოოპერატივის წევრებია. მაგრამ, სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანებში კოოპერატივში მოდის ცნობა სარაიონო კოოპერატივის გამგეობიდან, რომ განყოფილება ბრუნვის სიმცირის გამო უნდა დაიკეტოსო. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ცაიშის - კახათის განყოფილება არავითარ ზარალს არ იძლევა. მაშ ბოლოს და ბოლოს რისთვის დაგვიკეტეს. იმისთვის, რომ ნაკლებ მოგებას იძლევა. ჩვენის აზრით მოსახლეობის ჩარჩ. ვაჭრების პრჭყალებიდან დახსნა უფრო უნდა აინტერესებდეს კოოპერატივს, ვიდრე ზედმეტი მოგება.

დღეს მთელი გლეხობა ჩავარდნილია ჩარჩ-ვაჭრების საყვლეფად. მართალია, ს. დავითიანში არის კოოპერატივი, მაგრამ იქამდე მოსახლეობის უმრავლესობას 5—7 ვერსი აქვს გასავლელი. ამისათვის ის ახლო კერძო ვაჭართან ამჯობინებს ყიდვას. გლეხები ამბობენ პაის 100 პროც-ით გავისწორებთ, ოღონდ კოოპერატივს ნუ დაგვიკეტენო.

ვფიქრობთ ამას სათანადო ორგანოები ყურადღებას მიაქცევენ.

გლეხის შვილი.

საგარეჯოს და მანავის თემები
მოჯამაგირეთა შორის მუშაობა

უკვე ორი წელია, რაც საგარეჯოს და მანავის თემებში არსებობს მოჯამაგირეთა კომიტეტი. წარსულ პირველ წელს იგი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა, მაგრამ ამ ბოლო წელში კი მუშაობა საგრძნობლათ გაცხოველდა, ამას ამტკიცებს ივლისში მოჯამაგირეთა კონფერენცია. ამ კონფერენციაზე გამოირკვა, რომ მთელ გარე - კახეთში, მოჯამაგირეთა შორის მუშაობა კარგად მიმდინარეობს.

კონფერენციაზე დასმული იყო საკითხი მოჯამაგირეთა კომიტეტის ერთი წლის მუშაობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საგარეჯოს და მანავის თემებში არ არსებობს ისეთი კუთხე, სადაც მოჯამაგირეთა შორის მუშაობა არ სწარმოებდეს. წინეთ თუ მოჯამაგირემ არ იცოდა რას ნიშნავდა მოჯამაგირეთა კომიტეტი, დღეს იგი მთლიანათ გარკვეულია ყველა საკითხებში. ამასთან ერთად მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული კულტურულ მუშაობის დარგში. ყველა მოჯამაგირეთა დამქირავებლებთან დადებულია სათანადო ხელშეკრულებები.

საერთოდ მუშაობა წარსულთან შედარებით დამაკმაყოფილებელია.

ივ. დრეიძე.

წერილებიდან

ს. გეჯეთი, სენაკის მაზრა
ყანები წყალს მიაქვს

ს. გეჯეთში მდინარე ტეხურის ნაპირებზე ძევს რამოდენიმე ასეული ქცევა მიწა, რომლებიც ერთი საუკეთესო მოსავლიანი ადგილია. ამ მდინარის ნაპირზე აგრეთვე იყო ბუნებრივათ გაშენებული თვალუწვდენელი თხემლის მამული. რომლებიც ეკუთვნოდა გლეხებს. ეს მამული იფარავდა ყანებს წყალდიდობისაგან. მეფის დროს 1912 წ. კოკი დადიანმა ბოქაულ გრიგოლ გეგენავას დახმარებით ამ მამულის პატრონი გლეხები დააპატიმრა და თხემლის მამული სულ ერთიანად გაანადგურა. ამის შემდეგ ფართო გზა მიეცა მდინარე ტეხურას, რომელიც სულ ანადგურებს აქაურობას. დღემდის წალეკილია და რიყეთაა ქცეული ასეული ქცევა მიწები, მომავალშიც მთლად წალეკვით ემუქრება თუ არ იქნა ზომები მიღებული. საჭიროა ადგილობრივმა ხელისუფლებამ უხელმძღვანელოს გლეხებს, მოიწვიოს ტეხნიკოსები ადგილების გამოსარკვევად და დაიწყოს მუშაობა ნაპირების გასამაგრებლად, გლეხები ამისთვის არაფერს არ დაიშურებენ.

მ. კუპრეიშვილი.

ძველი სენაკი, სენაკის მაზრა
„ქიზიყის მუშტი ჩემბერლენს"

სიღნაღის მაზრის გლეხობა ერთსულოვნად გამოეხმაურა სხვა დიდრონ ქალაქებს და გადასწყვიტა ჰაეროპლანის აშენება, რომლის სახელწოდებაც იქნება „ქიზიყის მუშტი ჩემბერლენს". ყველას, ვისაც კი რამდენი შეუძლია, შეაქვთ წვლილი ჰაეროპლანის ასაშენებლად. ყველა სოფლებში ტარდება საღამო-სეირნობები მისი ფონდის გასაძლიერებლად. ადგილობრივი ინტელიგენციის დახმარებით ერთი ასეთი საღამო მოეწყო სოფ. ტიბაანშიც.

ი. გ.

შორაპანი
მოსავალი ნაკლებია

მაზრის უმთავრეს შემოსავალს ღვინო შეადგენდა, მაგრამ წელს მთელ მაზრაში სასტიკად განადგურდა ვენახები. გამუდმებული ნისლის და ავდრის გამო ვაზმა ვერ დაიყვავილა რიგიანად, როდესაც მზემ გამოიხედა, მეტი მცხუნარე იყო და სასტიკად დაჭრაქა ვაზის ფოთლები. შაბიამანიც არ იყო საყოფი. ღვინის მოსავალს უნდა ველოდეთ საშუალოზე დაბალს.

ვალს უნდა ველოდეთ საშუალოზე დაბალს. საზამთრო ხე-ხილი ჩვენ მაზრის ზოგიერთ თემში კარგად ხეირობს, მაგრამ არ არის კულტურულად ნაშენი, არ იციან გასხვლა და მწერების წინააღმდეგ ბრძოლა, ამიტომ წელს ხეხილს არ ასხია.

პლატონ ცინაძე.

სოფ. ტიბაანი, სიღნაღის მაზრა
გაზეთებს გვიან ვღებულობთ

სოფ. ტიბაანში არის ქოხ-სამკითხველო, საიდანაც სწარმოებს სხვადასხვა გაზეთების გამოწერა ქ. თბილისიდან. აქ მოდის გაზეთი, როგორც „ახალი სოფელი", ისე „კომუნისტი" და „მუშა"-ც. მაგრამ ძლიერ დაგვიანებით კი მოდის. გაზეთი „ახალი სოფელი" გამოდის ხუთშაბათობით და სოფელში კი მოდის 4-5 დღის და ერთი კვირის შემდეგ. რკინის გზა საშუალებას გვაძლევს მეორე დღეს გაზეთი სოფელში იყოს, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ფოსტა ამას ძლიერ აგვიანებს. გლეხები უკმაყოფილონი არიან. ვინც იწერს გაზეთს, იძულებულია დაანებოს თავი მის გამოწერას.

იმედია ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება გაგვცემს პასუხს.

ირაკლი გურაშვილი.

პარტია, სოფელი და ოპოზიცია

(„პრავდა"-ს მეთაური)

იმ ამოცანის უდიდესი სიძნელე, რომლის გადაწყვეტა იკისრა პროლეტარიატმა, იმაში მდგომარეობს, რომ მან —პროლეტარიატმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მეორე კლასს—წვრილ მესაკუთრეთა კლასს, რომელიც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენს. ამასთან ეს ხელმძღვანელობა ისე უნდა გაუწიოს, რომ არა მარტო პოლიტიკურად იყოლიოს იგი თავის მხარეზე, არამედ ეკონომიურადაც გაიყოლოს, გარდაქმნას მასში გაბატონებული კერძო მესაკუთრეობის ურთი-ერთობა სოციალისტურ საფუძველზე და, ამ გვარად, განახორციელოს სოციალიზმი მთელს სახალხო მეურნეობაში.

ჩვენს ოპოზიციონერებს ეს სიძნელე ისეთ დაუძლეველ დაბრკოლებად მიაჩნიათ, რომ გონება უბნელდებათ და ხელ-ფეხის დამბლა მოსდით.

არაფერი გასაკვირალი არ არის, თუ ასეთი პანიკური „პორაჟენცული" განწყობილების დროს ოპოზიციონერები განსაკუთრებული გულმოდგინებით ხაზს უსვამენ ჩვენი სინამდვილის ყველა უარყოფით მოვლენებს, აზვიადებენ სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების ზრდას, უსაყვედურებენ პარტიას სოფლის ღატაკი გლეხობის ინტერესების დავიწყებას, გლეხობის შეძლებული ნაწილების მფარველობას, კოოპერაციის „კულაკურ" გადახრას და სხ.

ასეთივე განწყობილებიდან არის წარმოშობილი ოპოზიციის „მხსნელი" გეგმები.

მართლაც, თუ კი სოციალისტური აღმშენებლობა შეუძლებელია, თუ კაპიტალისტური ელემენტები იზრდებიან ისე, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ, მსოფლიო სოციალისტური რევოლიუცია შეფერხდება, და დასკვნა კი აქედან ერთია:—ჩვენი კურსი საშუალო შეძლების გლეხზე, როგორც მიწათ-მოქმედების ცენტრალურ ფიგურაზე, უვარგისია, დაძველებულია, საჭიროა მისი შეცვლა და მთელი პოლიტიკის ისე წარმართვა, რომ მხედველობაში იქნეს მიღებული სოფლის ფენებად დაყოფის ფაქტი, ე. ი. სოფელი, რომელიც შეუჩერებლად კაპიტალისტური გზით ვითარდება. მხოლოდ ასეთი პოლიტიკის საშუალებით შეიძლება რამოდენიმე ხნით შერჩეს ხელისუფლება მუშათა კლასს, ვიდრე არ წამოგვეწევა რევოლიუცია საზღვარგარედ.

ოპოზიციის „მხსნელი" პროექტები ცნობილია: აქ არის ინდუსტრიალიზაციაქნილი საბჭოთა მეურნეობის მასიური „დანერგვა", რომელმაც სამუშაო უნდა მისცეს სოფლის მთელ ღატაკ გლეხობას, და რომელმაც თავის უშუალო გავლენის ქვეშ უნდა მოაქციოს ღარიბი გლეხობის მთელი მეურნეობა; აქ არის სათანადო საგადასახადო პოლიტიკა; აქვეა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საფუძვლიანი რეფორმაც, მისი სახელმწიფო კაპიტალისადმი დაქვემდებარებით და თვითეულ ძირითადი კოოპერატიული უჯრედის კონტროლით; ყველა ამ ზომებმა ერთბაშად უნდა განკურნონ ჩვენი კოოპერაცია ყოველგვარ სნეულებისა, გადახრებისაგან და სხვ.

პარტიამ გადაჭრით უარყო ყველა ეს გეგმები. რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ პარტიამ არაფერი იცის სოფლის ფენებად დაყოფის, კაპიტალისტური ელემენტების ზრდის და აქედან გამომდინარე საშიშროების შესახებ, არა იმიტომ, რომ პარტია უპირველეს მნიშვნელობას არ აძლევს კოოპერატიული, საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკას, პარტიასთან ღარიბი გლეხობის დაახლოებისა და შეკავშირების, და კულაკობასთან ბრძოლის საკითხებს, არამედ იმიტომ, რომ სწორი პოლიტიკა ყველა ამ საკითხებში და, მით უმეტეს, ამ პოლიტიკის სწორი პრაქტიკული გატარება შეიძლება არა ფრაქციულ კრებებზე თითების აწევით, არამედ იჭედება ხანგრძლივი ღონისძიებებით საბჭოთა, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ წარმოებულ მძიმე ყოველდღიურ მუშაობაში. პარტიამ უარყო ოპოზიციის გეგმები განსაკუთრებით იმიტომ, რომ პარტია სთვლის სწორად ჯერ კიდევ ლენინის დროს აღებულ კურსს მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის შორის, საშუალო გლეხობასთან კავშირის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად.

პარტიის ყველა ღონისძიებები სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების, გაფართოების, მანქანიზაციის და ინდუსტრიალიზაციის დარგში მთლიანად დაცული, და გაფართოებულია. უამისოდ შეუძლებელია არა თუ პროლეტარიატის კავშირის განმტკიცება სოფლის მეურნეობის ძირითად მასასთან, არამედ მრეწველობის სოციალისტური მშენებლობის ბაზის განვითარება, რომლისათვისაც (მრეწველობისათვის) სასოფლო მეურნეობა გასასაღებელ ბაზარს და ნედლეულობის მიმწოდებელს წარმოადგენს. ოპოზიციის ვერავითარი ცდა—გადაახვევინოს პარტიას ამ ერთად-ერთ სწორ ლენინურ გზიდან, —მიზანს ვერ მიაღწევს.

ამასთან ერთად პარტია უფრო მეტი ყურადღებით ეკიდება და ამუშავებს უფრო სწორ და ნამდვილ ზომებს იმისათვის, რომ დებულება, რომელიც საფუძვლად უდევს სოფლის საწარმოო ძალების გასავითარებლად აღებულ კურსს, არ გადაიქცეს რაღაც თვითმიზნად, რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს. რაც შეიძლება ჩქარა, და რათაც არ უნდა დაჯდეს. იგი უნდა ექვემდებარებოდეს მთლიანად და სავსებით ჩვენს კლასიურსა და სოციალისტურ მიზნებს.

საჭიროა, რაც შეიძლება, სოფლის საწარმოო ძალების მაქსიმალური განვითარება და ამავე დროს კულაკების ექსპლოატატორული მისწრაფების შეზღუდვა. აქედან დირექტივა: სოფლის ზედაფენების მაქსიმალური დაბეგვრა, სოფლის ზედაფენების დაბეგვრის პრაქტიკის შედეგების შესწავლა იმ მიზნით, რომ, რაც შეიძლება, უფრო მეტად უზრუნველყოფილი იქნეს მუშათა სახელმწიფოს ინტერესები.

საჭიროა, რაც შეიძლება, მეტი განვითარება გლეხობის ყოველგვარ კოოპერატიულ - საწარმოო გაერთიანებათა, რომელნიც მოსახლეობის ფართო თვისმოქმედებას ეყრდნობიან, მაგრამ ამავე დროს საჭიროა გლეხურ გაერთიანებათა ისეთი ხელმძღვანელობა, რომ ისინი უფრო მეტად ემსახურებოდენ ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხურ მასების საჭიროებებს, რომ ეს გაერთიანებანი ვითარდებოდენ სოციალისტური მიმართულებით. აქედან დირექტივა: საჭიროა გაუმჯობესდეს კოოპერატიული, საგადასახადო და სხვა პოლიტიკის გატარების მეთოდები.

მაქსიმალური განსაკუთრებული დახმარება და ხელისშეწყობა ღარიბი გლეხობისათვის, მაგრამ დახმარება ისეთი, რომელიც ემყარება ჩვენს რეალურ შესაძლებლობას. აქედან — უარყოფა ოპოზიციის დემაგოგიური ყვირილისა ამ დახმარების სიმცირეზე და დირექტივა გლეხური ფონდების გაძლიერების შესახებ.

პარტიის მიერ აღებული კურსი წარმატებით იქნება განხორციელებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტიული ორგანიზაციების მთელი გულისყური მიპყრობილი იქნება კოოპერატიული, საკრედიტო, საგადასახადო პოლიტიკისა და მანქანების მიწოდების შესახებ მიღებული დირექტივების გატარებაზე; თუ პარტიული ორგანიზაციები უდიდესი გულმოდგინეობით და თანდათანობით შეისწავლიან, გააღრმავებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს ამ დირექტივების განსახორციელებლათ.

მოსკოვი, 18 აგვისტო.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისრის ბრძანება

მოსკოვი, 19 აგვისტო. სამხედრო საზღვაო სახალხო კომისრისა და საკავშირო რევოლიუციონურ - სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე მრავალი განცხადებები მოდის იმ საკითხებზე, რომელნიც დაკავშირებულია სამხედროთან სამხედრო უწყებაში. ამის გამო, სამხედრო-საზღვაო-სახალხო კომისარი აცხადებს:

„სანამ განცხადებით მიმართავდენ სამხედრო-საზღვაო - სახალხო კომისარს და საკავშირო რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს, ყოველგვარი შუამდგომლობა უშუალოდ მიმართული უნდა იქნას სამხედრო- საზღვაო-სახალხო კომისარიატის ორგანოებში ან სხვა უწყებებში, რომელნიც თავიანთი მმართველობის სფეროში ვალდებულნი არიან განიხილონ და გადასწყვიტონ ესა თუ ის საკითხები".

მუშა - ქალთა და გლეხ - ქალთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი ,19 აგვისტო. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა 10 ოქტომბრისათვის მოიწვიოს მუშა-ქალთა და გლეხ - ქალთა საკავშირო ყრილობა. ყრილობას უნდა დაესწროს 800 დელეგატი ქალი.

საკავშირო ყრილობამდე მოეწყობა საგუბერნიო, სარაიონო, და სათემო ყრილობები, სადაც არჩეული იქნება დელეგატი ქალები საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნად.

საკითხთა შორის არის: მუშა - ქალთა და გლეხ - ქალთა მდგომარეობა საბჭოთა კავშირში ოქტომბრის ათი წლის თავზე. საბჭოების მუშაობა, მუშა - ქალთა და გლეხ-ქალთა მონაწილეობა საბჭოებში და სხვა. (ადს).

25.000 მან. მოგება

ნოვოროსიისკი, 19 აგვისტო. შინამრეწველ მეწაღემ გრიგორიადიმ სახელმწიფო ბანკში წარადგინა ობლიგაცია, რომელმაც როსტოვის 10 პროც-იან ტირაჟში მოიგო 25.000 მან. გრიგორიადიმ ობლიგაცია ტირაჟამდე ორი დღის წინედ იყიდა (ადს).

მოგზაურობა აეროგლისერით

ლენინგრადი, 19 აგვისტო. ჩამოვიდა აეროგლისერი ცაგი, რომელმაც შემოიარა მოსკოვ-ლენინგრადი.

მოსკვა რეკას, ოკას, ვოლგას, შეკსნის, მარინის სისტემის და ლადოგის და ონეგის ტბების მიმართულებით. გლისერმა გაიარა 4.000 კილომეტრი მაქსიმალური სისწრაფით 70 კილომეტრი საათში (ადს).

წითელარმიელის დაჭრა

ტირასპოლი, 19 აგვისტო. ამ დღეებში დნესტრთან, სოფელ კარაგაშის რაიონში რუმინეთის სანაპირო რაზმელებმა ვინტოვკის ტყვიით დასჭრეს ჩვენი გუშაგი წითელარმიელი სირცოვი. გამოძიება სწარმოებს. ეს ინციდენტი განხილული იქნება რუმინეთ - საბჭოთა ადგილობრივი შერეული კომისიის სხდომაზე, რომელიც ამ უახლოეს დღეებში შესდგება (ადს).

საბჭოთა კურორტებზე

მოსკოვი, 19 აგვისტო. ჩამოვიდა 48 გერმანელი მუშა და მოსამსახურე, რომელნიც გაიგზავნებიან საბ. კურორტებზე—კავკასიის მინერალურ წყლებზე და ყირიმში. მათი თავმჯდომარეა ექიმი ხვიენდი, კარლ ლიბკნეხტის დისწული, ბერლინის რეიხსდაგის მდივანი. ჩამოსულთა შორის არიან სოციალ - დემოკრატები, უპარტიოები და კომუნისტები, კერძოდ გელცის ცოლი, რომელსაც გერმანიაში მისჯილი აქვს სამუდამო კატორღა (ადს).

მონღოლეთის პროფკავშირთა ყრილობა

მოსკოვი, 19 აგვისტო. მონღოლეთის პროფკავშირთა პირველმა ყრილობამ პროფინტერნის აღმასრულებელს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მონღოლეთის პროფმოძრაობა პროფინტერნის რიგებში იბრძოლებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ. დანარჩენ შეკავშირებულ საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთად.

პროფინტერნის აღმასრულებელმა მონღოლეთის პროფკავშირთა ყრილობას გაუგზავნა საპასუხო მისალმება, რომელშიაც გამოსთქვამს რწმენას, რომ პროფკავშირთა წითელი ინტერნაციონალის უახლოეს კონგრესზე დაესწრება აგრეთვე მონღოლეთის პროფკავშირთა დელეგაცია.

მიწისძვრა ფერგანში

ნამანგანი, 18 აგვისტო. ნიადაგის რყევა გრძელდება, მაგრამ ბიძგების ძალა რამოდენიმედ შესუსტდა. 18 აგვისტოს ღამის 12 საათიდან დღის 12 საათამდე ადგილი ჰქონდა ხუთ ბიძგს, რომლებმაც გამოიწვიეს ახალი ნგრევა ვინაიდან ძველ ქალაქში და კიშლაკებში არის ბევრი ნახევრად - დანგრეული შენობები, რომლებიც ინგრევა უმნიშვნელო ბიძგებითაც კი.

უზბეკისტანის ცაკის თავმჯდომარის თანდასწრებით შესდგა ქალაქის აღმასკომის სასწრაფო სხდომა. დაახლოვებით გამოანგარიშებით მოსახლეობისთვის სასურსათო დახმარების აღმოსაჩენად მარტო უახლოეს დღეებში საჭირო იქნება 120.000 მან. მიწისძვრისაგან მიყენებული ზარალი ბევრად აჭარბებს წინასწარ გამოანგარიშებებს და შეადგენს სულ მცირე 5 მილიონ მანეთს. ზარალის საბოლოო გამოანგარიშება ჯერ შეუძლებელია, ვინაიდან ნგრევა ისევ გრძელდება (ადს).

დროებითი სინოდის დეკლარაცია

მოსკოვი, 19 აგვისტო. „იზვესტია" აქვეყნებს დროებითი საპატრიარქო სინოდის მიმართვას, რომელიც წარმოადგენს დეკლარაციას ახლად მოწყობილ სინოდის საეკლესიო მოღვაწეობის შესახებ. მიმართვა: აყენებს საკითხს სამღვდელოების დამოკიდებულების შესახებ საბჭოთა ხელისუფლებისადმი, და მიუთითებს განსვენებულ პატრიარქ ტიხონზე, რომლის საზრუნავ საგანს შეადგენდა, როგორც მიმართვაშია აღნიშნული, ნორმალური ურთიერთობების დამყარება საბჭოთა ხელისუფლებისა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას შორის.

„ეხლა, — ნათქვამია მიმართვაში, — როცა ჩვენ თითქმის მივაღწიეთ ჩვენს მისწრაფებას, —ჩვენი მტრების გამოსვლები ისევ გრძელდება: მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება, აფეთქება, თავდასხმა და სხვა მსგავსი მოვლენები, ჩვენ თვალწინ ხდება. მით უფრო საჭიროა ჩვენი ეკლესიისათვის, მით უფრო სავალდებულოა დავამტკიცოთ ეხლა, რომ ჩვენ—ეკლესიის მოღვაწენი არა ვართ საბჭოთა სახელმწიფოს მტრებთან ერთად, არა ვართ მათი ინტრიგების უაზრო იარაღები, არამედ ჩვენ ვართ ხალხისა და ჩვენს მთავრობასთან ერთად. უნდა დავამტკიცოთ არა სიტყვით, არამედ საქმით, რომ საბჭოთა კავშირის ერთგული მოქალაქენი და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილნი შეიძლება იქნენ არა მარტო მართლმადიდებლობისადმი გულგრილი მოქალაქენი, არამედ მართლმადიდებლობის გულმხურვალე მიმდევრებიც"

ამ შესავლის შემდეგ მიმართვა გადადის მთავარ საკითხზე, რომელიც როგორც სჩანს, მიმართვის ძირითად ძარღვს წარმოადგენს:

„დღევანდელ პირობებში,—ნათქვამია მიმართვაში, — განსაკუთრებულ სიმწვავეს ღებულობს საკითხი საზღვარ გარეთ გახიზნულ სამღვდელოების შესახებ.

ზოგიერთ მღვდელ - მთავარის ანტისაბჭოთა გამოსვლებმა, იძულებულ ჰყოფს განსვენებული პატრიარქი 1922 წელს გაეუქმებია საზღვარ გარეთ არსებული სინოდი. მაგრამ სინოდი დღემდე განაგრძობს არსებობას ისე, რომ პოლიტიკურად არ იცვლება. ამას რომ ბოლო მოღებოდა, ჩვენ საზღვარგარეთ მყოფ სამღვდელოებას მოვთხოვეთ მოეცა ჩვენთვის წერილობითი ვალდებულება საბჭოთა მთავრობისადმი ლოიალური დამოკიდებულების შესახებ. ამ ვალდებულების არ მომცემი ან დამრღვევები გამორიცხული იქნება იმ სამწყსოს შემადგენლობიდან, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს ექვემდებარება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი გამიჯვნით ჩვენ დაცული ვიქნებით საზღვარგარეთის ყოველგვარ მოულოდნელობისაგან. მეორე მხრით, ჩვენმა დადგენილებამ შეიძლება ბევრი დააფიქროს და დადგა თუ არა დრო გადასინჯოს საკითხი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულების შესახებ იმ მიზნით, რომ საბოლოოდ არ დაშორდეს მშობლიურ ეკლესიას და სამშობლოს".

„სინოდის მიმართვა შესვენებული მიტროპოლიტ სერგის განცხადებით, რომელიც შეიცავს შემდეგს:

„საბჭოთა ხელისუფლებას ვსცნობთ ნორმალურ და კანონიერ ხელისუფლებად და ვემორჩილებით ყველა მის განკარგულებებს სრულიად გულწრფელად. იმ შემთხვევაში, თუ ომი იქნა, მთელი ჩვენი სიმპატიები საბჭოთა კავშირის მხარეზე არის და იქნება.

ჩვენ ხომ ჩვენ სამშობლოს ვემსახურებით, ხოლო ყველა ინტერვენტები იბრძვიან თავისი ინტერესებისათვის, — იმისათვის ,რომ ჰყვლიფონ რუსი ხალხი და რუსეთის მიწა-წყალი.

წყალდიდობა ციმბირში

ვლადივოსტოკი, 18 აგვისტო. წყალდიდობა გრძელდება.უსურის რაიონში წყალი ალაგ-ალაგ დავარდა 1-ნახევ. არშინით. უსურის იქით რკინისგზის ლიანდაგი გადარეცხილია რამოდენიმე კილომეტრზე. უსურიაში დაიღრჩო 30 კაცი. წყალმა მთლიანად დაანგრია ბოროდინის ხე-ტყის სახერხი ქარხანა. იაკოვლევის რაიონში წყალმა წალეკა ბრინჯის თითქმის ყველა პლანტაციები. დაიღუპა პლანტაციაზე მომუშავე 9 კორეელი. მოსახლეობას თავგანწირულად ეხმარებიან გაერთ. პოლიტ. სამმართველოს სანაპირო ჯარები და აგრეთვე წითელ არმიელები. დაპატიმრებულია 20 მძარცველი.

17 აგვისტოს საღამოს და ღამით ზღვის სანაპიროს გადაუარა ახალმა ტაიფუნმა. ნიაღვარი გაგრძელდა 15 საათს. ქალაქში და მის მიდამოებში წყალდიდობის შედეგები აცილებულია მუშებისა და წითელარმიელების მიერ, რომლებმაც წარმოების გარშემო ააგეს ჯებირები. ყველა დაზარალებულ რაიონებში იგზავნება სურსათ - სანოვაგე (ადს).

ქარიშხალი შავ ზღვაზე

ოდესა, 18 აგვისტო. შავი ზღვის მთელ სანაპიროებზე ძლიერი ქარიშხალია. მისი ძალა აღწევს 8 ბალამდე. იალქნიან გემების მოძრაობა შეწყდა. 18 აგვისტოს ქარიშხალმა ზღვაში გაიტაცა ნავი, რომელშიაც ისხდენ 7 სტუდენტი, ფიზკულტურის საბჭოს ინსტრუქტორები. საშველად გაგზავნილმა კატერმა და ჰიდროპლანმა ნავი ვერ იპოვეს.

საღამოზე მიღებულია რადიო, რომ ნავი გადაარჩინა გემმა „კრასნი ფლოტ"-მა, რომელმაც მიიყვანა იგი ევპატორიაში (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

საგზაო მშენებლობა

ბაქო, 19 აგვისტო. აზერბეიჯანში მთავარი ყურადღება მიქცეულია რკინის გზის დიდი ხიდების აგებაზე იმ მდინარეებზე, რომელნიც საფრთხეს წარმოადგენენ მოძრაობისათვის. ამჟამად მუშაობა სწარმოებს ტერტერისა, ხინჩინკუსა და ხოჯანიკის შორის ხიდების ასაგებად. ამ მიმართულებით ყოველწლიურად გადააქვთ 14 მილიონი ფუთი ტვირთი.

რესპუბლიკანურ და ფედერატიულ მასშტაბით საგზაო მშენებლობაზე მ.-წ. დაიხარჯება 1.068 ათასი მანეთი. (ადს).

მატყლის დამზადება

ბაქო, 16 აგვისტო. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა შეიმუშავა გეგმა, რომლის თანახმად მიმდინარე წელს აზერბეიჯანში უნდა დამზადდეს 20.000 ფუთი მატყლი. მატყლის დამზადება დაევალა „ჭეიბირლიგის" და „აზერიტიფაკს" წარსულ კამპანიაში. ამავე ორგანიზაციებმა დაამზადეს 46.000 ფუთი მატყლი (ადს).

სამრეწველო მშენებლობა

ბაქო, 16 აგვისტო. სამრეწველო აღმშენებლობის საჭიროებისათვის აზერბეიჯანის მაზრებში, მომავალ ხუთწლეულში განზრახულია დაიხარჯოს 1.500.000 მანეთი. განზრახულია 5 დიდი და 5 პატარა აგურის ქარხნის, 5 კრამიტის ქარხნის, 1 საკონსერვო, 1 არაყისსახდელ, 1 ხის დამმუშავებელ, ქარხნის, 6 მექანიკური სახელოსნოს 6 ყრუილის ქარხნის და სხვ. აგება.

სომხეთი

ნიადაგის გამომკვლევი ექსპედიცია

ერივანი, 19 აგვისტო. სომხეთის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ნიადაგის გამომკვლევი ექსპედიცია, პროფ. გალუსტიანის ხელმძღვანელობით მუშაობს ღარაკაგუზის, ერევნისა და ლენინაკანის რაიონებში. ექსპედიციის წინანდელი მუშაობა შეამოწმებს იმ ცნობებს, რომელიც შარშან მიიღო ნიადაგის გამომკვლევმა ექსპედიციამ.

მუშაობის დასრულების შემდეგ, შემოდგომაზე დაიწყება ნიადაგის ქარტის შედგენა ათვერსიანი მასშტაბით.

სარწყავი არხების რეჟიმის შესწავლა

ერივანი, 16 აგვისტო. სომხეთის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო შეუდგა სომხეთის გასაბჭოებამდი არსებულ სარწყავი არხების რეჟიმის შესწავლას. ერევნისა და ეჩმიაძინის მაზრებში არსებულ არხებთან არსდება ჰიდრომეტრიული პუნქტები, რომლებიც შეამოწმებენ არხის წყალგამტარობას (ადს).

მუშების სიმცირე

ერივანი, 16 აგვისტო. შრომის სახალხო კომისარიატის ცნობებით ერევანში და განსაკუთრებით ლენინაკანში საგრძნობი ნაკლებობაა მშენებელ მუშების: კალატოზების, დურგლების და სხვა. მიღებულია ზომები მუშების მოსაწვევად.

ერევანში იანვართან შედარებით უმუშევართა რიცხვი შემცირდა. იანვარში ითვლებოდა—6445, ამჟამად კი 5115. (ადს).

წყალდიდობის შედეგები დილიჟანში

დილიჟანი, 19 აგვისტო. ამ სტიქიური უბედურების შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქალაქ დილიჟანში, ცხოვრება ისევ ნორმალურ კალაპოტში ჩადგა ქალაქში უმთავრესად დაზიანდა წითელ ხიდის მიდამო; აქ ნიაღვარმა უფრო მეტი ძალა გამოიჩინა, ვინემ სხვა ადგილებში, წითელ ხიდთან ნიაღვარმა მთებიდან წამოღებულ მორებით და უზარმაზარი ქვებით გაანგრია სახლები.

წინასწარი გამოანგარიშებით, დაზიანებულია 68 სახლი და 26 დუქანი. უბინაოდ დარჩა 52 ოჯახი. ძალიან დაზიანებულია ჰიდრო-სადგური და აგურის ქარხანა. დღემდე აღნიშნულია სიკვდილის 3 შემთხვევა. კომუნალურ განყოფილების სამშენებლო მასალების საწყობი წყალში. ნიაღვარმა წაიღო 1.000-ზე მორი. დაზიანებულია აგრეთვე ბაღების და ბოსტნების დიდი ნაწილი. ამ უბედურების დროს გაძარცვის 7 შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

უბედურების შედეგების სალიკვიდაციო კომისია შეუდგა უბინაოდ დარჩენილ ოჯახებისათვის თავშესაფარის აღმოჩენას. კომისიამ თხოვნით მიმართა აგრეთვე ყაზახის აღმასკომს. რათა მდინარე აქსტაფინზე დაყენებულ იქნეს ყარაულები მდინარის მიერ ოჯახებიდან გამოტაცებულ ნივთების დასაჭერათ. ასეთი ყარაულები დაყენებულია აგრეთვე მდ. გოლოვინკაზე.

ქალაქისათვის მიყენებულ ზარალის გარდა, გამოკვლეულ იქნება აგრეთვე ზარალის ის რაოდენობა, რომლებიც ნიაღვარებმა მიაყენეს სასოფლო - მეურნეობას.

მუშათა ცხოვრება

შუშის ქარხანა სურამში უნდა აშენდეს

საქ. ს. მ. უ. საბჭოს განზრახული ჰქონია ლაშეში შუშის ქარხნის აგება. ლაშეს მიდამოებში მოიპოვება მხოლოდ და მხოლოდ სილა, ისიც ძალზე დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც ქარხანა უნდა აიგოს. ამასთანავე ამ სილის გამოსატანათ არსებული გზები წარმოადგენენ მთიან ადგილებს და თვით სილის მარაგი ძლიერ ცოტაა. იგი შესაძლოა ეყოს ქარხანას მხოლოდ სამი-ოთხი წლის განმავლობაში. შემდეგ კი საჭირო იქნება სილის სხვა ადგილებიდან მოზიდვა ქარხანაში.

სურამში კი სულ სხვა პირობებია. სურამი მდიდარია ისეთი მადნეულობით, რომლებიც პირდაპირ შეადგენენ შუშის ნაწილებს და რომლითაც საზრდოობს დაარსებიდანვე ბორჯომის შუშის ქარხანა.

სურამში ბევრია ცარცი, სათალიმო სილა, ცეცხლგამძლე მიწა, ანდეზიტი (შავი ქვა), არსებული გზები ყოველ მხრივ ხელს შეუწყობენ ამ მადნეულობის გამოზიდვას რკინის გზის სადგურზე. ქარხნისათვის საჭიროა ნედლი მასალა, საწვავი და სხვა. სურამის თემში მათი დამზადება-შეძენა გაცილებით იაფი დაჯდება. ქარხნის ნაწარმოების გზავნა არავითარ შემთხვევაში არ დაბრკოლდება გზების უვარგისობის, ან კიდევ უქონლობის გამო, რადგანაც ქარხანასთან იქნება რკინის გზის ლიანდაგი.

ამასთანავე გამოსაგზავნი საშუალებანი როგორიც არის ყუთები, ბურბუშელა და სხვა სულ ადვილათ და ხელსაყრელ პირობებში შეიძლება დამზადდეს ადგილობრივ. ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სურამის თემი მთაგორიანი ადგილია და სახნავ-სათესი მიწები გაცილებით ნაკლებია და ისიც უვარგისი, რის გამო მოსავალი ნაკლებად მოდის და მცხოვრებთა მეტი წილი ღარიბია.

ყველა ზემოთ-აღნიშნულის გამო ვფიქრობთ, რომ სურამში გაცილებით უფრო მოსახერხებელია და ხელსაყრელიც იქნება შუშის ქარხნის აგება, ვიდრე ლაშეში. კომისიამ და თვით სახალხო მეურნეობის საბჭომაც უნდა გაითვალისწინონ დასახელებული გარემოება და შუშის ქარხნის აგების საკითხის გარჩევის დროს უპირატესობა მისცენ სურამს.

მუშკორი მათეს ამხანაგი.

უმუშევრები და ჩვენი კავშირი

პროფკავშირები დღეს მთავარ ყურადღებას აქცევენ უმუშევრების მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომლისთვის მათ აქვთ გადადებული საკმაო თანხა. უმუშევრებს დახმარება ეძლევათ სტაჟის მიხედვით. გახსნილია სხვადასხვა ადგილას უმუშევართა სასადილოები, სადაც უმუშევრები უფასოთ სადილობენ. მოწყობილია მრავალ ადგილას უმუშევართათვის საზოგადო სამუშაოები და. აგრეთვე მათ ეძლევათ სხვა წვრილმანი დახმარება, როგორიც არის აბანოს ბილეთი, საპონი და სხ. მაგრამ საუბედუროთ. უმუშევართა შემცირება და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელს უშლიან ზოგიერთი უმუშევრები. რომლებიც ბაზარზე სპეკულიაციას ეწევიან და ამავე დროს დახმარებას ღებულობენ კავშირიდანაც. როგორც უმუშევარი. ის უმუშევრებიც, რომლებმაც იციან ასეთ „უმუშევარ" სპეკულიანტების არსებობა არ ამჟღავნებენ და მხოლოდ იმის ცდაში არიან, რომ როგორმე ჩქარა მიიღონ კუთვნილი დახმარება და კავშირის კარებს მოსცილდენ .იმას კი არ ფიქრობენ, რომ ყოველი უკანონოთ გაცემული თანხა „უმუშევარ" სპეკულიანტებზე, მათ აკლდებათ.

3 აგვისტოს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის ერთმა უმუშევართაგანმა გადაასწორა მასზე გაცემული დახმარების ქვითარი 4 მანეთის მაგიერ 14 მანეთად, რომლითაც ის ფიქრობდა კავშირის მოტყუილებას.

თითეული უმუშევარი ვალდებულია თვალყური ადევნოს ასეთებს. თუ კი დაინტერესებული არის თავის მდგომარეობის გაუმჯობესებაში და თავის დროზე აცნობოს სადაც ჯერ არს ასეთ პირების შესახებ. კავშირებმა კი უნდა შემოიღონ მტკიცე დისციპლინა უმუშევრებში, რათაც ყოველივე დაბრკოლებები დაძლეული იქნება.

მუშკორი შალიკო ვაჩეიშვილი.

საყურადღებო წვრილმანი

— **საქანელის ქუჩა.** ერთი რამ აკლია საქანელის ქუჩას, ეს არის მოკირწყვლა, ამ რამოდენიმე ხნის წინეთ შეუდგენ ვერის ხიდის მხრიდან ჩვენი ქუჩის მოკირწყვლას, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო მუშაობა შეაჩერეს. ამბობენ ვითომ რიყის ქვა არ ეყოთ მოსაკირწყლავათო, პატარა წვიმა საკმაოა, რომ ტალახის მორევი დადგეს. ამის გამო ბალკის მცხოვრებნი იძულებული არიან წვიმების დროს ორი ნაბიჯის მაგიერ ორ ვერსზე მოუარონ ხოლმე. შარშან ბალკელებმა აღმასკომს კოლექტიური ხელის მოწერით სთხოვეს საქანელის ქუჩის მოკირწყლვა, მაგრამ ბალკელების ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, და დღესაც არ ვიცით,თუ როდის მოიკირწყლება ჩვენი ქუჩა.

მუშა ნიკო ას—ლი.

საჭიროა საგუშაგოს გახსნა

ა. კ. რკინის გზის გადაღმა (მეშიდე უბანი) არ არის საგუშაგო; ჩამოდიან სპეკულიანტები და ჩამოაქვთ სოფლიდან არა ნებადართული საქონელი, როგორიც არის: თამბაქო, არაყი, ღვინო და სხვა. ამ უბანში ავარებიც თავისუფლად დათარეშობენ.

საჭიროა დაარსდეს საგუშაგო.

მუშკორი მ. ბოკუჩავა.

მოვითხოვთ პასუხს
(რკინის გზის სამმართველოს საყურადღებოდ)

შავი ზღვის რკინის გზის აღმშენებლობის სამმართველოს მიერ სადგ. ხეთაში სადგურთან მდებარე მოედნის გასაფართოებლად გადაზომილ იქნა ადგილობრივად მოსახლე გლეხების ეზო, სადაც გაშენებულია ვენახის, თხილის, ვაშლის და სხვ. ბაღები. აგრეთვე ორი გლეხის სახლი უნდა გადატანილიყო სხვა ადგილზე, რადგან ამას მოითხოვდა აუცილებელი საჭიროება.

თებერვალში გზის ოსტატ სიჭინავამ და ტეხნიკ შელიაკოვმა ადგილობრივ აღმასკომს მისცეს განკარგულება, რათა უკანასკნელს გამოეცხადებია გლეხებისათვის, რომ ის ადგილი, რომელიც გადაზომილია რკ. გზის საჭიროებისათვის არ დაამუშავებიათ. გლეხები დათანხმდა ამ განკარგულებას საყანე მიწებზე, მაგრამ რაც შეეხება ბაღების ჩამორთმევას—ამას გლეხები ვერ შეურიგდნენ და გული აუცრუვდათ მუშაობაზე, ამგვარად გლეხებმა ბაღ-ვენახები არ დაამუშავეს, დადგენილების სისრულეში მოუყვანიც არსად სჩანს და ამგვარად დიდად იზარალეს.

ზემოაღნიშნულ გლეხებს სურთ გაიგონ შემდეგი: არის თუ არა საჭირო ამ ადგილების დატოვება, თუ საჭიროა, როდის უნდა ჩამოჭრან, ჩვენ ზემოაღნიშნულ გლეხებს მოგვეცემა თუ არა ნაშენობის საფასური.

ა. ივლიანაშვილი.

მუშათა ქრონიკა

— **40.000 მანეთი სესხი.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ შრომის სასახლის შესაკეთებლად გამოითხოვა გრძელვადიანი სესხი საჩით თბილისის კომუნალურ ბანკიდან 40.000 მანეთი.

კომუნალურ ბანკმა დააკმაყოფილა პროფსაბჭოს თხოვნა.

— **ავტო კლუბის გაფართოება.** ადგილობრივ ტრანსპ. მომუშავეთა კავშირის ც. გ. სთხოვა საქართველოს პროფსაბჭოს, რათა ავტოკლუბის (პლეხანოვის გამზირი 129) აღმოსავლეთის მდებარე ბაღი შეუერთონ ავტო-კლუბის ბაღს.

— **კულტმუშაობა დუშეთში.** — კულტმუშაობის ძირითადად ამოცანების გაძლიერების მიზნით დუშეთის პროფბიუროს კულტკომისიას განზრახვა აქვს ადგილობრივ მუშათა კლუბში მოაწყოს: 1. პროფწრე. 2. ფიზკულტურის წრე, 3. იურიდიული წრე და 4. კოოპერატიული წრე.

— **პლენუმი.** ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ც. გამგეობის მეორე პლენუმი მოწვეულია ა-წ. 1-ლ სექტემბრისათვის.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყ. წინადადება მისცა მბეჭდავთა კავშირის ც. გ., რათა მათი კავშირის უმუშევარი კვალიფიციური მუშები აღრიცხონ თბილისის შრომის ბირჟის სექცია № 1-ში.

— **თვითმფრინავის ასაშენებლად.** თვითმფრინავ „საქართველოს პროფკავშირების" ასაშენებელ ფონდის გაძლიერების მიზნით დუშეთის პროფბიურო ამჟამად აწარმოებს გაცხოველებულ მუშაობას.

ქუთაისი
ქალაქი შენდება

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ განსაკუთრებული ყურადღება ქუჩებისა და ფილაქნების ვაკეთება - შეკეთებასა და გაფართოება - გალამაზებას მიაქცია. არა ერთი ათეული ქუჩა შეკეთდა კაპიტალურად; არა ერთი და ათი ქუჩა ახლად იქნა ქვას-ბილით მოკირწყლული. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გაკეთდა ცემენტის თუ ქვის ახალი ფილაქნები; ქალაქის ბაღს გარშემო შემოევლო ძველის ნაცვლად ახალი თლილი ქვის ფილაქნები. ბევრს ადგილას ვიწრო და მიხვეულ - მოხვეული ქუჩების გასაფართოებლად და გასასწორებლად შენობებიც იქნა დანგრეული და სხვ.

დიდი ყურადღება მიაქცია ხსენებულ განყოფილებამ აგრეთვე მოედნების სივიწროვესა და ანტისანიტარულ მდგომარეობას, რომლის გასაუმჯობესებლად რადიკალურ ზომებს მიმართა.

ასე მაგალითად, კ. ლიბკნეხტის ქუჩაზე მან დაანგრია დამწვარი საბჭოთა სახლის კედლები; იქვე, გვერდით, კერძო პირთაგან შეისყიდა შენობები, რომლებიც სრულიად დაანგრია და განთავისუფლებული ადგილი შეუერთა სამწვანილო მოედანს. ახლად შემომატებული მოედნის ორს მხარეზე, სამხრეთითა და ჩრდილოეთით, მან ააგო ახალი მაღაზიები; მოედნის დასავლეთით კი მოაწყო დახურული ბაზარი. ძველ სამწვანილო მოედანზე არსებული ქოხმახი „ბუდკები“ სულ დაანგრია და მოედანი მათგან გაანთავისუფლა.

ამგვარად, ქუთაისს ამჟამად აქვს ჩინებული საბაზრო - სამწვანილო მოედანი, ახლად მოკირწყლული და ახალი ფილაქნებითა და მაღაზიებით გამშვენიერებული.

განყოფილებამ ყურადღება მიაქცია აგრეთვე წყალგაღმა უბანში მდებარე ზდანოვიჩის მოედანს, ნახევრად მოუკირწყლავს, ოღრო-ჩოღროიანსა და მუდამ ტალახითა და ათასგვარი სიბინძურით სავსეს. ხსენებული მოედანი ამჟამად იკირწყლება და მას ორი მხრით ფილაქნები უკეთდება. მომავალში კი უნდა სრულიად დაინგრეს დასავლეთის მხრით გაშენებული ძველი დუქნები, გაფართოვდეს მოედანი ყაზარმის ეზოს ნაწილის შემოერთებით და საზღვარზედ აგებულ უნდა იქნას სავაჭრო დარაბების ახალი წყება. იქვე უნდა აიგოს საპირფარეშო, რომლის უქონლობით ახლო-მახლო მდებარე ეზოები და შესახვევები საშინლადაა გაბინძურებული.

არც მესამე მოედანი—ძველ ყაფანთან, დარჩენია აღმასკომს უყურადღებოდ. რადგანაც ხსენებულ მოედანზე, აღმოსავლეთის მხრით აგებულს ახალ სავაჭრო შენობებს იქვე მდებარე გორაკიდან წყალი აწვებოდა და არა თუ ანესტიანებდა მათ, სრულიად დანგრევითაც კი ემუქრებოდა, — ამის გამო ამ სავაჭროების ქვეშ და მთელი მოედნის გარეშემო გაკეთებულ იქნა წყალსაწრეტი („დრენაჟი“), რამაც შენობები საფრთხეს გადაარჩინა და მოედნის სანიტარული მდგომარეობა გააუმჯობესა.

ეს ყველაფერი კარგი და მოსაწონია. მაგრამ არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავსტოვოთ მშენებლობის მეორე მხარე, რომელსაც, სამწუხაროდ, სათანადო ყურადღება ვერა აქვს მიქცეული. მე მოგახსენებთ საბჭოთა შენობების შესახებ.

მართალია, ბევრი შენობა კაპიტალურად შეკეთდა, გალამაზდა (როგორც, მაგალითად, აღმასკომის სადგომი, სახელმწიფო ბანკის სადგომი და სხვ.), ბევრიც ახლად აიგო, მაგრამ შენობათა უმეტესობა (განსაკუთრებით სავაჭრო შენობები), ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია.

მშენებლობის ამ მხარეს მივაქცევთ კომუნალური მეურნეობის განყოფილების განსაკუთრებულ ყურადღებას და ვუსურვებთ, რომ აქაც მას ისეთი უნარი გამოეჩინოს, როგორიც ქუჩებისა და მოედნების მშენებლობაში გამოიჩინა.

დონ-ვალიანი.

აღმშენებლობა ქუთაისის მაზრაში
(საუბარი ქუთაისის მაზრაღმასკომის თავმჯდომარე—ამხ. ე. ღვამიჩავასთან)

თბილისში ამჟამად იმყოფება ქუთაისის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ერასტი ღვამიჩავა.**

ქუთაისის მაზრაში წარმოებულ აღმშენებლობის შესახებ ამხ. ე. ღვამიჩავამ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა:

— ქუთაისის მაზრაში ამჟამად მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული საგზაო მშენებლობას; სწარმოებს მუშაობა წყალტუბო-ცხუნკური-გორდი-კინჩხის გზის გასაყვანად. ამ გზას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება; იგი ქუთაისის მაზრას აერთებს ლეჩხუმის მაზრასთან. გზის სიგრძეა 35 ვერსი.

სოფელ გორდთან, ცხენისწყალზე, ახლო მომავალში დაიწყება დაკიდებული ხიდის გაკეთება, რაც დაჯდება 16.000 მანეთი.

ამას გარდა დაიწყო ბაღდათ-ზეკარის გზის შეკეთება, ამ გზას დიდი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. იგი ქუთაისის მაზრას აკავშირებს ლეჩხუმის მაზრასთან. სახკომსაბჭოს მიერ ამ გზის შესაკეთებლად გადადებულია 6.500 მანეთი, დანარჩენი თანხა გაიღო ქუთაისის აღმასკომმა. გზა მზათ იქნება თვენახევარში. ვინაიდან აღმასკომის ტეხნიკური პერსონალი ძალიან დატვირთულია მუშაობით, გზის რემონტი დაევალა საგზაო დისტანციას.

ქუთაისში დაწყებულია აგრეთვე საბჭოთა სახლების შეკეთება. ამ დღეებში დავიწყებთ ქალაქის სამივე ხიდის შეკეთებას, რაც დაჯდება 19.000 მანეთი. ღეთერი ხიდი შეკეთებული იქნება კაპიტალურად.

შეკეთებული და გაფართოვებული იქნება აგრეთვე საავადმყოფო (საღორიაზე), რომელიც ამჟამად დასავლეთ საქართველოს მასშტაბით მუშაობს. საწოლების რიცხვი გადიდებული იქნება 100-მდე. საავათმყოფოს შესაკეთებლად გადადებულია 32.000 მანეთი.

ქუთაისის კეთილმოწყობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება წყალსადენს, რომლის გამოსაყვანად ჩვენ ფაქტიურ მუშაობას შეუდგებით ამ თვენახევარში, საგეგმო კომისიის და ეკონომსაბჭოს მიერ უკვე დამტკიცებულია წყალსადენის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა 1.850.000 მანეთის რაოდენობით; აქედან 600.000 მანეთი გადადებულია აღმასკომის მიერ, დანარჩენი აღებული იქნება სესხად ბანკებიდან 23 წლის ვადით, რისთვისაც სწარმოებს სათანადო მოლაპარაკება. წყალი გამოყვანილი იქნება რიონიდან. წყალსადენი მოეწყობა ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაწყებულია.

დიდი მუშაობაა აგრეთვე კულტურულ ფრონტზე. თითქმის ყველა თემებში და სოფლებში შენდება ახალი შენობები სკოლებისათვის. შენობებს უმეტეს შემთხვევებში აგებენ თვითონ გლეხები, ჩვენ მხოლოდ მათ ტეხნიკურ ხელმძღვანელობას ვუწევთ.

აღსანიშნავია, რომ წელს ქუთაისს ეყოლება მუდმივი დასი, რასაც უკანასკნელ წლებში არ ჰქონია ადგილი. თეატრს დახმარებათ მიეცემა მთელი სეზონის განმავლობაში 45.000 მანეთი.

ქრონიკა

ცუდი ამინდი

წვიმა, რომელიც თითქმის ყოველ-დღე, განსაკუთრებით ღამ - ღამობით, მოდიოდა და სიმინდის ყანები და ვენახები ძლიერ დააზიანა, მესამე დღეა, რაც შეწყდა და, როგორც იქნა, დავინახეთ მზიანი დღეები და მთვარიანი ღამეები.

თუ ასეთი ამინდები გაგრძელდა, ყანები, შეიძლება, გამოკეთდეს; ვენახების გამოკეთება კი ძლიერ საეჭვოა.

ახალი წისქვილები

ქვიტირის, მაღლაკისა და ფარცხანაყანევის თემებში სარწყავ არხის „მაშველი“-ს გაყვანის შემდეგ მრავალი სათემო წისქვილი შეკეთდა. ასე, მაგალითად, ქვიტირის თემში აიგო 3 წისქვილი, მაღლაკისა —5 და ორსაც ეხლა აკეთებენ, ფარცხანაყანევში —ორი. სათემო წისქვილების აგების შემდეგ კერძო მესაკუთრეთა წისქვილები თითქმის ყველა დაიხურა ან დახურვის გზას ადგია.

„მაშველი“-ს დასამთავრებელი მუშაობა

ამჟამად სარწყავი არხის „მაშველი“-ს დასამთავრებლად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს: ქ. ქუთაისში — არხის სათავის გასაწმენდათ და გასამაგრებლად, ზედა - ქვიტირში მთავარ არხზე ერთი ხიდის გასაკეთებლად, ხონის შარა-გზასთან ორმაგი წყალსაკეტის (შლიუზის) დასადგმელად, სოფ. მაღლაკში—ახალი განმანაწილებლების გასაყვანად და სოფ. ფარცხანაყანევში (კოპიტნარში) — განმანაწილებლების წყალსაწრეტის მოსაწყობად.

შუამდგომლობა

თბილისის ქალაქის ბანკის ქუთაისის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე, სარემონტო - სამშენებლო სესხთა გასაცემად არსებული ლიმიტის გადიდების შესახებ.

პური

პურის ერთგვარი ნაკლებობა საგრძნობლად შენელდა. სიმინდის ფქვილი გაიაფდა. პურის ფქვილი თითო—ორ-ორი რონოდა მოდის.

ამ დღეებში 20 რონოდას მოეიან.

„კოოპერაცია“-ს გაფართოვება

ადგილობრივმა მუშკოოპმა გააფართოვა ჭურჭლეულობის მაღაზია ერთი განყოფილების შემოერთებით. მანვე გახსნა ს. წულუკიძის ქუჩაზე ელექტრონის მასალებისა და ავეჯეულობის სპეციალური მაღაზია.

ფოსტის გადატანა

ფოსტა - ტელეგრაფის კანტორის განყოფილება ჩუბინიძის ქუჩიდან გადატანილ იქნა ზდანოვიჩის ქუჩაზე, ამავე სახელობის მოედნის მახლობლად.

კერძო პირთათვის კრედიტების დახურვა

კომუნალური ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში მდგომარე აგვისტოს პირველი რიცხვებიდან კერძო პირთ საბოლოოდ დაეხურათ სათამასუქო კრედიტები.

გაფრთხილება

კომუნალური ბანკის ქუთაისის განყოფილებამ საგანგებო უწყებებით აცნობა იმ პირთ, რომელთაც არ შეუტანიათ სარემონტო - სამშენებლო სესხის სავალო გადასახადი, რომ, თუ ერთი კვირის განმავლობაში (უწყების ჩაბარებიდან) არ გაასწორებენ ანგარიშს, დაინიშნება საჯარო ვაჭრობა მათი სახლების გასაყიდათ და ბანკის დასაკმაყოფილებლად.

სარემონტო სესხი

სარემონტო - სააღმშენებლო სესხის გაცემა კომუნალური ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში დროებით შეჩერებულია.

თბილისის საბჭოს მუშაობა
ანგარიშის ჩაბარება ამომრჩეველთათვის

მოხსენება თამბაქოს ქარხანაში

მუშაობის დასრულების შემდეგ თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარის“ დიდ დარბაზში თავი მოიყარეს ადგილობრივმა მუშებმა, რომ მოესმინათ მათ მიერ არჩეული დეპუტატის მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ, კრებას დაესწრო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა 80 პროცენტზე მეტი.

მომხსენებელი ამხ. **ორჯონიკიძე** აღნიშნავს თბილისის საბჭოს მუშაობას, როგორც ქუჩების მოკირწყვლის, ქალაქის კეთილმოწყობის კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესების, ისე ახლად დაწყებული აღმშენებლობისა და საბინაო კრიზისთან ბრძოლის დარგში.

მოხსენების შემდეგ გამოვიდნენ ადგილობრივი მუშები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ქალაქის საბჭოს საქმიანობას დიდი წარმატება ემჩნევა გასულ წლებთან შედარებით, მაგრამ მიუხედავათ ამისა მაინც დარჩა ბევრი რამ გასაკეთებელი.

მუშა-ქალების განცხადება

ამავე კრებაზე ცალკე განცხადებით გამოვიდნენ ფაბრიკაში ხმომუშავე მუშა-ქალები, რომლებიც აღნიშნავდნენ ხულიგნობასთან ბრძოლის გაძლიერების საჭიროებას.

ხულიგნობამ ფართოდ მოიკიდა. ფეხი,—განაცხადეს მათ.—განსაკუთრებით ქალაქის განაპირა უბნებში. ქალებს თავისუფლად ვერ გაგვივლია ხულიგნების შიშით. ხშირია შემთხვევა, როდესაც ხულიგნები შეურაცყოფას აყენებენ ქალებს, ხოლო მილიციის საგუშაგოები კი ცოტაა.

ამიტომ მუშა-ქალები მოვითხოვთ თბილისის საბჭოსაგან გააძლიეროს და გააფართოოს მილიციის საგუშაგოები განაპირა უბნებში და აწარმოოს დაუზოგველი ბრძოლა ხულიგნობასთან.

მუშაობა მოიწონეს

სად. ნავთლუღის რკ.-გზელთა კლუბში შესდგა ამავე სადგურის მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი კრება, რომელზედაც თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ საბჭოს დეპუტატები ამხ. **ს. ლომთათიძე და ბასიაშვილი.**

მომხსენებლებმა დაწვრილებით დაახასიათეს საბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობა 1-ლი მარტიდან დღემდე. მომხსენებლები შეეხენ აგრეთვე ცალკე სექციების მიერ ჩატარებულ საქმიანობას და აღნიშნეს ჩატარებული მუშაობის დიდი ნაყოფიერობა.

მოხსენების შემდეგ მომხსენებლებს მისცეს მრავალი შეკითხვები, რომელზედაც გაცემულ იქნა ამომწურავი პასუხი. მიღებულ რეზოლიუციაში საბჭოს დეპუტატების ყურადღება მიქცეულია შემდეგ საკითხებზე: გარე უბნებში წესრიგის დაცვა, სასკოლო ქსელის გაფართოება, მაზრის სოფლებში ახალი შარა-გზების გაყვანა, შემცირებულ უნდა იქნეს ტრამვაის ტარიფი, მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რომ მუშათა შვილები არ დარჩნენ სკოლების გარეშე, აგებული უნდა იქნეს მუშათა სახლი ნავთლუღის რკ. გზის მუშებისათვის, გაყვანილი უნდა იქნეს ნავთლუღის უბანში წყალსადენი და სხ.

ახალი დირექტივების მიღების შემდეგ საბჭოს დეპუტატებმა დაპირება მისცეს ამომრჩევლებს, რომ ისინი შეეცდებიან დაუყოვნებლივ გატარონ ცხოვრებაში მუშების დავალებანი.

მუშკოოპის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე

18 ივლისს, საღამოს, მუშკოოპის სამმართველოს შენობაში შესდგა მუშკოოპის ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 200 მეტი ამომრჩეველი.

კრებაზე მოხსენებებით გამოვიდნენ თბილისის საბჭოს დეპუტატები ამხ. **ვ. ხორბელაძე და მიხ. ნარსია.** ორატორებმა დაახასიათეს საბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობა და ვრცლად შეეხენ თვითეული სექციის საქმიანობას.

მოხსენების შემდეგ ამომრჩევლებმა მისცეს დეპუტატებს ახალი დავალებანი, როგორიცაა საბინაო კრიზისთან ბრძოლა, ქუჩების შეკეთება განაპირა უბნებში და სხ.

პოლიგრაფტრესტში

18 აგვისტოს შესდგა პოლიგრაფტრესტის პირველ სტამბის ასოთ-ჩამომსხმელ და ლევინის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

კრებას დაესწრო 95 მუშა-მოსამსახურე. მოხსენება გააკეთა ამავე სტამბასთან საბჭოს წევრათ გამოყოფილმა ამხ. **ლ. გელნდიანმა.** რომელმაც დაახასიათა საბჭოს სამი თვის მუშაობა ყველა დარგებში.

მოხსენების დამთავრების შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც იწონებს, როგორც თბილისის საბჭოს, ისე აღმასკომის მიერ წარმოებულ მუშაობას. კრებამ საბჭოს წევრებს მისცა შემდეგი ახალი დავალებანი:

მიექცეს ყურადღება ბინების გაუმჯობესებას და იმ გარემოებას, რომ სახლის პატრონების მიერ აღებული ბინის ქირა ნაწილობრივ მაინც ხმარდებოდეს ბინების შეკეთებას; გაფართოებული იქნას კანალიზაციის მუშაობა განაპირა უბნებში.

ყურადღება მიექცეს ამბულატორიების გაფართოებას, რათა მუშა-მოსამსახურეებს არ უხდებოდეს წამლობის დროს დიდხანს რიგებში დგომა და სხვა.

„ზაკპოგრუზ“-ის საბაჟო განყოფილებაში

18 აგვისტოს შესდგა „ზაკპოგრუზის“ საბაჟო განყოფილების და ტყის მრეწველობის ტრესტის ქარავნის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება. კრებაზე ხმოხსენებით გამოვიდნენ ამხ. **სტრელკოვი და პაპავა;** მათ აღნიშნეს თბილისის საბჭოს ყველა ის მიღწევები და ნაკლულოვანებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მ.-წ. საანგარიშო პერიოდში, მომხსენებლები შეეხენ აგრეთვე საბჭოს მუშაობის მომავალ გეგმას, რომელიც მიღებულია თბილისის საბჭოს მიერ.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეთა შორის. მომხსენებლებს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც სათანადო პასუხი იქნა გაცემული მომხსენებლების მიერ.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ თბილისის საბჭომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს: მუშების საცხოვრებელ ბინების შეკეთებას და მის გაფართოებას, უმუშევრობის ლიკვიდაციას, უპატრონო ბავშვებზე მზრუნველობას, პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლას და სხ.

კრებამ საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

მ. პ.

პროფკავშირებში
პროფსაბჭოს ცირკულიარი
1905 წელში დაბადებულთა ჯარში გაწვევის შესახებ

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტ განყოფილებამ ყველა პროფორგანიზაციებს დაუგზავნა ცირკულიარული წერილი. ცირკულიარში ნათქვამია:

მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყება 1905 წელში დაბადებულთა ჯარში გაწვევა და მათი მიწერა ტერიტორიალურ ნაწილებზე. პროფკავშირთა სააგიტაციო მუშაობა, რომელიც უნდა წაემძღვაროს ამ გაწვევას, დაკვირვებით უნდა იქნეს მომზადებული და ჩატარებული, ვინაიდან ეხლანდელი გაწვევა ხდება საერთაშორისო ურთიერთობის გართულების პირობებში და, გარდა ამისა, წარსულმა საგიტაციო მუშაობამ ცხადყო გაწვეულთა სრული მოუმზადებლობა ამ კამპანიისათვის. ამიტომ პროფკავშირებმა უნდა აწარმოონ ხანგრძლივი განმარტებითი მუშაობა საერთაშორისო მდგომარეობაზე, მშვიდობიანობის მტკიცე პოლიტიკაზე, რომელსაც ატარებს საბჭოთა მთავრობა და აგრეთვე იმის შესახებ, რომ მშვიდობიანობის დაცვა ერთი მხრივ დამოკიდებული ჩვენი პოლიტიკურ-ეკონომიური და სამხედრო მომზადებისაგან. ამასთან ერთად, კამპანიის დროს უნდა ხდებოდეს ახსნა-განმარტება, თუ როგორია წითელ-არმიის მიზანი და ამოცანები, როგორია აღზრდის მეთოდები ჯარში, რა განსხვავებაა წითელ-არმიასა და იმპერიალისტურ არმიებს შორის, რატომ აუცილებლად უნდა იღებდენ მშრომელნი მონაწილეობას სამხედრო აღმშენებლობაში და საბჭოთა კავშირის თავდაცვაში და რომ ეხლანდელი გაწვევა არის ნორმალური და ჩვეულებრივი წითელი არმიის მდგომარეობისათვის.

გაწვევის ჩატარების გეგმა

1. გაწვევის კამპანია იწყება სექტემბრის 1-ლს და დამთავრდება ოქტომბრის 10-ს.
2. მსხვილ საწარმოებში გამოიყოფა სპეციალური კომისიები საგასწვევო საგიტაციო კამპანიის ჩასატარებლად.
3. საგასაწვევო კამპანიის ჩამტარებელი კომისიები ეწყობა აგრეთვე მუშათა კლუბებში და ეს კომისიები მჭიდრო კავშირს იჭერენ სამხედრო კომისარიატების სათანადო სამაზრო და რაიონულ კომისიებთან.
4. კლუბების გამგეობათა მიერ შემუშავებული სამუშაო გეგმის მიხედვით კლუბები მართავენ სპეციალურ საღამოებს ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით, რისთვისაც საჭიროა მოწვეულ მსახიობთა გამოყენებასთან ერთად მიეცეს დავალება კლუბების სამხატვრო წრეებს მოემზადონ და გამოვიდნენ ხსენებულ საღამოებზე. აღნიშნულ საღამოებს უნდა მიეცეს განსაკუთრებული საზეიმო ხასიათი და მუშების საზოგადო კრებების მიერ მიეცეს ნაკაზი გაწვეულებს, ხოლო გაწვეულების მიერ — წარმოებაში დარჩენილ მუშებს.
5. მუშათა კლუბებთან არსებულ ტირებში საჭიროა სასროლო წრეებში ჩაბმული იქნეს გასაწვევი ასაკის მთელი ახალგაზრდობა. მუშათა კლუბების ტირებისა და სასროლო წრეების მუშაობა იმ რიგად უნდა იქნეს დაყენებული, რომ გაწვეულები გრძნობდენ, რომ მათ ექცევათ სპეციალური ყურადღება.
6. ყველა საკავშირო ბიბლიოთეკებში უნდა მოეწყოს სათანადო ლიტერატურისა და პლაკატების გამოფენა, რომელნიც გააშუქებენ ჯარში გაწვევისა და ნაწილებზე მიწერის საკითხებს. აქვე უნდა მოეწყოს ცნობების მიღება გაწვევის საკითხებზე, შეღავათების შესახებ და სხვ.
7. ამასთან ერთად საჭიროა გაძლიერებული იქნეს სალექციო მუშაობა კლუბებსა და წითელ კუთხეებში შემდეგს თემებზე:

ა) საერთაშორისო მდგომარეობა და გაწვეულთა ამოცანები.

ბ) დისციპლინის როლი და მნიშვნელობა წითელ-არმიაში.

გ) ინფორმაცია ჯარის სხვადასხვა დარგების შესახებ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალების სისტემაში.

8. საწარმოებისა და კლუბების კედლის გაზეთების მორიგი ნომრები უნდა აშუქებდენ გაწვევის საკითხებს.
9. გარდა ამისა, საჭიროა მოეწყოს გაწვეულთა ექსკურსიები სამხედრო ნაწილებში, ბანაკებში, სამხედრო ორგანიზაციებში და სხვ.

სას.-სამ. კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი
(მეორე სხდომა)

მერძევეთა კოოპერაციის შესახებ ამხ. **ცინცაძის** მიერ გაკეთებულ მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობას იღებენ **ლაშქებიანი, გუგუშვილი, ქართველიშვილი და ქავჟარაძე,** რომლებიც მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ჩვენში მერძეობის განვითარებისათვის საკმარისი ხელსაყრელი პირობებია და რომ საჭიროა დაჩქარებით იქნეს მოგვარებული ხელმძღვანელობის საკითხი როგორც საორგანიზაციო, ისე სამეურნეო დარგში. ამ საკითხის მოგვარება სავსებით უნდა დაევალოს „სოფლის კავშირს“, რადგან სპეციალურ კავშირის შექმნა მერძევეთა კოოპერაციისათვის ჯერ-ჯერობით ნაადრევია. ასეთი კავშირი უნდა შეიქმნას მხოლოდ მას შემდეგ როდესაც ძირითად არტელების ქსელი მომაგრდება და მაშასადამე კავშირს ექმნება არსებობისათვის სათანადო ბაზა.

საბოლოო სიტყვაში მომხსენებელი აღნიშნავს მერძევეთა კოოპერაციის მშენებლობის თავისებურობას, რომელიც ოთხო სხვა გვარ მიდგომას მოითხოვს, ვიდრე სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში მუშაობა.

მშენებლობის თვალსაზრისით, მერძევეთა არტელების დანაწილება უნდა მოხდეს შემდეგი სამი ნიშნის მიხედვით: 1) ბაზარზე დაშორების მანძილი 2) ნაციონალური სხვადასხვაობა და 3) რაიონების მიხედვით, სადაც მესაქონლეობა - მერძეობა შეადგენს მეურნეობის ერთად-ერთ დარგს და სადაც ეს მეურნეობა იმავე დროს შერეულია სხვა ტიპის მეურნეობასთან.

მომხსენებელი ამასთანავე მიუთითებს თათბირს იმ პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ არტელების დაახლოვებას „სოფლის კავშირთან“.

ჩაის კულტურის განსავითარებლად საქართველოში
საკავშირო საგეგმო კომისიის დადგენილება

ხუთი წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციების სივრცე გადიდებული იქნება 20.000 ჰექტარამდე. — „საქართველოს ჩაის“ ხარჯთ - აღრიცხვის დამტკიცება. — კრედიტები „საქ. ჩაი“-ს. — მანქანების და თესლის შემოტანა.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს მოსკოველი კორესპონდენტის ცნობით, ჩაის კულტურის და მრეწველობის განვითარების [illegible]ლიანი საპერსპექტივო გეგმის განხილვის შემდეგ, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შესაძლებლად სცნო ჩაის პლანტაციების სივრცის გადიდება (1928—32 წლის განმავლობაში) 20.000 ჰექტარამდე. სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს საგასავლო ნაწილი საგეგმო კომისიის მიერ 1928—32 წლისათვის დამტკიცებულია 42 მილ. მანეთის რაოდენობით, ხოლო საშემოსავლო ნაწილი 35.220.000 მანეთის რაოდენობით დეფიციტი 6.780 ათას მან რაოდენობით დაფარული უნდა იქნეს სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო სისტემის გრძელვადიანი სესხით. ცენტრალურ სასოფლო სამეურნეო ბანკს წინადადება მიეცა თავის საკრედიტო გეგმებში შეიტანოს ზემოხსენებული გრძელ-ვადიანი სესხი შემდეგი განაწილებით წლების მიხედვით: 1927—28 წლისათვის— 850.000 მან., 1928 — 29 წ. — 1.020.000 მან., 1929—30 წ. 1.360.000 მან., 1930—31 წლ. — 1.700.000 მან. და 1931—32 წლისათვის — 1.800.000 მან.

საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო და წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს ჩაის თესლისა და ჩაის ფაბრიკებისათვის საჭირო სპეციალური მოწყობილების იმპორტი, ამისათვის უახლოესი ხუთი წლის საიმპორტო გეგმებში შეტანილი უნდა იქნეს საიმპორტო კონტიგენტები თესლისათვის 3.780.000 მანეთის რაოდენობით, ხოლო მანქანებისათვის—1.280.000 მანეთის რაოდენობით. ამასთან ერთად 1927—28 წლ. შემოტანილი უნდა იქნეს 950.000 მანეთის თესლი და 170.000 მანეთის მანქანები, 1928—29 წლ.—810.000 მან. თესლი და 140.000 მან. მანქანები, 1929—30 წლ.—850.000 მან. თესლი, 1930—31 წ. 1.170000 მანეთის თესლი და 470.000 მანეთის მანქანები, 1931—32 წლ. — 500.000 მანეთის მანქანები.

ქრონიკა

ამხ ფედოროვის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა უკრაინის მიწად-მოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. კ. ფედოროვი.

„რუსავსტორგი“-ს გამგეობის წევრი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა რუსეთ-ავსტრიის შერეული საზოგადოება „რუსავტორგის“ გამგეობის წევრი. შტერინერი.

სახანძრო ინსპექცია ს. მ. უ. ს.-თან

ს. მ. უ. საბჭოსთან დაარსდა სახანძრო ინსპექცია, რომელმაც უკვე დაამთავრა მუშაობა ს. მ. უ. ს. წარმოებებში და ფაბრიკა - ქარხნებში ხანძართან მებრძოლი საგუშაგოების მოსაწყობად.

საავადმყოფოები სამრეწველო რაიონებში

ა.-კ. სახკომსაბჭოს მიერ გადადებულია— 300.000 მანეთი ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების სამრეწველო რაიონებში საავადმყოფოების ასაგებათ. აღნიშნული თანხიდან საქართველოზე ხვდის 111.000 მანეთი, აზერბეიჯანზე— 156.000 მანეთი და სომხეთზე 33.000 მანეთი.

საქართველოს სამრეწველო რაიონებს შორის აღნიშნული თანხის განაწილების გეგმის შემუშავება დაევალა ს. მ. უ. ს. შრომის ეკონომიკის განყოფილებას, ჯანსახკომისა და შრომის კომისარიატის წარმომადგენლებთან ერთად.

ახალი შენობები ბათომში

ბათომში ამჟამად სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა ახალი სახლების ასაგებათ. უკვე დამთავრდა 2 ახალი სახლის აგება. ერთ კვირაში დასრულდება კიდევ 2 სახლის აგება.

დამთავრდა აგრეთვე ნავთის საწმენდ ქარხნის მუშებისათვის შენობის აგება.

დიმ-როკითის არხი

წარმატებით მიმდინარეობს დიმ-როკითის სარწყავი არხის გაყვანის საქმე. არხი გაყვანილი იქნება 20 ვერსის სიგრძეზე. არხის საზეიმო გახსნა განზრახულია ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის.

საკავშირო დერბზე

საქართველოს ცხენთსაშენის სამმართველოში მოსკოვიდან მიღებულია შემდეგი ცნობა:

14 აგვისტოს, სრულიად საკავშირო დერბზე გათამაშებულ იქნა ამხ. **მურალოვის** სახელობის საკავშირო პირველობის ჯილდო ორწლიანი ულაყებისათვის. შეჯიბრში პირველობა დარჩა საქართველოს ცხენთსაშენის ორწლიან ულაყს —„დარდიანს“. ამავე დღეს მოხდა ცხენების შეჯიბრი ჭენების სისწრაფის საკავშირო რეკორდის დასამყარებლად. გამარჯვება ხვდა უკრაინის ცხენთსაშენის ულაყს — „გეტმან-ნეის“, რომელმაც 2 წუთის და 34 წამის განმავლობაში გაირბინა 2 ვერსი და 144 საჟენის მანძილი.

თბილისის აღმასკომში

◆ **მე-4 სამილიციო უბანი** უქმდება. მისი ნაწილი შეერთებული იქნება მე-3 უბანზე, ნაწილი მე-5 უბანზე.

◆ **ელსადგურის გადაცემა.** თბილისის აღმასკომმა თელავის აღმასკომს გადასცა ერთი ელსადგური.

სახალხო განათლება

◆ **კურსები.** ქოხ-სამკითხველოების გამგეების გადასამზადებლად პოლიტგანათლების მთავარი მმართველობა თბილისში ხსნის ერთვიან კურსებს.

◆ **მაზრის ბიბლიოთეკების** ლიტერატურით უზრუნველსაყოფად პოლიტგანათლების მთავარი მმართველობამ მთავრობისაგან გამოითხოვა საჭირო თანხა.

◆ **პოლიტგანათლების სკოლების** მასწავლებელთა მოსამზადებლად ხვალ გაიხსნება მოსამზადებელი კურსები.

შრომის სახალხო კომისარიატში

◆ **სამკურნალო დაწესებულებების** დაბალ მოსამსახურეთა ხელფასის გასადიდებლად გამოყოფილი იქნა კომისია.

◆ **სოფლად დღიურათ მომუშავეთა და მოჯამგირეთათვის** შრომის უფლებების დასაცავად ადგილებზე დაიგზავნება შრომის ინსპექტორები.

◆ **უბედურ შემთხვევებთან ბრძოლის** გაძლიერების მიზნით, შრომის დაცვის განყოფილებას დაევალა სისტემატიურათ მოახდინოს წარმოებების გამოკვლევა.

◆ **ზაჭესის ამუშავების** გამო ქ. ელსადგურების მუშა-მოსამსახურეებს მიეცემათ გაძლიერებული სალიკვიდაციო ჯილდო.

სახალხო ჯანმრთელობა

◆ **განმანაწილებელი პუნქტი.** ჯანსახკომმა დიდი ვანქის ქუჩაზე მოაწყო ავადმყოფების საავადმყოფოებში განმანაწილებელი პუნქტი.

◆ **გამოკვლევა.** ახლო ხანში შეუდგებიან რესტორანების, ღვინის სარდაფების, საკანდიტეროების და სხ. მასიურ გამოკვლევას.

◆ **ვენერიული დისპანსიერი.** ჯანსახკომმა გორში გახსნა ვენერიული დისპანსერი სამალიარიო სადგურით.

სხვადასხვა

◆ **დაზღვეულთა ფიზიო-ტერაპევტიული ინ**სტიტუტი უკვე ამუშავდა.

◆ **საქართ. ინჟენერ-ტეხნიკურ ძალთა** კავშირთაშორისო ბიურო აუწყებს თავის წევრებს: მეურნეებს, ინჟენერებს და ტეხნიკოსებს, რომ სამშაბათს, 23 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში შესდგება საკავშირო სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს წევრის და საკავშირო ინჟენერ-ტეხნიკურ ძალთა კავშირთაშორისო ბიუროს თავმჯდომარის **ს. დ. შეინის** მოხსენება შემდეგ თემაზე: 1) ინჟენერტეხნიკურ ძალთა როლი და მნიშვნელობა საკავშირო კაპიტალურ მშენებლობაში. წარმოების რაციონალიზაცია, თვითღირებულების შემცირება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. 2) ცნობა ჟენევის ეკონომიური კონფერენციის შესახებ.

მოხსენების შემდეგ კამათი და შეკითხვები.

შემთხვევები

◆ **მტკვარში ბანაობის დროს** ივანე გრინმანს ნაპირზე დატოვებულ შარვალიდან მოპარეს ფული და სხვადასხვა მოწმობები.

◆ **მუშათა ახალ კლუბიდან** 18 აგვ. ბოროტმოქმედებმა მოიპარეს გიტარა და მანდალინა.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 18 აგვ. პლეხ. გამზ., № 115, გატეხეს სტეფანე ჯამგარიანის ბინა, წაიღეს 200 მ. ფულად და 200 მანეთის ტანსაცმელი.

◆ **თბ. სადგურთან** 18 აგვ. წითელ ქალაქიდან ჩამოსულ გლეხს ანდრონიკ ბეგლიაროვს ჯიბიდან ამოაცალეს 130 მანეთი. **ჯიბგირი** მელიქსეტოვი იქვე დააპატიმრეს.

◆ ამავე დღეს ჯიბგირობისათვის შეიპყრეს იაკობ სიმონიძე დანილოვი.

ხელოვნება

◆ **იუმორისტული საღამო.** დღეს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში გაიმართება იუმორისტთა შეჯიბრი.

◆ **მუშათა ახალ კლუბში** დღეს გაიმართება კონცერტი ოპერის არტისტების მონაწილეობით.

◆ **ვიქტორინე კრიგერ.** საბჭოთა მუშაკების კლუბში 21 აგვისტოს გაიმართება მოსკოვის სახელმწიფო დიდი თეატრის პრიმა-ბ[illegible]ერინას ვიქტორინე კრიგერის გასტროლი.

სახკინმრეწვში

◆ **„ჯანყი გურიაში“.** ამჟამად გურიაში რეჟისორ წუწუნავას ხელმძღვანელობით კინოექსპედიცია იღებს ახალ სურათს: „ჯანყი გურიაში“.

◆ **„აბას მენავთე“.** რეჟისორი შ. ბერიშვილი შეუდგა ახალ სურათის „აბას მენავთე“-ს გადაღებას. სცენარი დაწერილია კამენსკის მოთხრობის მიხედვით.

◆ **„ტბც“.** რეჟ. ნ. კახიძეს მიენდო ახალი სურათის „ტბც“-ეს გადაღება. სცენარი ეკუთვნის ლ. ესაკიას.

◆ **„კუ-კუ-რე-კუ“.** სახკინმრეწვმა მიიღო დასადგმელად შკლოვსკის სცენარი „კუ-კუ-რეკუ“.

◆ **სახკინმრეწვმა მოიწვია** რეჟისორი კულეშოვი და მსახიობი ქალი ხახლოვა.

დღეს კინოებში

— ეთერში — „გოლიათების ბრძოლა“.
— აპოლოში — „უცხონი“.
— მინიონში — „ქალი რესტორანიდან“.
—არფასტოში — „ოკეანეს მონები“.

ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის მდივნების თათბირი

გუშინ, საღამოს ა.-კ. თავდაცვა - ავიოქიმთან შესდგა რესპუბლიკანურ თავდაცვა-ავიაქიმების პას.-მგებელ მდივნების თათბირი.

თათბირზე განხილულ იქნა საკითხები საზბის პრაქტიკულ ამოცანებისა და ოქტომბრის დღესასწაულებში მონაწილეობის მიღების შესახებ.

თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოება მიიღებს მონაწილეობას ოქტომბრის დღესასწაულებში და ამისათვის გამოიყენებს თავდაცვის კვირეულის კამპანიიდან მიღებულ გამოცდილებას.

ავიაქიმების მუშაობა ამ მხრივ მჭიდროთ იქნება დაკავშირებული ოქტომბრის დღესასწაულების ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიებთან.

თანახმად ა.-კ. თავდაცვა - ავიაქიმის შუამდგომლობისა, თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოებებს ნება მიეცათ გაავრცელონ ამ დღესასწაულებისათვის გამოცემული სიუბილეო პლაკატები; აქედან შემოსული თანხები მოხმარდება თავდაცვის გაძლიერების საქმეს.

თათბირის მიერ გამოტანილ იქნა დადგენილებები ადგილებიდან ინფორმაციის მიღების მოწესრიგების, საწევრო გადასახადების თავის დროზე გადახდის, შტატების მოწესრიგების და სხვათა შესახებ.

სასამართლო
ერთი რომანის დასასრული

„მომწონს ია, მომწონს ვარდი, ლამაზ ქალში გადავარდი“, ასე შემოიმღერებდა გერასიმე გეურქოვი თავის სახლში ღამ - ღამობით და მედიდურად გადახედავდა თავის მეუღლეს.

— შემ მართლა გადავარდნილი ხარ, ისე უშირე ღამ - ღამობით ხეტიალს, ისე გავიწყდება შენი ცოლშვილი, — ბრაზმორეული შესჩივლებდა გერასიმეს ცოლი.

— მართლაც დიდი დაუღალავი მუშაობაა საჭირო ქალთა შორის, რომ ამ ჩვენს ჩამორჩენილ ქალებს ჩაუნერგოთ რევოლიუციონური სული, — გაიძახოდა გეურქოვი.

გერასიმეს ცოლი ჩაუდგებოდა „ოპოზიციაში“, გერასიმე კი თავგამოდებით იცავდა თავის „ზრებს“. იყო გამართული მთელი „დისკუსია“, რომელიც ზოგჯერ გათენებამდე გრძელდებოდა.

თურმე გერასიმეს სხვანაირი ციებ-ცხელება ჰქონდა. მას ალაპარაკებდა სინარანა გულაღაშვილის ეშხი.

უკვე საქმე მოჯახრაკებული ჰქონდა და ის იყო უნდა შეუღლებულიყვენ, მაგრამ გერასიმეს მეუღლემ ისეთი ამბები დაათენა, რომ გერასიმემ ხმა ჩაიკმინდა.

გავიდა ხანი. გეურქოვის ცოლი დარწმუნდა, რომ მისი ქმარი გულაღაშვილის ქალთან საეჭვო დამოკიდებულებაში იყო. იგი ერთ დღეს შეხვდა მეტოქეს და ერთი ალიაქოთი დაუწია:

— შენ როგორ გაბედე, ხომ იცი, რომ გერასიმე ჩემი ქმარია

— თქვენი იყო და ჩემი არის—უპასუხა მეტოქემ..

— თქვენ იცით ვისთან გაქვთ საქმე, ორ ქალს ისე მოვკლავ, რომ პასუხს არ ვაგებ...

— ამის ჰქვია, ავი ძაღლი, არც თვითონ სჭამს, არც სხვას აჭმევსო.

— შენ რას ბედავ, ძაღლიც შენა ხარ და მეტიც, გერასიმეს ცოლმა დაჰკრა მეტოქეს და თავი კინაღამ შუა გაუპო ქვით.

ჩეტაკების დროს შემთხვევით გამოჩნდა თვით გეურქოვი, რომელმაც დააწყნარა მოჩხუბარი ქალები.

რაც ხანი გადიოდა გეურქოვი რწმუნდებოდა, რომ სატრფო მისი ისეთი ალერსით აღარ ხვდება „თავის გერიკოს“, როგორც წინეთ, აღარც ეფერება და ეალერსება... ცხვირსაც უბზუებს.

გეურქოვი ებრძვის მწარე ფიქრებს,—თითქოს არ აძლევს მათ გასაქანს, მაგრამ როდემდის?

მან გადასწყვიტა მოეკლა სატრფო...

საღამოს ჟამს გეურქოვი მიდის გულაღაშვილის სახლისაკენ, მას ჩემის ყელში გალესილი დანა აქვს!

მომღიმარი სახით მიუახლოვდება სატრფოს:

— ჩემო ძვირფასო, მე შენ კარგი საჩუქარი მოგიტანე, და მკერდში დაჰკრავს დანას...

ქალი გადაგზავნეს საავადმყოფოში, სადაც იგი მიღებული ჭრილობისაგან განიკურნა.

გეურქოვი დააპატიმრეს.

საქმე მალე გაირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

პ.

ბოროტმოქმედება სატრანსპორტო საზოგადოებაში

მიხეილ ჯიშკარიანი ირიცხებოდა სატრანსპორტო საზოგადოების მდივნად. იგი სისტემატიურად ადგენდა ყალბ ბიულეტენებს და ამ გზით დამზღვევ სალაროდან ღებულობდა ფულებს. მასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობდა აწარმოებდა დამზღვევ სალაროს თანამშრომელი შალვა აბესალაშვილი.

მაგრამ მათი ოინები გამომჟღავნდა და ორთავე პასუხისგებაში მისცეს. საქმე გადაეცა ოლქის სასამართლოს.

რკინისგზაზე
პირველი ანძა

აურამის საუდლტეხილო უბნის ელექტრონის გადამცემ ხაზისათვის ამ. რკ. გზ. გამგეობამ დაუკვეთა პირველი ლითონის ანძა.

დაკვეთა მიიღო საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს [illegible] ქარხანამ.

ეს ანძა დაიდგმება ზაჰესის ახლოს, სადაც მას გამოცდიან ყოველ მხრივ.

გამოცდის შემდეგ შეუდგებიან ანძების მასიურ დამზადებას.

უმაღლეს სასწავლებლებში მიმავალ რკინისგზელებს ხელფასი ენახებათ

გზათა კომისარიატმა წინადადება მისცა ცალკე რკინისგზების გამგეობებს შეუნახონ ხელფასი გამოცდების პერიოდში იმ რკინისგზელებს, რომლებიც აპირებენ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლას.

ხელფასი ასეთ პირებს ენახებათ უდღიურებოდ.

დამატებითი ჯილდო

ნავთსადენის განყოფილების მუშა - მოსამსახურეებისათვის დაწესებულია დამატებითი ჯილდო.

თანამდებობათა მიხედვით ისინი ძირითად ხელფასის გარდა მიიღებენ ხელფასის 10—25 პროცენტს.

უბედური შემთხვევა

18 აგვისტოს რკ. გზ. ლიანდაგზე გადასვლის დროს სადგურ თბილისში, სამანევრო მატარებლების ბუფერებს შორის მოხვდა მემანქანის თანაშემწე აკოფ სიმონიანი. სიმონიანს ძალზე დაზიანებული აქვს გვერდის ნეკნები. იგი უგრძნობელ მდგომარეობაში გაიგზავნა რკ.-გზის საავადმყოფოში.

ვაგონების გადავარდნა

19 აგვისტოს სად. სუმგაითში, საქონლის მატარებელის შესვლის დროს ლიანდაგს ასცდა შვიდი ცარიელი ვაგონი.

ვაგონების ამოსაღებად გამოთხოვილია დამხმარე მატარებელი.

მოძრაობა არ შეწყვეტილა.

შრომის ბირჟაში
მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 20 აგვისტოს, შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

საწარმოვო კვალიფიციურ მუშათა სექცია: მარიამ არონიშიძეს, ანნა სიხარულიძეს, გრიგოლ პოპოვს, მიხეილ ფირცხალავას, აბრამ ვალენსონს, ოლღა მიტროხიანს, მიკიჩ დავიდოვს.

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექცია: ივანე ჩოდრიშვილს, მიხეილ თერმილაშვილს, ოლღა მძინარიშვილს, მარიამ ზამიშლევას, არუსიაკ შაკერდოვას, პეტრე ტიმოფეევს, ელენე ოვსიანნიკაიას, ვარვარა ვორონკოვას, ელენე ბუდნიკს.

რკინისგზელ მუშაკთა მე-7 სექცია: უმუშევართა საყურადღებოდ აცხადებს, **რომ საჭიროა** 4 ელმწერალი ქართულ ენაზე თბილისში, ერთი მემანქანე ქალი ქართულ-რუსულ ენებზე, და ერთი მექვაბე, მსურველთ პირობებს შეუძლიანთ გაეცნონ აღნიშნულ სექციაში.

შავ მუშათა მე-8 სექცია: ვასილ შუმენკოს, ალექსანდრე ახატელოვს, არუთინ დახიკიანცს, ეკატერინე დიპჩენკოს, კაზიმირ ასტრიჟევიცკის და ანდრო ფანიევს.

მშენებელ მუშათა მე-5 სექცია: გრიგოლ ალიხანოვს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საფინანსო განყოფილება სთხოვს ქვემოდჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საფინანსო განყოფილებაში დილის 9 საათიდან 2-დე.

რ. ნაჯაფოვი („ენი-ფიკირ“), კ. ორაგველიძე (სახელგამი), არ. ონანიანი (მუშფაკი), პოვილეიკო („ზარია ვოსტოკა“), მ. პონარენკო ივ. პოლოსოვი, ვ. პიტოევი არ. რუხაძე („ზარია ვოსტოკა“), როგაეინი („ზარია ვოსტოკა“), რონდელი (სახელგამი), შ. რადიანი (სახელგამი), გ. რატიშვილი, დ. რუხაძე, სტორ არ. სიტკოვსკი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტ. წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს 3 დღის განმავლობაში გამოცხადდენ ცენტრალურ კომიტეტში ამხ. კვირკველიასთან ოთახი № 11.

გრიგოლ ერმილესძე სირაძე, პარმენ გიორგისძე ბალათური, მ. მ. ბახტაძე, იაკობ პავლესძე დონდუა.

თბილისში არ ყოფნის შემთხვევაში ამხანაგებს ევალებათ გვაცნობონ სამსახურის ადგილის მისამართი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს დაუყონებლივ გამოცხადდენ საქ. კომპარტიის საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ. № 24. მესამე სართული, ოთახი № 6).

შალვა მიხეილისძე კეკელია, ვასილი ტიმოთესძე მესხი, შალვა ირაკლისძე ჰეიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ვაწაძეს გამოცხადდეს დღეს, 20 აგვისტოს, საქ. კ. პ. (ბ) თ. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის სააღრიცხვო - საგანმანაწილებლო ქვე-განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს 2 დღის ვადაში გამოცხადდენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის სააღრიცხვო - საგანმანაწილებლო განყოფილებაში ამხ. **ლიცინოვთან:**

სტეფანე მოსესძე აეაკიანი, ალექსანდრე გრიგოლისძე ბობოხიძე, ალექსანდრე ივანესძე გუჯიაშვილი, სტეფანე ქრისტეფორესძე ვარდანიანი, რუბენ აირი ვასკანოვი, ბესარიონ ჯიოსძე გოგია, ბიქტორ ზაქარიასძე რუხაძე, პარმენ ალექსანდრესძე საბაშვილი, იაკობ თედორისძე ახობაძე, გიორგი ალექსისძე ბარამიძე, ვალერიან დავითისძე ღოღობერიძე, ერმილე კონსტანტინესძე დოლელია, მიხეილ ეფიმესძე ჯაფარიძე, ალექსანდრე გიორგისძე ჯაფარიძე, ვლადიმერ ივანესძე ჯაიანი, ალექსანდრე ეატ. კაკულია, ზენო სტეფანესძე კუტუბიძე ივრაფი მამულაიშვილი, კაპიტონ სტეფანესძე მელიქაძე, არისტ. მხითაროვი, ზაქარია ფალავანდიშვილი, შალვა ნოესძე თალაკვაძე, პოლიე ექტ. ტყაბლაძე, გრ. თოფურია, გრიგოლ ჰაბუკიანი, სიმონ გოდაბრელიძე, გრიგოლ კიბიძე, კონსტ. ჩხეტია, სერგო შავიშვილი.

ამხანაგებს, რომლებიც არ იმყოფებიან თბილისში, ვთხოვთ გვაცნობონ სამსახურის ადგილი.

შვილები: ოლღა, ალექსანდრე, რაჟდენ, დარია, მარიამი, სიძეები: გიორგი სალარიძე და გიორგი ჰრელაშვილი, რძალი დარია, შვილიშვილები: თამარა, ელენე, ეთერი ამირანი, არჩილი, შალვა, თამარა, ნინო, ვანო ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 18 აგვისტოს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ნინო ალექსის ასული
იორამაშვილისა

პანაშვიდი შაბათს საღ. 7 საათ., გამოსვენება კვირას, 21 აგვისტოს, დილის 10 საათ. მთავარ საავადმყოფოდან წმ. ნინოს სასაფლაოზე

1—1 3618

სია
იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში.
(გაგრძელება № 29).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოს დასახელება	მისამართი	წარმოების მიზანი	მოქმედებ რაიონი	ძირითადი თანხა	სარეწაო მოწმ. ხარ.
823	9 აგვისტო	მანუსაჯიანც გევორქ სარქისას-ძე.	სიონის ქ.	საგალან. და რკინ. ვაჭრ.	თბილისი	5500 მ.	მე-4
824	„	დავითულიანი ალფი: ნიკოლოზის-ძე	კომინტერნის ქ.	სასადილო	„	950 მ.	„
825	„	კანტარჯიანცი ალექსანდრე გრიგოლისძე და ხაჩატურიანცი	სიონის ქ.	საგალანტერიო	„	8000 მ.	„
826	„	აბრამიანცი ალექსანდრე და აშოთა მანუკასძეები	„	„	„	5000 მ.	„
827	„	ნიკოლიშვილი თადო გიორგის-ძე	კახეთის ქ.	სასადილო	„	1000 მ.	„
828	„	გრიშინი ვიქტორი ივანეს-ძე	სომხის ბაზარი	რკინეულით ვაჭრობა	„	21.987 მ. 92 კ.	„
829	„	სახელგამის მაღაზია № 1	რუსთაველის გამზირი	წიგნებ. და საკანც. საქ.	„	—	„
830	„	ჯუფალაკიანცი გურგენ სამსონის-ძე	რკინის რიგი	საექსპედიციო	„	არა აქვს	„
831	„	ასიჯანიანცი ავეტის თომასას-ძე	ბნელი რიგი	„	„	„	„
832	„	სტეფანიანცი მიკირტიჩ არუთინას-ძე	რკინის რიგი	რკინეულობით ვაჭრობა	„	4000 მ.	„
833	10 „	კაგრამანიანცი არტაშეს მირინას-ძე	სიონის ქ.	საგალანტერიო	„	4500 მ.	„
834	„	მეჟინულოვისა რახელ სოლომონის ასული	ბნელი რიგი	შუშის ჭურჭლეულით	„	3000 მ.	„
835	„	ცეინი ბეციონი ისაიას-ძე	სიონის ქ.	საგალანტერიო	„	5500 მ.	„
836	„	ასმარიანცი პარუირი თათევოსის-ძე	რკინის შესახ.	საექსპედიციო	„	არა აქვს	„
837	„	სოლომონიანცი სარქის არუთინას-ძე და სულხიანცი არტაშეს ლუკიანის-ძე	პუშკინის ქ.	„	„	7000 მ.	მე-5
838	„	მამულაიშვილი ვლადიმერ ასალოს-ძე	ელისაბედის ქ.	სასადილო	„	1[illegible]0 მ.	მე-4
839	„	ტურგუნიანცი აკოფა და ბადაძე	სომხის ბაზარი	ტყავეულით ვაჭრობა	„	7000 მ.	„
840	„	სამარღიანცი ჰაიკიზ და სურენა		„		5000 მ.	„
841	12	ერამოვი ნიკო გრ-ძე, ტერ-გრიქუროვი ბაგრატა დავ-ძე და ნავთიკოვი	სიონის ქ.	შუშეულით ვაჭრობა	„	—	მე-5
842	„	მადერი ალფრედი თ-ძე	ყასახლის ქ.	სასადილო გარდა მაგარი სასმელებისა	„	1000 მ.	მე-4

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მგალობლიშვილი.**

ნ. 1598. სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ქ. ორჯონიკიძე**

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 24 აგვისტოს 1927 წ. დღის 3 ს სახლში № 10 კავჯავაძის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალექსანდრე არუთინოვის მოძრავ ქონებას: ერთი ბუფეტის ჩკაფს შეფასებულს 75 მანეთად, არტელ „ასენიზატორ“-ის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 11 ივნისს 1927 წ. თარიღით, № 2487 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1599

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 24 აგვისტოს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში № 12 მუხრანის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სოფიო აჯიაშვილის მოძრავ ქონებას: ერთ ნიკელის საწოლს შეფასებულს 85 მანეთად, მოქ. მარქაროვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 16 ივნისს 1927 წ. თარიღით, № 2346 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1600

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლო
(არტოს ბაღში).

0—13 ნ. 1388

პირველად თბილისში უკრაინის ფოტო-კინო სამმართველოს მხატვრული სურათი
„გოლიათების ბრძოლა“
დიდი კინო-რომანი 10 ნაწილად.
რეჟისორი—ვ ტურინი, ოპერატორი—ფორესტიე, მხატვარი-ხუროთ მოძღვარი—შარფენბერგი.
სიმებიანი ორკესტრი. 1 სეანსის დასაწ. საღ. 8 საათ.

პირველად მხატვრული კინო-პიესა
„უცხონი“
მთავარ როლში—ლეონიდ უტიოსოვი.
ვინც კინოს ბილეთს იყიდის, ის ბაღში უფასოდ შედის.

ანონსი: ამ დღეებში დაჯილდოვებული სურათი „სკარამუში“.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატო-ოდონტოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის
ტეხნიკოსთა კურსებზე მსმენელების
მიღება იწარმოებს 1 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.
მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება კურსების გამგის სახელზე (პლეხანოვის გამზ. № 126) შემდეგი საბუთების თანდართვით:
1) განათლების მოწმობა არა ნაკლებ 7 წლედისა.
2) წლოვანობის მოწმობა, (მიიღება არა ნაკლებ 17 წ.)
3) ნახევარი წლის სწავლის ფული.
მიღება იწარმოებს უგამოცდოთ.
კურსები ორწლიანია და მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით.
13—9 ნ. 3478

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ხოდ“-ს რდაპირპი

ს. ს. ს. რ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ცხენთსაშენის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ თბილისის იპოდრომზე, დიდუბეში, 21 აგვისტოს, 1927 წ.

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება სამომშენებლო მიზნებისათვის შ უფერ ბელი ცხენები. გაყიდულ იქნებიან ამ ვაჭრობით: **ფაშატები კვიცებით, ფაშატები უკვიცო, ულაყები და კვიცები.** მათ შორის არიან ცხენები, როგორც საჯდომი, აგრეთვე გასაბამი ტიპის, გახედნილი და გაუხედარი.

ვაჭრობა დაიწყება დილის 10 საათიდან. 2-1 3612

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 23 აგვისტოს 1927 წ. დღის 3 საათზე სახლში № 23 დესიმონოვის მოედანზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. მოქ. ბელორუსოვების მოძრავ ქონებას: სასადილო მაგიდებს, ვენურ სკამებს და სხვა და სხვა სასადილოს მოწყობილებებს შეფასებულს 348 მანეთად. ყოფ მალაკანთა კოოპერატივის სალიკვიდაციო კომისიის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 17 მაისს 1927 წ, თარიღით, № 6016 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1601

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 23 აგვისტოს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 13 შუა ბაზრის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ისაკ კრიხელის მოძრავ ქონებას: ერთი წყვილ საწოლს, კრესლოს და სხვ. საოჯახო ნივთებს შეფასებულს 55 მანეთად, მოქ. მესროფოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 5 აგვისტოს 1927 წ. თარიღით, № 2987 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1603

ექიმი
ზ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 4138 ალიოშა ჯლამ იას სახელზე ჩ. გ. 3620

დაიკარგა პროფ-კავშირის წიგნაკი № 2071 ზ. გ. ქიაბრიშვილის სახელზე ჩ. გ. 3617

დაიკარგა ორი ათ-ათ მანეთიანი კუპონი № 7549 და ოთხი ხუთ-ხუთ მანეთიანი კუპონი № 7549 თომა ივანეს-ძე გოგბერაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3621

დაიკარგა სამასწავლებლო ცენზის და მეტრიკული მოწმობები მოცემული ქ. სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლიდგან სოფიო ვასილის ასული მათეშვილის სახელზე, ჩ. გ. 3611

დაიკარგა 9 წლ. დამთავრების მოწმობა მოცემული ქ. თბილისის მე-7-ე შრომის სკოლის-გან № 238 და სოც. მდგომარეობის მოწმობა ანტონ კონდრატის-ძე მახარაძის სახელზე, ჩ. გ. 3615

დაიკარგა მოწმობა გაცემული მე-2 შრომის სკოლის მიერ 7 წლედის დამთავრების შესახებ № 919—1926 წლ. ალექსანდრე მეთოს-ძე შეროზიას სახელზე ჩ. გ. 3613

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 6ა.